



**ციბეხანი**

№ 76 / 16 - 22 მაისი / 2011

ISSN 1987-7528



„ქართული პარტიის“ კოქტეილი გვ. 14  
ტერაქტი ოსამას სახელით გვ. 08  
თეირანის პოლიტიკური კრიზისი გვ. 10  
სადავოსკვერი გვ. 26  
რეჟიმი 60-წლიანი გაუცხოების შემდეგ გვ. 29  
თბილისის მერი და გუდაურის მენეჯერი გვ. 32  
სიცოცხლის უფლება VS თავისუფალი არჩევანი გვ. 34  
კანის ფესტივალი: ამგონება ქალაქმა დაიწყეს გვ. 42  
ჰელო, ტაქსი! გვ. 48

ფასი 2 ლარი

# სჭიხდება თუ ახა საქანთვანოს სუდონჯესი?

გვ. 20

UCNOBI FM 98.0


UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0



UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

IB VB TBII TBI UTB



UCNOBI FM 98.0



ფოტო: ვახტანგ კახიანი

რამდენიმე თვის წინ აქ სკვერი იყო, სადაც მეზობლები ბავშვებს ასეირნებდნენ, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები კი პერიოდულად გამოფენებს აწყობდნენ

**ნომერი:**

- 02 „ლიბერალის“ ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**  
შეიძლება თუ არა, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა მეორე ქვეყნის პრეზიდენტს უწოდოს „კლოუნი“?  
აკაკი მინაშვილი VS ზაქარია ქუცნაშვილი
- 08 ტერაქტი ოსამას სახელით
- 10 **ირანი**  
თეირანის პოლიტიკური კრიზისი

- 11 **თურქეთი**  
ქურთთა თავდასხმა ერდოღანის კოლონაზე
- 12 **კონფლიქტები**  
შენწყვეტილი მომსახურება
- 14 **პოლიტიკა**  
„ქართული პარტიის“ კოქტეილი
- 20 **მთავარი თემა**  
სჭირდება თუ არა საქართველოს ხუდონჰსი?
- 26 **ურბანისტიკა**  
სადავო სკვერი
- 29 **თვალსაზრისი**  
რიყე 60-წლიანი გაუცხოების შემდეგ
- 32 **საზოგადოება**  
თბილისის მერი და გუდაურის მენეჯერი

- 34 **მედიცინა**  
სიცოცხლის უფლება VS თავისუფალი არჩევანი
- 38 **თვალსაზრისი**  
სტუმრები მეზობელი ქვეყნიდან
- 40 **მარკ მალენი**  
ვინ არის ნიუტ გინგრიჩი? გიორგი ცხადაია
- 42 **კულტურა**  
კანში – ამბოხება ქალებმა დაინყეს
- 44 **რევიუ**  
ლასა დე სელა
- 46 **ტექნოლოგიები**  
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 48 **ჰელო, ტაქსი!**

**გარეკანზე:**

სჭირდება თუ არა საქართველოს ხუდონჰსი?



„უწინააღმდეგველად“ გამოცემა ფონდ „ლიბერალის“ საზოგადოება – საქართველოს მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლიბერალის“ საზოგადოება-საქართველოს პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

## კალაღობა ქალიშვილებზე, მართლმადიდებლობა და ბრუტალური საქმის



ბატონებო, მე ვარ გიორგი მარგველაშვილი, ზურაბ ჟვანიას სახელობის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი, იმ ინსტიტუტისა, რომელიც ლაშა „არც თუ ისეთად“ მოიხსენია. ლაშა – გამაღიზიანა ამ შენმა რაცხა „კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გვარსა და სახელს არ დავასახელებ“, მოხსენიებამ ჩვენი ინსტიტუტისა. გთხოვ, მოგვისხენიო თუ გვაკრიტიკებ, თუ გინდა აბრევიატურით – GIPA. თან, წერე, რაც გინდა, ეს ინსტიტუტი მომავალშიც დაგიცავს იმ უსაქმური მრევლისგან, რომელსაც ლოცვის მაგივრად შენი ცემა განუზრახავს.

ბატონებო, მინდა გაგიზიაროთ ზოგი რამ მიმდინარე ვნებათაღვლევის ირგვლივ: რამდენად მართალია, რომ, ვერ მოატყუებ ახალგაზრდას, რადგან, ალბათ, ახალგაზრდის გონების თვალი და სული უფრო წრფელია და უკეთ ხედავს ფაქტს, ვიდრე დროითა და ცოდვით დამძიმებული ადამიანის; ალბათ ამიტომ არ მოსწონთ ახალგაზრდებს ქართულ ლიტერატურაში სკაბრეზულ-ეგზოტიკონისტიური ტენდენციები. სწორედ ფაქტის და ტყუილის გამო, იმის გამო რომ ეს არ არის არც კლიშეების ნგრევა, არც ჯანყი, არც ბუნტი, თორემ რევოლუციებს ყოველთვის ახალგაზრდობა და სტუდენტობა აწყობდა.

ეს ტენდენცია მხოლოდ ქარიშხალია

ჭიქაში, მხოლოდ იმიტაციაა ბუნტისა და ჯანყის. უპირველესად ვის უჯანყდებით? ისტებლიშმენტს? მთავრობას? – ვერ. პირველ რიგში იმიტომ, რომ თქვენზე უფრო რევოლუციონერი და საკუთარი ხალხის თავზე და ხარჯზე კლიშეების დამანგრეველია ამ ქვეყნის ისტებლიშმენტი. ვერც ერთი ჩვენი სკანდალისა და ეპატაჟის მოსურნე ლიტერატორი ვერ გადაასწრებს სააკაშვილს ან თუნდაც მის მინისტრებს სტანდარტების ან დადგენილი საზღვრების ნგრევამი.

იქნებ იმას ებრძვით, რასაც „ტრადიციულს“ ან „კლიშეებულს“ ეძახით? ქართულ სუფრას? მამათმავლობის მიუღებლობას? ეკლესიას? წმინდანებს? ქართველობას?... მაგრამ ვფიქრობ, აქაც შეგეშალათ ჯანყის მიმართულება და ფრონტის ხაზი. იქ სადაც იქმნებოდა ფემინისტური მოძრაობები, რეალურად არსებობდა ჩაგვრა. თქვენ რაღას უჯანყდებით? დაინახეთ ცოტა მასშტაბურად, რა ტენდენციაა დომინანტური და მიხედვით, რომ თამარ მეფის, მაცხოვრის, მართლმადიდებლობის დაცვაა დღეს რეალურად ბუნტი;

თქვენი იდეოლოგია არა კლიშეების ნგრევა და ჯანყი, არამედ სწორედ ისტებლიშმენტის მიერ მხარდაჭერილი და ზოგჯერ, რამდენადაც სანყენი არ უნდა იყოს, დაფინანსებული ქმედებაა.

მართლა პროტესტი თუ გინდათ, დაცავით ოჯახის ინსტიტუტი, ქორწინების საიდუმლოება, დაცავით ლტოლვილების უფლებები, ქართული სოფელი და სოფლის მეურნეობა, შერყენილი არჩევნები, მშრალ ხიდზე წიგნების გამყიდველი პროფესორები – ეს იქნება რეალური ბუნტი, კლიშეების ნგრევა. ან ისეთ ლიბერალურ საკითხს მიხედეთ, როგორცაა ნარკოტიკების ლეგალიზაცია.

იზაცია.

მაგრამ რატომღაც ათიათასობით ციხეში ჩასმული [ნარკოტიკის] „მომხმარებლების“ დაცვას მოძღვრებთან და წმინდანებთან ბრძოლას და ბილნსიტყვაობას არჩევთ თავისუფლების დროში. რატომ ვერ ბედავთ? უფრო, ალბათ, იმიტომ, რომ ასეთი ლიბერალიზმი არ არის ნებადართული, ან დაფინანსებული ჯანყისა და თავისუფლების აქტი.

სამწუხაროდ, მთელი ეს ჯანყი და კლიშეთა ლენვა, მართლა ქალიშვილობის ინსტიტუტის წინააღმდეგაა მიმართული. არა, მართლა წერეთ, რაც გინდათ, მეერ თავად იკითხეთ და თავადვე გაოცდით თქვენივე გამბედაობით, მე, ცოტა არ იყოს, მახალისებთ კიდევ, პრინციპში, ვის რას უშვებთ.

მე უფრო იმიტომ მოგმართავთ, რომ თქვენ დღეს შეიძლება შერყვნათ მართლა კლიშეების ნგრევისა და ჯანყის ყინი და იდეა, სტიქია, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანია ახლის დაბადებისათვის. ხომ შეიძლება ვინმე დაიბნეს და იფიქროს, რომ თქვენ მართლაც კონტრკულტურა ხართ. ეგაა საშიში – ვინმეს მართლა რევოლუციონერები არ ეგონოთ; ამის მეშინია...

გიორგი მარგველაშვილი

**შესწორება**

„ლიბერალის“ 75-ე ნომერში რუბრიკა „ორ აზრში“ ნინო ზურჯანაძის სტატუსის „პარტია „ჩვენ საქართველო – თავისუფალი დემოკრატიის“ გენერალური მდივანი“ ნაცვლად უნდა იყოს „პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე“

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდუაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ქავაძე / კავასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავაძე / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიანი / შპს-ის მენეჯერი: მია ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭიათავა, რუსუდან ფანოზოვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი  
 კონსტრუქციონი: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიამილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარუელი, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექაშვილი, დანიელ ნინი, ნიკო ნერგაძე  
 რედაქციის: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონღაძე  
 ბამონტაჟი: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბიტიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია  
 ბამონტაჟი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
 სსს ბამონტაჟი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნისი: ადამიანები, მეოხდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
 ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
 ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.  
 გამოცემის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.  
 www.liberali.ge

# ჩემს მეგობრებს

## თიკო ცომბაიას ბლოგი

მეგობრობაზე დანერა, პირველ რიგში, ნიკუშას გამო გადავწყვიტე. ამას კიდევ რამდენიმე მიზეზიც დაემატა: ამ დღეებში მივიღე მეიოს კლინიკის ჩემი საყვარელი ელექტრონული გაზეთი, სადაც ჯანმრთელობაზე მეგობრობის გავლენაზე წერდნენ, ფონ-ტლიან კლუბში ჰანს გუტბორდის მოხსენებას მოვუსმინე სოციალურ კაპიტალზე და ბოლოს წავიკითხე გიორგი ცხადაიას ბლოგი, რომელშიც „მეგობრობის ჩვენსული გაგება“ კლანურობასთან არის გაიგივებული.

ამ პოსტით მინდა ჩვენსულ მეგობრობას გამოვესარჩლო და მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებს და განგებას, რომ ნილად მერგო ვყოფილიყავი მეგობარი და მყოლოდა მეგობრები საქართველოში.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის კვლევის მიხედვით, საქართველოში გამოკითხულთა 9% ამბობს, რომ არ ჰყავს ახლო მეგობარი, სომხეთში ეს რიცხვი 20%-ია, ხოლო აზერბაიჯანში - 29%; ქართველების 84%-ს 1-დან 11 და მეტი ახლო მეგობარი ჰყავს, სომხეთში ამდენზე მეგობარი 79%-ს ჰყავს, აზერბაიჯანში კი 66%-ს.

მე ქართველი მოსახლეობის იმ 10 პროცენტს მივეკუთვნები, რომელთაც 11 და მეტი ახლო მეგობარი ჰყავს. რაღა თქმა უნდა, ამ ციფრით ვერანაირად გავზომავ იმ სიკეთეს, რასაც ეს ურთიერთობა იტევს.

ამ თერთმეტს და მეტს მინდა მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ ჩემთან იყვნენ ჭირში თუ ლხინში, რომ მამხნევებდნენ, მანუგეშებდნენ, მიზიარებდნენ თავიანთ დარდს, შეცდომებსა და წარმატებებს, მასწავლიდნენ სიყვარულს, მოთმინებას, დაცემულს წამომამყენებდნენ, მოტყუებულს თვალს ამიხედდნენ, გაყვებულს თავში წამომარტყამდნენ, გაამაყებულს დამცინებდნენ, ავადმყოფს წამალს მიყიდდნენ, მშვიდს დამაპურებდნენ, შემაქებდნენ, მომილოცავდნენ, გამართობდნენ, გზას მიჩვენებდნენ, მიმასპინძლებდნენ, მესტუმრებოდნენ, ხანაც მანყენინებდნენ, ხანაც შემირიგდებოდნენ და გამახარებდნენ. რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება ჩემი მეგობრების გარეშე?!

ჩემი 20 წლის მეგობარი ნიკუშა, მცირედ შეზღუდულია გადაადგილებაში. მისი განსაკუთრებული სისუსტე წერა-კითხვაა, მაგალითად, ერთმანეთში ერევა ასო-ბგერები ა და ი. შეიძლება ამიტომაც, ხელი ჩაიქნია წერა-კითხვაზე.

როგორც წესი, კვირაში ერთხელ მაინც მირეკავს, არ ვიცი, რა გზებით ხვდება, მაგრამ როცა მარტობას ვგრძნობ, ან მოწყენილი ვარ ან რაღაც მიჭირს, სწორედ მაშინ ისმის ხოლმე მისი ხარი: „ძალიან მიყვარხარ, თუ რამე დაგჭირდეს მითხარი და აუცილებლად დაგეხმარები“ – ამ სიტყვების გარეშე ჩვენი საუბარი არ მთავრდება. როცა ანგარიშზე ფული გამოვლევ, ხარს გამოუშვებს და მე



ვურეკავ, მერე ისევ ერთმანეთს მოვიკითხავთ და მოვესიყვარულებით. აი, სულ ეს არის ჩვენი მეგობრობა.

ვისაც ჯერ არ ჰყავს მეგობარი, მათთვის, ალბათ, სასარგებლო იქნება მეიოს კლინიკის მკვლევართა მიგნებები და რეკომენდაციები:

► მეგობრობას ძალიან დიდი გავლენა აქვს ჯანმრთელობაზე, თუმცა არც ისე ადვილია მეგობრების შეძენა და მყარი ურთიერთობების დამყარება.

► რა შეიძლება გააკეთო მეგობრებთან ერთად? გაატარო კარგი დრო, მეგობარი მარტობისგან დაგიცავს, გაგრძნობინებს, რომ მნიშვნელოვანი ხარ, ხანდახან დაგეხმარება,

რომ დაფიქრდე, რა არის შენი დანიშნულება.

► მეგობარი დაგეხმარება ტრავმასთან გამკლავებაში. თუ მძიმე ავადმყოფობა შეგეყარა, განიცდი დიდ დანაკარგს – საყვარელი ადამიანის სიკვდილს, საყვარელ ადამიანთან დაშორებას, შეიძლება გაგამხნევოს და გიბიძგოს ჯანმრთელი ქცევისკენ.

► მეგობრების რაოდენობა ნაკლებად მნიშვნელოვანია ხარისხთან შედარებით: ადამიანთა ნაწილი თავს კომფორტულად გრძნობს, თუკი, რამდენიმე ახლო მეგობარი ჰყავს. ზოგიერთს უფრო მეგობრების დიდი წრე ურჩევნია, თუმცა მათში გამოყოფს ისეთებს, ვისაც თავის გულის ნადებს გაუშვებს.

► მეგობრობის შენარჩუნებისათვის შრომა და ძალისხმევაა საჭირო, რისთვისაც თანაბრად საჭიროა გაღებაც და მიღებაც.

► არ გადაძაბო ურთიერთობა, მოერიდე ხშირ სატელეფონო ზარებს, მესიჯებს, გაითვალისწინე, რომ შესაძლოა მეგობარი ძალიან დაკავებული იყოს.

► არასდროს შეეჯიბრო მეგობარს, მაგალითად, სახლის ღამაზად მოწყობაში ან ფულის კეთებაში.

► ძალიან თვითკრიტიკულიც ნუ იქნები და გაუთავებლად ნუ ინუნუნებ მეგობრებთან. ისაუბრე იმაზე, რისი შეცვლაც, გამოსწორებაც გინდა შენს ცხოვრებაში

► შეეკითხე შენს მეგობარს, რა ხდება მის ცხოვრებაში ახალი. ყოველთვის შენი პრობლემებით ნუ გადაღლი, მხოლოდ მაშინ მიეცი რჩევები, როცა ამას გთხოვს, უფრო მოუსმინე. ნუ განსჯი.

► მიეცი შენს მეგობარს სივრცე, რომ შეიცვალოს, შეძლოს საკუთარი თავის გამოხატვა, შეცდომების დაშვება და ამ შეცდომების გამოსწორება, მიეცი საშუალება დაიცალოს ემოციებისაგან. საიდუმლოდ შეინახე ის, რაც გაგანდეს.

► არასდროს არ არის გვიან ახალი ურთიერთობების დამყარება. დრო, რომელსაც მეგობრების შეძენას დაუთმობ, მხოლოდ შენთვის სასარგებლოდ იმუშავებს, შენს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე აისახება.



## ოპოზიციური "ხვინი" ხელისუფლების პასუხს მისის ბოლომდე დაელოდა

რვა ოპოზიციურმა პარტიამ „რვიანის“ საარჩევნო შეთავაზებებზე პასუხის გასაცემად ხელისუფლებას ვადა მისის ბოლომდე მისცა. „მიმართავთ მიხილ სააკაშვილს, შეწყვიტოს უღირსი მეთოდებით ხელისუფლების შენარჩუნების მცდელობა და ხელი შეუწყოს საარჩევნო საკითხებზე პოლიტიკური შეთანხმების მიღწევას დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში“, – წერია „რვიანის“ 12 მაისის განცხადებაში.

ოპოზიციურმა პარტიებმა ხელისუფლებას ამომრჩეველთა აღრიცხვისა და საარჩევნო სისტემების მოდელზე შესთავაზეს. ხელისუფლების წერილობით პასუხს სწორედ ამ შეთავაზებებზე ელიან.

„ახალი მემარჯვენეების“, „რესპუბლიკელების“, „ქრისტიან-დემოკრატების“, „საქართველოს გზის“, „ხალხის პარტიის“, „ეროვნული ფორუმის“, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „კონსერვატიული პარტიის“ წარმომადგენლები ხელისუფლებას მოლაპარაკებების შეფერხებასა და რევოლუციური განწყობების გაღვივებაში ადანაშაულებენ. მათი განცხადებით, თავიდანვე „სწორი ტაქტიკა“ შეარჩიეს, რის გამოც ხელისუფლებას მდგომარეობა გაურთულდა და სააკაშვილის გუნდი მოლაპარაკე-

ბების სასურველი შედეგით დასრულებას ვერ ახერხებს.

„ამგვარ მძიმე ვითარებაში აღმოჩენილი მმართველი რეჟიმი ოპოზიციური „რვიანის“ სამართლიანი მოთხოვნებისაგან თავის დასახსნელად ხელს უწყობს მოსახლეობაში არჩევნებისადმი ნიჰილიზმის გაღვივებას და პოლიტიკური პროცესების ქუჩაში გადატანას“, – წერია „რვიანის“ განცხადებაში.

ოპოზიციური პარტიები შეთანხმების მიღწევას „საჯარო და გამჭვირვალე მოლაპარაკებების გზით“ ითხოვენ.

თუ შეთანხმება არ შედგა, ოპოზიციური პარტიები ჩათვლიან, რომ „ხელისუფლებას არ გააჩნია პოლიტიკური ნება საქართველოში საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად“. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებები ჩაიშლება, „სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად“ ყველა კონსტიტუციურ საშუალებას გამოიყენებენ.

„სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით პოლიტიკურ კამპანიას მთელ საქართველოში გავლით“, – განაცხადა „კონსერვატორების“ ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა.

უმრავლესობის წევრმა აკაკი მინაშვილმა ოპოზიციის განცხადება ულტიმატუმად შეაფასა.

### სუბიექტივური პოლიტიკის ასოციაციის ოპოზიციის შეხება

სერგეი ლავროვმა 12 მაისს ისევ განაცხადა, რომ საქართველო მხოლოდ „პოლიტიკურ“ პრობლემებს ქმნის და რუსეთს ვმო-ში შესვლა საქართველოს გვერდის ავლითაც შეუძლია. „ჩემს კომენტარებს ალტერნატიული გზის შესახებ ქართველმა კოლეგებმა ახირება უწოდეს“, – განაცხადა ლავროვმა. ის ვარაუდობს, რომ ამ განცხადებების ავტორები შესაბამის დოკუმენტებს კარგად არ იცნობენ.

### ასიჯალ შეხვედრა ხუროციის ჰიუმუსი

ამერიკის შეერთებული შტატების სენატში რეზოლუციის პროექტი წარადგინეს, რომელიც მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს და რუსეთს 2008 წლის აგვისტოს ომამდე არსებული სტატუს-კვოს აღდგენისკენ მოუწოდებს. რეზოლუციის საბოლოო ტექსტში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი „რუსეთის მიერ ოკუპირებულ“ რეგიონებად ისევ მოხსენიებულია. თუმცა სეპარატისტული რეგიონების ხელისუფლებათა მიმართ გამოყენებული ტერმინი „დე ფაქტო“ შეცვლილია – „მაკონტროლებელი ძალაუფლება“.

სატელეფონო და მობილური ხსენების ნაბიჯის ივნიში იხვება



4 ივნისს ადგილობრივი სატელეფონო სადგურების, 20 ივნისს – მობილური ქსელების, 27 ივნისს კი – ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელების ნუმერაცია შეიცვლება.

თბილისში ადგილობრივი საბონეტო ექსნიშნა ნუმერაცია გახდება შვიდნიშნა და ნომერს პირველ ციფრად დაემატება – 2; სხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტების ხუთნიშნა ნუმერაცია ექსნიშნა ნუმერაციით შეიცვლება. სატელეფონო ნომერს აქაც პირველ ციფრად 2 დაემატება. რუსთაველი ადგილობრივი საბონეტო ნომრის პირველი ციფრი 1, შეიცვლება 2-ით. მობილური ტელეფონის ნომერს პირველ ციფრად დაემატება – 5. მაგალითად 877XXXXXX გახდება 8577XXXXXX.

საქართველოში Amnesty International-ის წლიური ანგარიშში

საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევები, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გამოუძიებელი ფაქტები და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობები – Amnesty International-ის წლიურ ანგარიშში მოხვდა.

დოკუმენტის მიხედვით, ქართულმა მხარემ 2008 წლის ოქტომბერში გაუჩინარებული სამი ოსი მამაკაცის ბედი

„ეფექტიანად ვერ გამოიძია“. მაისის თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში, რომელიც საერთაშორისო დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს, ოპოზიციური კანდიდატების დევნასა და დაშინებას ჰქონდა ადგილი. ანგარიშში საკონსტიტუციო ცვლილებებიცაა განხილული, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტის ძალაუფლება მცირდება.

ბილი ალასანიას ბიზნეს ინტერესები

თინა ხიდაშელმა პრეზიდენტის დედის ბიზნეს ინტერესების დამადასტურებელი დოკუმენტები გამოაქვეყნა. დოკუმენტების მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება გიული ალასანიას 2004 წლიდან დღემდე სიმბოლურ ფასად, ან საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით ნაკლებ ფასად გადაეცა.

მაგალითად, გიული ალასანიამ ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორ ხუროდისგან „საზოგადოებრივ მეცნიერება-

თა სკოლის“ 10 პროცენტის ნილი სიმბოლურ ფასად – 200 ლარად მიიღო. სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული შენობა და მიწის ნაკვეთი ალასანიას პირდაპირი წესით გადაეცა.



ჩისხეები

40

მილიონი დოლარით დააფინანსებს ამერიკის მთავრობა საქართველოში „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ პროგრამას.

30

წელი გავიდა 1981 წელს „დინამოს“ მიერ „თასების მფლობელთა თასის“ მოპოვებიდან.

4 214 530 000

ამერიკული დოლარია საქართველოს საგარეო ვალი.

სიტყვები



„არ მოტყუვდეთ ვერა ქობალიას სანდომიანი გარეგნობით, რადგან კბილები იმაზე დიდი აქვს, ვიდრე, როგორც ზოგიერთები ამტკიცებდნენ, დელფინს, რომელსაც პრეზიდენტმა ხახაში თავი ჩაუყო.“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

„ონკანი, საიდანაც მოდის ის ნიაღვარი, რომლითაც ქართული საზოგადოება ინამლება, დილომში, ამერიკის საელჩოში მდებარეობს.“

„ქართული პარტიის“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი, ამერიკის საელჩოსთან დაგეგმილი აქციის შესახებ.

„სუბარი „გაულანუნე ბიჭის“ მდგომარეობაშია, რომელსაც ციციკორეც ველარ უშველის.“

„თავისუფალი დემოკრატების“ გენერალური მდივანი ირაკლი ჩიქოვანი

„ქართული პარტიის“ ლიდერის – სოზარ სუბარის – შესახებ



**კი**

**აკაკი მინაშვილი**

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა  
კომიტეტის თავმჯდომარე

მედვედევის მხრიდან ქართველი ხალხისთვის 9 მაისის მილოცვა ძალიან სასაცილო და ირონიული იყო. ბუნებრივია, ასეთი ტიპის მილოცვა ჩვენთვის მიუღებელია, მით უფრო, იმ სახელმწიფოსგან, რომელიც ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციას ცივი ომისა და აგრესიის მენტალობით ახორციელებს.

რა თქმა უნდა, იმ 300 ათასამდე ქართველს, ვინც მსოფლიო ომში იბრძოდა, ნაციზმზე გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვით, თუმცა, არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ ამ ომის შემდეგ სტალინის რეჟიმმა გააგრძელა არანაკლებ აგრესიული ძალადობრივი პოლიტიკა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ. ამ პოლიტიკას რუსეთის ხელისუფლება ახლაც აგრძელებს. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა პუტინმა წლების წინ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ტრაგედია იყო. ეს მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში თვისებრივად არაფერი შეცვლილა, მათ შორის, არც ის განცდა, რაც მათ ქართველი ხალხის მიმართ მაშინ ჰქონდათ.

გრიგოლ ვაშაძის განცხადება ზუსტად ასახავს იმ პოზიციას და შეფასებას, რაც აქვს ქართველ ხალხს. ეს არის პირდაპირი გზავნილი, რომელიც ყველასთვის გასაგებია.

რუსეთში მიხედნენ, რომ აღიარების პოლიტიკამ, რომელიც მათ 2008 წელს წამოიწყეს, კრახი განიცადა. რუსეთის არც ერთმა უახლოესმა მოკავშირემ ამ პოლიტიკას მხარი არ დაუჭირა, ზოგიერთი ოდიოზური ქვეყნის გარდა. უფრო მეტიც, საერთაშორისო დოკუმენტებში და მაღალი თანამდებობის პირების პოზიციებში ძალიან აქტიურად მიმდინარეობს პროცესი, რომ დამკვიდრდეს ტერმინი „ოკუპაცია საქართველოში“ და არა ის რეალობა, რომლის დაკანონებაც რუსეთს უნდა.

ოცდამეერთე საუკუნეა და რუსეთი განაგრძობს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს ოკუპაციას. ამ ქვეყნის ხელისუფლებამ განახორციელა ასიათასობით ადამიანის ეთნიკური დევნა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თუ ვინმეს ებადება კითხვა, რამდენად მისაღებია სიტყვა „კლოუნადა“, ის თავად არის ძალიან სასაცილო. ამ სიტყვის და იმ ფაქტების შედარება, რომელსაც რუსეთის მთავრობა ახორციელებს – უბრალოდ, სასაცილოა.

ეს სიტყვა იყო ბატონი ვაშაძის მხრიდან ფაქტის აბსოლუტურად ზუსტი აღწერა.



## შეიძლება თუ არა, ქვეყნის ს მოიხე ქვეყნის ჰეზიდა

**■ თუ ვინმეს ებადება კითხვა, რამდენად მისაღებია სიტყვა „კლოუნადა“, ის თავად არის ძალიან სასაცილო. ეს სიტყვა იყო ბატონი ვაშაძის მხრიდან ფაქტის აბსოლუტურად ზუსტი აღწერა.**





**არა**  
ზაქარია ქუცნაშვილი  
იურისტი

## საბაჩო საქეთა მინისტრმა მინისტრს უნდა უნდა "ხლოუნა"?

■ დიპლომატის მხრიდან იმის განცხადება, რომ მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი „კლოუნადაში“ მონაწილეობს, მხოლოდ ამ დიპლომატის არაეთიკურობასა და არადიპლომატიურობაზე მიანიშნებს.

დიპლომატის მხრიდან იმის განცხადება, რომ მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი „კლოუნადაში“ მონაწილეობს, მხოლოდ ამ დიპლომატის არაეთიკურობასა და არადიპლომატიურობაზე მიანიშნებს.

დიპლომატი უნდა ცდილობდეს იმ ენაზე საუბარს, რომელიც ქვეყნებს და ხალხს შორის ურთიერთობას სარგებლიანს გახდის და არა პირიქით, დაძაბავს და კიდევ უფრო კონფრონტაციულად აქცევს.

ასეთი კომენტარი შეიძლება გააკეთოს პარლამენტის წევრმა, ან თუნდაც ძალოვანი უწყების წარმომადგენელმა. მაგალითად, თავდაცვის მინისტრს რომ გაეკეთებინა ასეთი განცხადება, კიდევ შეიძლებოდა ამას გარკვეული გამართლება ჰქონოდა. მაგრამ როცა სიტყვა „კლოუნადა“ უმაღლესი დიპლომატის კომენტარშია ნახსენები. ეს პირდაპირ მიანიშნებს, რომ მისთვის ხელსაყრელია მეზობელ ქვეყანასთან დაპირისპირებული ფონის შენარჩუნება და სწორედ ამ ფონის შენარჩუნებით ცდილობს დაარწმუნოს ქართული საზოგადოება და დასავლეთი საკუთარი ყოფნის აუცილებლობაში.

მეორე მიზეზი, რის გამოც მილოცვაზე უარის თქმა, თანაც ამ ფორმით, უტაქტო და არაკორექტულ საქციელად მიმაჩნია, არის ის, რომ ამ ომს მსოფლიო ომი ჰქვია, რომელშიც ქართველებმაც დიდი წვლილი შევიტანეთ. მნიშვნელოვანია ამ ომისთვის დამახასიათებელი სიმბოლური ნიშნებიც – ამ ომში მთავრსარდალი და გამარჯვების დროის აღმმართველი წარმოშობით ქართველი იყო.

ვაშაძე და მისი თანაგუნდელები რუსეთთან დაპირისპირების პოლიტიკას აგრძელებენ და ცდილობენ მისგან მტრის ხატი შექმნან. სწორედ ამ პოლიტიკის გამოძახილი იყო ვაშაძის მიერ ნახსენები სიტყვა „კლოუნადა“, რაც არანაირი დიპლომატიის საზღვრებში არ ექცევა.

გამოვრიცხავ, რომ მინისტრს ეს სიტყვა შემთხვევით, ემოციურად გამოეყენებინა. ეს იყო აბსოლუტურად გააზრებული საქციელი. არადა, ისეთ სერიოზულ საკითხებზე, როგორც „დიდი რვიანის“ წევრი სახელმწიფოს ქვეყნის ლიდერის გამონათქვამია, ასე არაეინ უნდა ილაპარაკოს. ხელისუფლება ვერ ხვდება, რომ „მტრის ხატის“ პოლიტიკა არ მუშაობს და ხალხს უნდა მშვიდობა, მტრების მეგობრებად ქცევა, შერიგება. ხალხის სურვილია ქვეყნის გაერთიანება და არა დაპირისპირება. ■

პაკისტანი

# ტეჩაქტი ოსამას სახელით

ბინ ლადენის სიკვდილის შემდეგ პაკისტანისა და აშშ-ის ურთიერთობები დაიძაბა. თუმცა ორ ქვეყანას შორის დაპირისპირება მანამ არ გამწვავდება, სანამ მათ საერთო მტერი ჰყავთ.

ვასო კუჭუხიძე



პაკისტანში ტერაქტის შედეგად დაზარალებული ადამიანი გადაყავთ საავადმყოფოში, ფეშავარი, 13 მაისი 2011

არის ვარაუდი, რომ პაკისტანის სპეც-სამსახურები ბინ ლადენის ადგილსამყოფელის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას ფლობდნენ, თუმცა ამის გახმაურება მათ ინტერესში არ იყო. ისლამაბადი ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში აშშ-საგან ყოველწლიურად მრავალმილიონიან დახმარებას იღებს, რომლის დიდი ნაწილიც სწორედ პაკისტანის უსაფრთხოების სამსახურების მალაჩინოსნების ანგარიშებზე ილექება. როგორც ამბობენ, სწორედ ამ თანხის დაკარგვას ერიდებოდა ისლამაბადის პოლიტიკური ელიტა.

ინდოელი ანალიტიკოსები იმასაც ვარაუდობენ, რომ პაკისტანი, თავშესაფრისა და გარკვეული გარანტიების სანაცვლოდ, ისლამისტ ტერორისტებს მტრულად განწყობილი მეზობლების წინააღმდეგ იყენებს. ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ ინდოეთში მომხდარი რამდენიმე სერიოზული ტერაქტის კვალი სწორედ ისლამაბადისკენ მიდის. ინდოეთის ხელისუფლების განცხადებით, პაკისტანი საიდუმლო თავშესაფარს აძლევს გავლენიან ტერორისტებს და მხოლოდ ინფორმაციის შემთხვევით გახმაურების შემდეგ აპატიმრებს ან დევნის მათ. ინდოეთში ამის მაგალითად უმარ პატეკის შემთხვევა მოჰყავთ. 2002 წელს ბალის ერთ-ერთ ლამის კლუბში მომხდარი ტერაქტის ორგანიზატორი და „ჯამაა ისლამიას“ ლიდერი აბოტაბადში (პაკისტანი) მშვიდად ცხოვრობდა, სანამ მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია შემთხვევით აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს (CIA) არ ჩაუვარდა ხელში. 2011 წლის 25 იანვარს სწორედ ვაშინგტონის დაჟინებული მოთხოვნით დააკავეს იგი პაკისტანის სპეც-სამსახურებმა.

თეთრი სახლის წარმომადგენლის, მიშელ ფლორნოს განცხადებით, პაკისტანის ხელისუფლება ვალდებულია, ამერიკელ

ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციიდან 12 დღეში მსოფლიომ თალიბანისგან პირველი პასუხი მიიღო. პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთის ერთ-ერთ სამხედრო სანვრთნელ ბაზაზე ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა 80-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ორმაგი აფეთქება პარასკევს, დილის 6 საათზე მაშინ მოხდა, როცა სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულები ავტობუსებში სხდებოდნენ და 9-თვიანი წვრთნის შემდეგ სახლებში დაბრუნებას აპირებდნენ.

„ეს შურისძიებაა ოსამა ბინ ლადენის მოკვლის გამო... ოსამა ჩვენი დიადი ლიდერი იყო. მის მკვლელებს მოუწევთ ფასის გადახდა“, – განაცხადა თალიბანის წარმომადგენელმა ულა იჰსანმა CNN-თან საუბარში.

აფეთქებამ ავტობუსები ნაკუნებად აქცია. 70 ადამიანი, მათ შორის 65 ახალგაზრდა სამხედრო პირი, ადგილზე დაიღუპა. 100-ზე მეტი მძიმედ დაშავდა.

პაკისტანის ხელისუფლებას ეს ტერაქტი უმძიმეს პოლიტიკურ კრიზისში აგდებს. მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის მათი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენის და ლიკვიდაციის შემდეგ პაკისტანელი მალაჩინოსნები იძულებულნი არიან, საკუთარ მოსახლეობასთან თავი იმართლონ და აუხსნან, როგორ მოახერხეს ამერიკულმა ვერტმფრენებმა პაკისტანში შეღწევა და დედაქალაქის მახლობლად სპეცოპერაციის ჩატარება ისე, რომ მთავრობაში ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

საერთაშორისო თანამეგობრობას კი პაკისტანის ლიდერებმა ის უნდა განუმარტონ, თუ როგორ ცხოვრობდა წლების განმავლობაში, მსოფლიოს მთავარი ძებნილი ქვეყნის დედაქალაქიდან ორასიოდე კილომეტრში, თავდაცვის აკადემიის პირდაპირ მდებარე სახლში ისე, რომ ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებს ამაზე ეჭვიც არ გასჩენიათ.

მოკავშირეებს წარუდგინოს ინფორმაცია, რომელსაც ისლამაბადი ბინ ლადენთან დაკავშირებით ფლობდა. იმ შემთხვევაში, თუ ისლამაბადს ალ-ქაიდას ლიდერებთან კავშირი დაუმტკიცდა, კონგრესი მოითხოვს, პაკისტანი ტერორიზმთან ბრძოლაში მოკავშირეთა სიიდან ამოიშალოს და მას ფინანსური დახმარება შეუწყდეს.

ობამას ადმინისტრაცია სერიოზული დილემის წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ პაკისტანის მიმართ უნდობლობა საკმაოდ დიდია, ვაშინგტონისთვის არ არის იოლი ისლამაბადის „დასჯა“. გემის მიხედვით, ამერიკამ 2011 წლის ზაფხულში ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა უნდა დაიწყოს, ამ საქმეში კი თეთრ სახლს პაკისტანის დახმარება ძალიან სჭირდება.

ავღანეთში ირანის დაბალანსების საკითხში პაკისტანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სწორედ ისლამაბადის საშუალებით აპირებს თეთრი სახლი რეგიონში გავლენის შენარჩუნებას, ამიტომაც, იძულებულია მოკავშირის გარკვეულ მიწუხებზე თვალი დახუჭოს. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პაკისტანის უსაფრთხოების სამსახურებს ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერე-


ბთან კავშირი დაუმტკიცდებათ, ვაშინგტონი მოკავშირის მიმართ დამოკიდებულებას რადიკალურად არ შეცვლის და მხოლოდ პაკისტანის უსაფრთხოების სამსახურის მაღალჩინოსნების გადაყენებას მოითხოვს. ამ ნაბიჯით ვაშინგტონი თავიდან აიცილებს მოკავშირის დაკარგვასაც და საკუთარი მოსახლეობის რისხვასაც.

ბინ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაციის შემდეგ, რამდენიმე დღე ისლამაბადს საყოველთაოდ უწევდა თავის მართლება, რომ ტერორისტის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა. თუმცა მოგვიანებით სტრატეგია შეცვალა და თავად გამოვიდა ბრალმდებლის როლში – ისლამაბადი ვაშინგტონს სუვერენიტეტის დარღვევაში ადანაშაულებდა. გარდა ამისა, პაკისტანი უკმაყოფილოა თეთრი სახლის მიერ უნდობლობის გამოცხადების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია პაკისტანის ტერიტორიაზე ტარდებოდა, ამერიკელებმა მის დაგეგმვაში არცერთი ადგილობრივი ოფიციალური პირი არ ჩართეს. ოპერაციის შესახებ ისლამაბადმა მხოლოდ მაშინ შეიტყო, როდესაც ამერიკულმა ვერტმფრენებმა პაკისტანის საზღვარი გადალახეს და აბოტაბადს მიუახლოვდნენ.

პაკისტანის განაწყენებულმა ლიდერებმა განაცხადეს, რომ ნდობა მოკავშირეების ურთიერთობის მთავარი პრინციპი უნდა იყოს და მომავალში მხარეებმა თავი უნდა აარიდონ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების საიდუმლოდ განხორციელებას. უფრო რადიკალურები, კი საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო შენაერთების შემცირებას, ან მათ სრულიად გაყვანას მოითხოვენ.

თუმცა პრაგმატულად მოაზროვნე პაკისტანელმა მაღალჩინოსნებმა კარგად იცან, რომ ძლიერი მოკავშირის დაკარგვა პაკისტანის ინტერესებში არ შედის, რადგან ამ შემთხვევაში ის მარტო აღმოჩნდება ინდოეთის პირისპირ. ეს კი ისლამაბადისთვის მეტად სარისკო იქნება.

აფეთქებები, რომელიც 13 მაისს პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთში გაისმა, ორივე ქვეყნის ხელისუფლებებს კიდევ ერთხელ არწმუნებს, რომ პაკისტანსა და აშშ-ს ისე სჭირდებათ ერთმანეთი, როგორც არასდროს. საერთო მტერი ახლოსაა და ის ახალ ბრძოლას იწყებს.

„პაკისტანისა და ამერიკის ძალები მზად უნდა იყვნენ შემდგომი თავდასხმებისთვის“, – ამბობს თალიბანელი ულა იჰსანი. 

**Radio** *Commersant*

marketing@commersant.ge  
+995 32 505 955



**ბიზნესის პერსონალური რადიო**

*Commersant*.ge

ირანი

# თაიხანის პოლიტიკური ხიზონი

საერთაშორისო ზენოლასთან ერთად, არაბული საპროტესტო ტალღის ფონზე, ირანში დიდია შიდა-პოლიტიკური დესტაბილიზაციის ალბათობაც. ამიტომაც, მასის დასაწყისში ირანის პრეზიდენტსა და ქვეყნის სულიერ ლიდერს შორის დაძაბულმა ურთიერთობამ ქვეყანა მწვავე პოლიტიკურ კრიზისში ჩააგდო.

## ვასო კუჭუხიძე

აიათოლა ჰამენეისა და მაჰმუდ აჰმადინეჟადს შორის დაპირისპირების მიზეზი პრეზიდენტის მიერ უშიშროების მინისტრის გადაყენება გახდა. მართალია, ჰეიდარ მოსლეჰიმ თავად დაწერა სამსახურის დატოვების შესახებ განცხადება, მაგრამ, როგორც ამბობენ, ეს მან პრეზიდენტ აჰმადინეჟადის ზენოლის შედეგად გააკეთა.

მოსლეჰი, რომელმაც 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციის „მწვანე“ გამოსვლები წარმატებით ჩაახშო და ბირთვული პროგრამის განვითარებაშიც დიდი წვლილი შეიტანა, ქვეყნის სულიერი ლიდერის მფარველობით სარგებლობს. შესაბამისად, აიათოლა ჰამენეიმ, რომელიც, ირანის კანონით, ქვეყნის პრეზიდენტზე ძლიერად მოქმედებს, მინისტრი თანამდებობაზე დააბრუნა.

ტრადიციის მიხედვით, ირანში თავდაცვის, უშიშროებისა და საგარეო საქმეთა მინისტრები სულიერი ლიდერის თანხმობით ინიშნებიან. ნებისმიერი მაღალჩინოსნის გათავისუფლების საქმეშიც საბოლოო სიტყვა სწორედ მას ეთქმის. რაც შეეხება საკითხის საკანონმდებლო მხარეს, კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს ინიციატივის რატიფიცირებისთვის პარლამენტის ხმათა 2/3 ესაჭიროება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მეჯლისის 290 წევრიდან 219-მა ჰამენეის მხარი დაიჭირა და პრეზიდენტს სულიერი ლიდერის მორჩილებისკენ მოუწოდა.

წინააღმდეგობით განაწყენებულმა აჰმადინეჟადმა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებაზე უარი განაცხადა და ორი კვირის განმავლობაში არცერთ სამთავრობო სხდომას არ დასწრებია. მართალია, მოგვიანებით ის კვლავ შეუდგა პრეზიდენტის ფუნქციების შესრულებას, თუმცა მისმა კომპრომისმა დაძაბულობის განმუხტვა ვერ მოახერხა და დაპირისპირება კრიზისში გადაიზარდა.

ანალიტიკოსთა განცხადებით, უშიშროების მინისტრთან დაკავშირებული ინციდენტი არ არის დაპირისპირების ერთადერთი მიზეზი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. უბრალოდ, ამ კონკრეტულმა შემთხვევამ პრეზიდენტსა და სულიერ ლიდერს შორის არსებული უთანხმოება სააშკარაოზე გამოიტანა. თვით მინისტრის გადაყენებაც დიდი პოლიტიკური თამაშის ნაწილი იყო. გავრცელებული ინფორმაც



აიათოლა ჰამენეი და მაჰმუდ აჰმადინეჟადი

ციით, მოსლეჰი ჰამენეისადმი უპირობო ერთგულებითა და მორჩილებით გამოირჩევა. სულიერი ლიდერის მითითებით, ის პრეზიდენტის გარშემომყოფებზე თვალთვალს ახორციელებდა და სწორედ ეს გახდა აჰმადინეჟადის განრისხებისა და მისი გადაყენების მიზეზიც.

2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ჰამენეი აჰმადინეჟადს უჭერდა მხარს და მის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. თავად პრეზიდენტიც მორჩილად მიჰყვებოდა აიათოლას მიერ დასახულ პოლიტიკურ კურსს, თუმცა მოგვიანებით მათი შეხედულებები ერთმანეთს აცდა. აჰმადინეჟადმა ქვეყანაში რელიგიური სულისკვეთების შემცირების ხარჯზე ნაციონალისტური იდეების გავრცელება დაიწყო. მის მიერ ვიცე-პრეზიდენტად დანიშნული უახლოესი მეგობარი რაჰიმ მაშეი სახალხო გამოსვლებში დაუფარავად აცხადებდა, რომ მსოფლიოს დაინტერესება ირანმა უძველესი სპარსული კულტურით უნდა შეძლოს და არა რელიგიური ექსტრემიზმით. სწორედ ეს გახდა ჰამენეის გაღიზიანების მიზეზი და მისი ზენოლით მაშეი ვიცე პრეზიდენტის თანამდებობიდან გადააყენეს, თუმცა პრეზიდენტმა მისი საკუთარ გუნდში დატოვება მაინც მოახერხა.

განხეთქილების კიდევ ერთი მიზეზი ირანის ბირთვული პროგრამაა. აჰმადინეჟადი დიდი სარგებლისა და გარანტიების სანაცვლოდ დასავლეთთან დათმობებზე წასვლის მომზრეა. ჰამენეი კი ირანის ძლიერების მთავარ გარანტად სწორედ ბირთვულ შეიარაღებას მიიჩნევს.

2009 წლის წარმატებით გათამამებულმა აჰმადინეჟადმა, როგორც ჩანს, ძალები სწორად ვერ შეაფასა და გავლენის კიდევ უფრო გაზრდა მოინდომა, მაგრამ რელიგიურ-კონსერვატორული ჯგუფების მხრიდან უდიდეს წინააღმდეგობას წააწყდა და თავი საკმაოდ არასახარბილო მდგომარეობაში ჩაიგდო. მართალია, მედიასამუშაოებებისა და ნავთობსექტორის სახით მას მნიშვნელოვანი ბერკეტები გააჩნია, მაგრამ ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური ელიტა ჰამენეის ერთგულია. ამიტომაც ბრძოლა არცერთი მხარისთვის არ იქნება იოლი და საბოლოო ჯამში, რეჟიმის ორივე ფრთას დაასუსტებს. ■

თურქეთი

# ჩხითთა თავდასხმა ჯეოლანის ხოლონაზა

თურქეთის პრემიერ-მინისტრზე თავდასხმის მიზანი მისი ლიკვიდაცია არ ყოფილა. ქურთ მუშათა პარტიის მთავარი გეგმა პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამოწვევაა.

## ვასო კუჭუხიძე

4 მაისს ანატოლიის შავიზღვისპირა მხარეს თურქეთის პრემიერ-მინისტრის კოლონაზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. პოლიტიკოსები და მათი თანმხლები ჟურნალისტები უვნებლად გადარჩნენ, მაგრამ შემთხვევას ერთი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა, ორი კი მძიმედ დაიჭრა. მმართველი პარტიის კოლონა ქალაქ კასტამონუში ამომრჩევლებთან შეხვედრის შემდეგ ანკარაში ბრუნდებოდა, როდესაც ესკორტის მანქანას გზის მახლობლად მდებარე ტყიდან ხელყუმბარა ესროლეს. აფეთქებას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლაც მოჰყვა. საპასუხო ცეცხლი გაიხსნა ესკორტის მხრიდანაც. სროლა სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. თავდასხმელებმა დიდ შეტაკებას თავი აარიდეს და ტყეში მიიმაღლნენ.

სამართალდამცველებმა დღემდე ვერ მოახერხეს ეჭვმიტანილების დაკავება. ინციდენტის ადგილის შესწავლისას დადგინდა, რომ კოლონას ცეცხლი ექვსმა თავდამსხმელმა გაუხსნა. საინტერესოა, რომ თავდამსხმელებმა ან არ იცოდნენ კოლონაში საკმაოდ მნიშვნელოვანი პირების ყოფნის შესახებ, ან თავდასხმის მიზანი მათი ლიკვიდაცია არ ყოფილა. თურქული პოლიციისთვის მთავარი ხელმოსაჭიდი იარაღის ის ტიპი გახდა, რომლითაც თავდასხმა განხორციელდა და რომელიც ქურთი სეპარატისტების არსენალში უხვად მოიპოვება.

მოგვიანებით, ამასეაში ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს, ერდოლანმა თავდასხმაში სწორედ ქურთი სეპარატისტები დაადანაშაულა. თავიდან, პოლიციის დაბნეულობას ის ინვევდა, რომ თავდასხმა ქურთთა მოქმედების ზონიდან საკმაოდ შორს მოხდა. თუმცა შემთხვევიდან რამდენიმე დღეში სამართალდამცავების ეჭვი გამართლდა და პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ქურთ მუშათა პარტიამ აიღო.

ქურთ მუშათა პარტია, ე.წ. PKK 1984 წლიდან ძალისმიერი მეთოდებით იბრძვის

ქურთისტანის დამოუკიდებლობისთვის. მათ მიერ განხორციელებულ თავდასხმებს დღემდე 40 ათას ადამიანზე მეტი ემსხვერპლა და შესაბამისად, თურქეთისა და მსოფლიოს დიდი ნაწილის მიერ იგი ტერორისტულ დაჯგუფებადაა შერაცხული. მართალია, PKK-მ 2010 წელს ბრძოლის შეწყვეტა გამოაცხადა, მაგრამ სამშვიდობო ზავი თურქეთის მთავრობასთან მხოლოდ ექვსიოდე თვეს გაგრძელდა და 2011 წლის თებერვალში ისინი კვლავ დაუბრუნდნენ ბრძოლის სისხლიან მეთოდებს.

რამდენიმე დღის წინ ქურთული საინფორმაციო სააგენტოს საშუალებით გაგრძელდა სეპარატისტების ლიდერთა განცხადებები, რომლებიც ანკარას 15 ივნისის შემდეგ დიდ ომს ჰპირდებიან. „საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თურქეთში ქურთთა საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად დიდი მოლაპარაკებები ან უპრეცედენტო სისხლისღვრა დაიწყება“, როგორც ამას ტერორისტთა ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს.

ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ თავდასხმის მთავარი მიზანი პროვოკაცია იყო. მათი აზრით, ტერორისტების გათვლა ასეთია:

თავხედურმა თავდასხმამ, ფიცხი ხასიათის მქონე ერდოლანი წყობიდან უნდა გამოიყვანოს და ქურთებით დასახლებულ რეგიონში რეპრესიები დაიწყოს. ეს კი ქურთი სეპარატისტებისთვის ორმაგად მომგებიანი იქნება. პირველ რიგში, რეპრესიები ქურთი ხალხის გალიზიანებასა და გამოფხიზლებას გამოიწვევს, რაც PKK-ს წისქვილზე ასხმას წყალს. მეორე მხრივ კი, 12 ივნისს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში მმართველ, „განვითარებისა და სამართლიანობის პარტიას“ საკმაოდ ბევრ ხმას დააკარგვინებს.

ხელისუფლების გუნდისთვის მომავალი საპარლამენტო არჩევნები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სწორედ ახალმა პარლამენტმა უნდა მოახდინოს 2010 წლის 12 სექტემბერს გამართული რეფერენდუმის შედეგების რატიფიცირება, რომელიც კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას ეხება. ეს ცვლილებები კი ერდოლანის პარტიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომაც არ არის გამორიცხული, თურქეთის ხელისუფლებამ ქურთთა ეს პროვოკაციული ნაბიჯი გარკვეული ხნით უპასუხოდ დატოვოს და არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დაატეხოს რისხვა ქურთ სეპარატისტებს. ■



თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოლანი მხარდამჭერთა აქციაზე, კასტამონუ, თურქეთი, 4 მაისი 2011

ფოტო: კო ნიჯი / REUTERS

აფხაზეთი და ოსეთი

## შენწყობილი მომსახურება

აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ინტერესების ლობისტი შეერთებულ შტატებში კომპანია „სელიორი“ იყო. ივნისის დასაწყისში ეს კომპანია ცხინვალისთვის მუშაობას შეწყვეტს, ხოლო სოხუმთან თანამშრომლობას ცალკეულ პროექტებამდე დაიყვანს.

ოლესია ვართანიანი, რადიო „თავისუფლება“, სპეციალურად „ლიბერალისათვის“

ორ წელიწადნახევრის განმავლობაში, კომპანია „სელიორი“ ვაშინგტონში დე-ფაქტო მთავრობების ერთგვარ ოფისს წარმოადგენდა. კომპანიის თანამშრომლები საქართველოს კონფლიქტების თემატიკაზე ანალიტიკურ ცენტრებში გამართულ ყველა დისკუსიას ესწრებოდნენ, სახელმწიფო დეპარტამენტსა და სენატში შეხვედრებს აწყობდნენ, ჰქონდათ ურთიერთობა ამერიკულ მედიასთან.

ცხინვალისათვის ეს კომპანია აშშ-ში ერთგვარ „ფანჯარად“ იქცა. ომის შემდგომ სამხრეთ ოსეთმა რამდენიმე წამყვან მსოფლიო გამოცემაში ცხინვალის წარმომადგენელთა სტატიების დაბეჭდვის ორგანიზება შეძლო. ისინი 2008 წლის ომის საკუთარ ვერსიაზე წერდნენ. „სელიორი კომპანის“ მეშვეობით, ცხინვალელი ჩინოვნიკები ამერიკის სახელმწიფო უწყებებში გამართულ შეხვედრებს ესწრებოდნენ, მათი კომენტარები ადგილობრივ გაზეთებში გამოჩნდა.

ამ კომპანიის ხელშეწყობით, გასული ორი წლის განმავლობაში, ამერიკელი ანალიტიკოსების მიერ მომზადებული, მინიმუმ, ორი სარეკომენდაციო ანგარიში გამოვიდა, რომელშიც ისინი ამერიკის ხელისუფლებას სოხუმისა და ცხინვალის მიმართ უფრო ღია პოლიტიკის გატარებისკენ მოუწოდებდნენ.

უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში, ამ მიმართულებით „სელიორი კომპანის“ აქტივობამ იკლო, ხოლო მომავალი თვიდან ის საერთოდ შეწყდება. ამის შესახებ ცნობილი გახდა კომპანიის ანგარიშიდან, რომელიც, აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, წელიწადში ორჯერ



სერგეი ბალაფში და ედუარდ კოკოიტი

ფოტო: ანდრე მონტენატი / REUTERS

ყველა ლობისტურმა კომპანიამ იუსტიციის დეპარტამენტს უნდა წარუდგინოს. აპრილის ანგარიშში, რომელიც დეპარტამენტის ვებგვერდზე გასულ კვირას გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ „სეილორ კომპანი“ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობისთვის მუშაობას წყვეტს.

კომპანიას მიზეზების ახსნა არ დაუწყია. „სეილორ კომპანის“ წარმომადგენელმა ვაშინგტონიდან, სტივ ელისმა ელექტრონულ წერილში „იმედი გამოთქვა“, რომ ცხინვალთან მუშაობა „მომავალში“ განახლდება. სოხუმთან თანამშრომლობა კი მხოლოდ „ცალკეულ პროექტებზე“ გაგრძელდება. მიზეზებზე არც დე-ფაქტო მთავრობებმა მოისურვეს საუბარი.

ლობისტური კომპანიის მხრიდან ცხინვალთან კონტრაქტის შეწყვეტა ბევრ კითხვას წარმოშობს.

საქმე ისაა, რომ ამ შემოდგომაზე ცხინვალში დე-ფაქტო პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. უკვე ერთი თვეა, მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება, რომ ედუარდ კოკოითი ხელისუფლებაში მესამე ვადით დარჩეს. უცხოელებისთვის ამ სცენარის წარმოჩენა, როგორც „პატარა სუვერენულ სახელმწიფოში დემოკრატიის განვითარება“, საკმაოდ გართულდება. ამერიკაში ლობისტის მხარდაჭერა სამხრეთ ოსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას ამაში ძალიან დაეხმარებოდა.

საერთაშორისო პუბლიკისათვის დე-ფაქტო ხელისუფლების მოქმედებების „განმარტების“ გარდა, „სეილორ კომპანი“ სამხრეთ ოსეთში რუსეთის ყოფნის გამართლებითაც იყო დაკავებული. ცხინვალის ხელისუფლებასთან 2010 წელს გაფორმებულ კონტრაქტში საუბარია, რომ საქმიანობის დროს კომპანიის წარმომადგენლებმა „რუსეთთან მჭიდრო კავშირების შენარჩუნების მნიშვნელობას, მათ შორის, სამხრეთ ოსეთის საზღვრებზე საქართველოს სამხედრო აგრესიისგან დაცვის მიზნით რუსი სამხედროების ყოფნის აუცილებლობას უნდა გაუსვან ხაზი“.

კომპანიის სხვა მიზნებს შორის კონტრაქტში ნახსენებია საინფორმაციო ომის წარმოება „საქართველოს და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ, რომლებიც განაგრძობენ სამხრეთ ოსეთის, როგორც

საერთაშორისო საზოგადოების წევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სამართლიანი სტატუსის უარყოფას“.

„საერთოდ მიკვირს, რომ თურმე ეს კომპანია დღემდე განაგრძობს ჩვენზე მუშაობას“ – ამბობს ჟურნალისტი სამხრეთ ოსეთიდან, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. მას და ბევრ სხვას სამხრეთ ოსეთში „სეილორ კომპანის“ მუშაობის შესახებ ბევრი ხანია არაფერი სმენია.

საქმე ისაა, რომ 2009 წლიდან „სეილორ კომპანის“ საქმიანობამ „ფარდის მიღმა“ გადაინაცვლა. მათ ჟურნალისტებთან ღია

**■ შემოდგომაზე ცხინვალში დე-ფაქტო პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. ამერიკაში ლობისტის მხარდაჭერა სამხრეთ ოსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას ძალიან დაეხმარებოდა.**

კავშირს ფრთხილი ურთიერთობა არჩივს.

„სეილორ კომპანის“ ტაქტიკის ასეთი ცვლილება 2008 წლის დეკემბერში ოსი უფლებადამცველის ლირა ცხოვრებოვას ირგვლივ აგორებულ სკანდალს მოჰყვა. კომპანია ცხოვრებოვას აშშ-ში გამგზავრებასა და ამერიკელ პოლიტიკოსებთან შეხვედრაში დაეხმარა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისი რამდენიმე სატელეფონო ჩანაწერი Associated Press-ს გადასცა. ამ ჩანაწერებში ცხოვრებოვა ცხინვალის „კავებეს“ წარმომადგენლებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს.

სეილორ კომპანიის დახმარებით, Associated Press-მა ლირა ცხოვრებოვა ინტერვიუზე ვაშინგტონში დაპატიჟა და ჩართული კამერების წინ გამოფრული სატელეფონო ჩანაწერები წარუდგინა. მას შემდეგ, რაც ცხოვრებოვამ ვერ შეძლო დამაჯერებელი გამართლების წარმოდგე-

ნა, „სეილორ კომპანის“ ხელმძღვანელმა ვიდეოკამერების გამორთვა მოითხოვა. „მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო. ყველამ ყველაფერი გაიგო,“ – მითხრა Associated Press-ის ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მეტსიგალმა. მისმა სტატიამ და სკანდალურმა ვიდეო კადრებმა მსოფლიო მედია შემოიარა.

ამის შემდეგ „სეილორ კომპანის“ წარმომადგენლები პრეს-რელიზების დაგზავნითა და ჟურნალისტების კითხვების ცხინვალსა და სოხუმში „შემონმებული ადამიანებისაკენ“ გადამისამართებით შემოიფარგლებოდნენ.

„სეილორ კომპანი“ 2007 წელს „ლოს-ანჯელეს ტაიმისს“ ყოფილმა მთავარმა რედაქტორმა მარკ სეილორმა დააფუძნა. მთავარი ოფისი კალიფორნიაში მდებარეობს, მაგრამ კომპანიის წარმომადგენლობა ვაშინგტონშიც აქვს. „სეილორის“ კლიენტებს შორის იყვნენ არაბთა გაერთიანებული საამიროებისა და ეთიოპიის მთავრობები.

უკანასკნელი ორ წელიწადნახევრის განმავლობაში კომპანია ძირითად შემოსავალს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე მუშაობიდან იღებდა. წელიწადში ორი დე-ფაქტო მთავრობისგან კომპანია 720 000 აშშ დოლარს იღებდა. შედარებისთვის – საქართველოს მთავრობამ სამ ამერიკულ ლობისტურ კომპანიას გასულ წელს სულ რაღაც 30%-ით მეტი – დაახლოებით, ერთი მილიონი დოლარი გადაუხადა.

„ამ კომპანიის დაქირავების რჩევა მოსკოვიდან წამოვიდა. მაშინ აქ (ომის შემდგომ თვეებში) ამაზე არავინ ფიქრობდა“, – მიყვება ცხინვალის ჟურნალისტიური წრეების წარმომადგენელი. „ყველას კარგად გვესმოდა, რომ ეს ყველაფერი ყალბია“.

რუსული დაფინანსება „სეილორ კომპანის“ საჯარო დოკუმენტებში არ ფიგურირებს. მთელი ფული ოფიციალურად სოხუმსა და ცხინვალიდან მოდიოდა. მაგრამ ცოტას თუ სჯერა, რომ ამ დე-ფაქტო რესპუბლიკებს მსგავსი თანხების გაღება დამოუკიდებლად შეეძლო.

„ფული მოსკოვიდან მოდიოდა და შემდეგ ხდებოდა მათი გადარიცხვა აშშ-ში ერთი ანგარიშიდან მეორეზე“, – ვარაუდობს ცხინვალელი ჟურნალისტი. **■**





# "ქართული პარტიის" ჰაიბრიდი

გასულ კვირას „ქართული პარტიის“ გააქტიურებამ კიდევ უფრო დაანანევრა ოპოზიცია, გაანანყენა ამერიკელი პარტნიორები და ხელისუფლება კარგ გუნებაზე დააყენა.

სოფო ბუკია, მია ნიკლაური

რამდენიმე ათეული ავტომანქანისა და ავტობუსისგან შემდგარი კოლონა კახეთში პარტიული დროშებით – თეთრ ფონზე იასამინისფერი ყურძნით, 90-იანი წლებში პოპულარული პატრიოტული მუსიკითა და იმ წლებისვე ლოზუნგებით შევიდა.

„ქართული პარტიის“ კახეთის აქცია იმის დემონსტრირება უნდა ყოფილიყო, რომ ხელისუფლების შესაცვლელად ხალხის მობილიზება ადვილია და ხალხი ახალი რევოლუციისთვის მზად არის.

კახეთის რამდენიმე რაიონული ცენტრის შემოვლის შემდეგ ყვარლის გამგეობასთან კონცერტი გაიმართა, სადაც აქტივისტები მთავრობის წევრების და ოპოზიციის წარმომადგენლების პაროდებს ასრულებდნენ. კონცერტი სააკაშვილის როლის შემსრულებელმა სიმღერით „ქეიფს ვინცებ დილიდან“ გახსნა. ვერა ქობალიამ – „მე ვარ ერთი ციდა“ იმღერა, ლევან გაჩეჩილაძემ – „ტრულიაილას ფული რად უნდა“, ნინო ბურჯანაძემ სა-

აკაშვილს უმღერა „ვიყავით ერთად, სხვა სიყვარული არ გვინდოდა“. კონცერტში უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერიაც მონაწილეობდა, სიმღერით „ჩიორა ჩიტო, უარს ნუ მეტყვი“, რომელიც მან „ნატო“-ს მიუძღვნა. შესრულდა სხვა პოპულარული ჰიტებიც.

„ძალიან მაგარია“, „გენაცვალეთ“, – ყვიროდნენ ყვარლები. „კარგა ხანია, ასეთი კონცერტი არ ჩატარებულა ჩვენთან“, – უთხრა „ლიბერალს“ 21 წლის ნათიამ.

მუსიკალური რეპერტუარი პოლიტიკურმა განცხადებებმა შეცვალა:

„დედას გეფიცებით, თუ არ ღირდეს ამ ჭირის (საკაშვილის ხელისუფლება) თავის შეკვლა და ტყვიაზე ნასვლა“, – აღნიშნა საკუთარი გამოსვლისას ლევან გაჩეჩილაძემ.

„ბიჭებმა იფიქრეს, გაზაფხულდა და ერთი კარგი მწვადი შევწვათო, ტყეში გავიდეთო, ბუნებაშიო, თითო ჭიქა ავნიოთო... გამოუცვივდა გარემოს დაცვის ინსპექცია და 400-400 ლარით

დააჯარიმეს. ეს არის ანტიქართული, ანტიადამიანური ხელისუფლება, რომელიც ცდილობს ყველაფერი ქართული წაშალოს“, – განაცხადა სუბარმა.

„თუ აქამდე ქართველები ყველაზე ლამაზს – ეკლესიებს ვაშენებდით, ახლა ყველაზე ლამაზს პოლიციის შენობებს გვიშენებენ,“ – მიმართა ხალხს ეროსი კინმარიშვილმა.

„გაუმარჯოს ჯვარს, გაუმარჯოს ვაზს, გაგიმარჯოთ, თქვენ, ქართველებო!“ – ისმოდა შეძახილები.

კონცერტის შემდეგ ყველანი ერთად სავახშმოდ წავიდნენ. როგორც ეროსი კინმარიშვილმა აღნიშნა, კახეთში ერთი რესტორანი არ აღმოჩნდა, რომელიც 1200 ადამიანს დაიტევდა, ამიტომ რევოლუციონერები სხვადასხვა რესტორნებში გადანაწილდნენ.

„ბრძოლის მერე კვება ბუნებრივი მოთხოვნილებაა“, – აღნიშნა კინმარიშვილმა.

ასე დაიწყო სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ „ქართული პარ-

ტიის“ რევოლუცია, რომელსაც კიდევ უფრო შთამბეჭდავი გაგრძელება მეორე დღეს ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში ჰქონდა, როცა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ირაკლი ოქრუაშვილმა პარიზიდან განცხადება გააკეთა:

„ჩვენ გვაქვს მკაფიო სტრატეგია. ბევრი აქცია გვაქვს დაგეგმილი, რომელიც დღეების და კვირების მიხედვითაა განერილი. ერთ-ერთი მათგანია სათავესთან მისვლა და ონკანის გადაკეცვა. ეს ონკანი მდებარეობს დილომში, ამერიკის საელჩოში, საიდანაც მოდის ის ნიაღვარი, რომლითაც ინამლება ქართული საზოგადოება. 16 მაისს ჩვენი, თბილისის აქტივისტები მივლენ ამერიკის საელჩოსთან... რომ გააპროტესტონ, რაც მომდინარეობს ამერიკის საელჩოსგან, მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მხარდაჭერით რეჟიმისადმი, რომელიც ძალადობს ხალხზე... თუ რუსები ტერიტორიას გვართმევენ, ამერიკელები გვართმევენ თავისუფლებას“, — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

რა შედეგითაც უნდა დასრულდეს „ქართული პარტიის“ საგაზაფხულო აქტივობა, ოქრუაშვილის განცხადება, რომელმაც მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, სავარაუდოდ, ისტორიას შემორჩენს როგორც ამ პოლიტიკოსის მორიგი ფრთიანი გამონათქვამი და ახალი ეტაპის დასაწყისი ქართულ პოლიტიკაში.

ბოლო წლების განმავლობაში არც ერთი პოლიტიკური ძალა ასე ღიად და აშკარად არ დაპირისპირებია აშშ-ს. ხელისუფლების მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც თანხმდებოდნენ, რომ ეს ქვეყანა დემოკრატიისა და დასავლური ღირებულებების მთავარი გამავრცელებელია საქართველოში.

ოქრუაშვილის განცხადებას „ქართული პარტიის“ სხვა ლიდერებმაც დაუჭირეს მხარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკის პოლიტიკისადმი კრიტიკული განწყობა ამ პარტიის ოფიციალური სტრატეგიაა და არა მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის ემოციური



ფოტო: შპს „საქტელ“

„ქართულმა პარტიამ“ ყვარელში თეატრალიზებული აქცია მოაწყო, 9 მაისი 2011

ნამოცდენა. „გამოდით იმ შოკიდან, რომ, აი, რა თქვა თურმე „ქართულმა პარტიამ“, — ამბობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში ეროსი კინმარიშვილი, — „ჩვენ არავის ვუპირისპირდებით. ჩვენ ვამბობთ: ობამა, გადატვირთე ბუში-სააკაშვილი. თუ არის გადატვირთვა რუსეთში, თუ არის გადატვირთვა არაბულ სამყაროში, გადატვირთე პოლიტიკა საქართველოშიც!“

ხელისუფლებამ „ქართულ პარტიას“ მყისიერად დაუსვა „დიაგნოზი“, მათ „ცალსახად პრორუსული ძალა“ უწოდა. „ეს არის ძალაუფლებისადმი სწრაფვის განუზომელი სურვილი, და ვისთან და რასთან ერთად, ამას უკვე მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მათ დაინახეს, რომ დასავლეთში მხარს არავინ უჭერთ და მაქსიმალურად ცდილობენ პარტნიორები

ჩრდილოეთში იპოვონ“, — ამბობს მმართველი გუნდის წევრი, დეპუტატი დავით დარჩიაშვილი.

ოქრუაშვილის ხმაურიანი განცხადების შემდეგ, დანარჩენი ოპოზიცია, რომელიც ეკრანებზე იშვიათად ჩნდება, უცებ ნაციონალური მედიისთვის საინტერესო აღმოჩნდა. პოლიტიკოსები ერთი მეორის მიყოლებით გობდნენ ოქრუაშვილის განცხადებას და აღნიშნავდნენ, რომ „ქართულმა პარტიამ“ ცალსახად პრორუსული კურსი აირჩია.

„ყველა რევოლუციას სჭირდება შიდა ლეგიტიმაცია და გარე ლეგიტიმაცია, ქართველი ხალხის მხარდაჭერა და საერთაშორისო საზოგადოების აღიარება. საინტერესოა, სად აპირებს „ქართული პარტია“ თავიანთი რევოლუციის ლეგიტიმაციას? როდესაც აშშ-ს და მთელ დასავლურ სამყაროს



■ „გამოდით იმ შოკიდან, რომ, აი, რა თქვა თურმე „ქართულმა პარტიამ“. ჩვენ არავის ვუპირისპირდებით. ჩვენ ვამბობთ: ობამა, გადატვირთე ბუში-სააკაშვილი. თუ არის გადატვირთვა რუსეთში, თუ არის გადატვირთვა არაბულ სამყაროში, გადატვირთე პოლიტიკა საქართველოშიც!“

პროტესტს უცხადებს? ერთადერთი ძალა რჩება, ვისაც შეუძლია „ქართული პარტიის“ რევოლუციის აღიარება – რუსეთი,“ – განაცხადა „რესპუბლიკელმა“ დავით უსუფაშვილმა.

ნინო ბურჯანაძემაც კი, რომელსაც ყველაზე ხშირად უწევს ოპონენტების მხრიდან პრორუსულობის შესახებ ბრალდებების მოსმენა, აღნიშნა, რომ აშშ-ის კრიტიკით „ქართული პარტია“ ხელისუფლების თამაშს თამაშობს:

„ოქრუაშვილის განცხადებამ, სამწუხაროდ, ჩვენი საფუძვლიანი ეჭვი დაადასტურა და „ქართული პარტიის“ ლიდერებს ნილაბი ჩამოხადა,“ – განაცხადა ბურჯანაძემ.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობამ მნიშვნელოვნად განაპირობა ბოლო წლების ქართული საშინაო პოლიტიკა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და მას შემდეგ, რაც კრემლმა ღიად განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად, კრემლთან ნებისმიერი ქართველი პოლიტიკოსის კონტაქტი ქვეყნის ღალატად მიიჩნეოდა. ამ საქმეში ხელისუფლებას მნიშვნელოვანი მოკავშირეები ჰყავდა – მაგალითად, ბურჯანაძის და ნოლაიდელის მოსკოვში ვიზიტების შემდეგ მთავარი კრიტიკა სწორედ მათი ოპოზიციონერი ოპონენტების მხრიდან მოდიოდა.

ამ ეტაპზე „ქართული პარტია“ ოპონენტების ეჭვების გაქარვებაზე დიდ ენერჯიას სულაც არ ხარჯავს. სააკაშვილის ყოფილი თანამებრძოლებისგან შემდგარი გუნდი ქართულ პოლიტიკაში განსხვავებული ნიშის დაკავებას ცდილობს, რაც „ლიბერალთან“ ინტერვიუში ეროსი კინმარიშვილმაც დაადასტურა:

„ჩვენი განცხადებების მთავარი ადრესატია ქართველი ხალხი. სააკაშვილი ამბობს, მე ვარო ყველაზე პროამერიკული და დასავლური ღირებულებების მატარებელი. მთელი ოპოზიციური სპექტრი ამბობს, რომ ჩვენ კიდევ უფრო პროამერიკულები ვართ, ვიდრე სააკაშვილიო. ანუ კონკურენცია მიდის ნიშაში, რო-

მელსაც დასავლური ფასეულობები ჰქვია და რომელთა შედეგს ქართველი ხალხი რეალურად ვერ ხედავს. ამ მანიპულაციების პირობებში, საზოგადოებაში დაინერგა დასავლეთის და ზოგადად, დასავლური ფასეულობების მიმართ ნიჰილიზმი. ჩვენ ვლაპარაკობთ არა ანტიამერიკანიზმზე, არამედ სწორედ ამ ფასეულობების დისკრედიტაციაზე“.

კინმარიშვილი ამბობს, რომ „ქართული პარტიის“ მხარდამჭერები ის ადამიანები არიან, რომლებსაც ჰქონდათ სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ გარკვეული მოლოდინები, თუმცა ყველა მიმართულებით იმედი გაუცრუვდათ.

„სააკაშვილის ხელისუფლება გაურკვეველ მოლოდინებს უქმნიდა გლეხებს, მასწავლებლებს... ბიზნესმენებს, რომლებიც ჩამოიყვანა სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში ბიზნესის საკეთებლად და შემდეგ გააცურა. ომის შემდეგაც ქართველმა ხალხმა იკითხა – სად იყო ამერიკული დახმარება?“

„რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი, რომელიც „ქართულ პარტიას“ პრორუსულ ძალას უწოდებს, არ უარყოფს, რომ დასავლეთის მიმართ ნიჰილიზმი ქართულ საზოგადოებაში მართლაც არსებობს. მისი აზრით, რადიკალური ოპოზიციაც ცდილობს, მიიმხროს ეს ხალხი და მათ განწყობებზე ითამაშოს:

„რადიკალებს კი არა, „რვიანის“ ფორმატში მომუშავე ოპოზიციასაც უჭირს ხალხის დარწმუნება, რომ დასავლეთი მხარს უჭერს საქართველოში დემოკრატიულ პროცესებს. ეს იმიტომ ხდება, რომ საზოგადოების ცნობიერებაში დაიღუპა აზრი: ამერიკა სულ სააკაშვილის მხარეს არის. ეს აზრი განსაკუთრებით მოსახლეობის იმ ნაწილშია პოპულარული, რომელსაც პროტესტის დიდი გრძნობა აქვს“.

რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის მომხრე „ქართული პარტიის“ პოტენციური ამომრჩევლები არიან ასევე ის ადამიანები, რომლებსაც

საკუთარ თავზე საბჭოთა დროის გარკვეული კეთილდღეობა გამოუცდიათ. „ქართული პარტია“ დღეს ცდილობს, მათთვის სწორედ ამ კეთილდღეობის დაბრუნების შანსთან ასოცირდეს.

NDI-ს მიერ 2011 წლის მარტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელსაც ოპოზიციამ, მათ შორის, „ქართულმა პარტიამაც“ უნდობლობა გამოუცხადა, გამოკითხულთა 74 პროცენტი რუსეთთან დიალოგის აღდგენის მომხრეა.

ყველაზე მეტ პოტენციურ ამომრჩევლს „ქართული პარტია“ მაინც მათ რიგებში იპოვის, ვისაც სააკაშვილის ხელისუფლებასთან მენტალური პრობლემები აქვს, ვინც ელიტის და გარკვეული სოციალური უზრუნველყოფის მიღმა აღმოჩნდა, რადგან ახალმა ხელისუფლებამ ახალი ელიტა წარმოშვა, რომლისთვისაც სხვა ღირებულებებია პრიორიტეტული.

ყველა ამ ტიპის ამომრჩევლისთვის „ქართულ პარტიას“ კონკრეტული ლოზუნგები და აქტივობები აქვს.

დასავლეთის მიმართ ნიჰილისტურად განწყობილები 16 მაისს აშშ-ის საელჩოსთან შეიკრიბებინან. ხელისუფლების მენტალობით უკმაყოფილოებისთვის კახეთში გაკეთდა განცხადებები „ყველაფერი ქართულის მოსპობის“ შესახებ.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, „ქართული პარტია“ დაფუძნების დღესვე შეჰპირდა საკუთარ ამომრჩევლს, რომ კრემლთან დიალოგის აღდგენა მისი მთავარი პრიორიტეტი იქნება. პარტიის პრეზენტაციაზე ითქვა, რომ „ქართული პარტიისთვის“ მნიშვნელოვანია, თუმცა არა პრიორიტეტული „ნატო“-ში განწევრიანების საკითხი. „ნატო“-სთან ურთიერთობამ საქართველოს სასიკეთო შედეგი ვერ მოუტანა. მე არ ვთვლი, რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გასაღები რომელიმე სამხედრო ალიანსშია“, – აცხადებდა ლევან გაჩეჩილაძე.

„ლიბერალთან“ ინტერვიუში ეროსი კინმარიშვილი ამბობს, რომ მოსკო-

ვთან ლაპარაკი კვლავინდებურად „ქართული პარტიის“ დღის წესრიგში ერთ-ერთი მთავარი საკითხია. იგი ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ კრემლთან დიალოგი მხოლოდ მის გუნდს შეუძლია:

„რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის დასაწყებად, პირველ რიგში, ჩვენ უნდა მოვიდეთ ხელისუფლებაში. რუსეთი ამბობს, რომ სააკაშვილთან არ ისაუბრებს და მე ვერ დაველოდები როდის ამოიწურება სააკაშვილის ვადა იმისთვის, რომ დავინყო დიალოგი უმნიშვნელოვა-

**■ კინმარიშვილი ამბობს, რომ „ქართულ პარტიაში“ კონკრეტული თარიღების დასახელება არ უყვართ, თუმცა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის კულმინაციას, სავარაუდოდ, ნოემბერში ელოდებიან. „შემოდგომაზე გრძელვადიანი პერსპექტივა არ არსებობს. შემოდგომაზე ჩვენ დავინყებთ მასობრივ აქციებს“.**

ნეს მეზობელ ქვეყანასთან... პირველ რიგში, გვერდზე უნდა გადავდოთ ის საკითხები, სადაც კატეგორიული წინააღმდეგობა გვაქვს – ასეთი საკითხებია აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ვინცებთ პატარა პრობლემების გადაწყვეტას – მაგალითად, რეგულარული რეისების აღდგენას. სააკაშვილი ურთულეს მემკვიდრეობას გვიტოვებს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავინყოთ პროცესი“.

„ქართული პარტიის“ არსებობის მანძილზე რუსულ თუ ქართულ მედიაში მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი რუსული სცენარით მოქმედებს და

რუსეთიდან ფინანსდება.

ეს თემა კიდევ უფრო აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც აპრილში „ქართულ პარტიაში“ რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი კონსტანტინე გოგელია განწევრიანდა, რომელსაც რუსული მედიის ინფორმაციით, რუსეთის ხელისუფლებასთან კარგი კავშირები აქვს. გოგელიას მეუღლემ – მაკა ასათიანმა ტელეკომპანია „მექსტროს“ 25 პროცენტის ნილი შეიძინა. ამ ტელეკომპანიის 25 პროცენტს ლევან გაჩეჩილაძის ძმა გია გაჩეჩილაძე ფლობს, ხოლო მის მართვას ეროსი კინმარიშვილის მიერ დაფუძნებული „რუსთავის მედიის მართვის კომპანია“ უზრუნველყოფს.

ფინანსურ რესურსებზე „ლიბერალთან“ საუბრისას ეროსი კინმარიშვილი ამბობს: „ქართულ პარტიას აქვს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ ესხას ბენზინი და მოძრაობდეს. ეს ისეთივე რესურსით ხორციელდება, როგორც სხვა წარმატებული პროექტები, რომლებიც მე მიკეთებია“.

„ქართული პარტიის“ ფემინისტურ ოფისში უზნაძის ქუჩაზე ისეთი სამუშაო ფუსფუსია, როგორც პარტიულ ოფისებში წინასაარჩევნოდაა ხოლმე. აქ 16 მაისს აშშ-ის საელჩოსთან მრავალათასიანი აქციისთვის ემზადებიან. ასევე უახლოეს დღეებში კინმარიშვილი-სუბარი-გაჩეჩილაძე დასავლეთ საქართველოში აქციების გამართავენ, რათა „საზოგადოებრივი განწყობების მობილიზაცია“ მოახდინონ.

ეროსი კინმარიშვილი ამბობს, რომ „ქართულ პარტიაში“ კონკრეტული თარიღების დასახელება არ უყვართ, თუმცა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის კულმინაციას, სავარაუდოდ, ნოემბერში ელოდებიან. „შემოდგომაზე გრძელვადიანი პერსპექტივა არ არსებობს. შემოდგომაზე ჩვენ დავინყებთ მასობრივ აქციებს“.

პარიზიდან საქართველოში ჩამოსვლის პირობას პარტიის ვიდეოლიდერი ირაკლი ოქრუაშვილიც დებს, რომელსაც ხელისუფლებისთვის პრობლემების შექმნის ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს. **■**



**ლიბერალი**

იკითხეთ

ლიბერალის პორტალი

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

**დავით ჩხლაძის ბლოგი**

**რამდენიმე სიტყვა ახალგაზრდულ ლაგორატორიაზე და მის პრობლემაზე**

ნებისმიერი ახალგაზრდული მოძრაობა განწირულია, თუკი მას თავისი გმირები არ ჰყავს. ახალგაზრდობის გმირი – ეს ის ადამიანია, რომელსაც შეუძლია მთავარი სათქმელი პოპულარულ ენაზე ისე თქვას, რომ აბსოლუტურად ინდიფერენტულმა და კონფორმისტმა ახალგაზრდებმაც კი აიტაცონ დისიდენტური მესიჯები და საბოლოოდ, თუნდაც პრიმიტიული სლოგანის ქვეშ გაერთიანდნენ. ახალგაზრდობის გმირი, ეს იდეოლოგია, რომლის ქმედებებსა და თუნდაც პატარა მოწოდებებს ლამის გარდაუვალ ჭეშმარიტებად აქცევენ.



**გიორგი ცხადაიას ბლოგი**

**კლანურობა – ჩვენი საზოგადოების მთავარი პრობლემა**

საქართველოში მოქალაქეებს შორის ნდობის ნაკლებობისა და სამოქალაქო საზოგადოების პრობლემების შესახებ არაერთხელ დანერგა და კვლევაც ჩატარებულა. უნდობლობის მთავარი მიზეზი ჩვენი კლანური მენტალიტეტი – ჩვენ ვხედავთ და ვაფასებთ მხოლოდ „ჩვენიანებს“ და იგნორირებას ვუკეთებთ და ზოგჯერ ვამცირებთ/ ზიანს ვაყენებთ „სხვებს“. ამ „სხვებში“ შედიან არა მხოლოდ განსხვავებული იდენტობის მქონე ადამიანები (სხვა ეთნიკური, რელიგიური შეხედულებების ან სექსუალური ორიენტაციის ადამიანები), არამედ დომინანტური იდენტობის მქონენიც – ისინი, ვინც, უბრალოდ, სხვა „კლანს“ მიეკუთვნებიან.

**თიკო ცომაიას ბლოგი**

**ჩემს მეგობრებს**

მეგობრობაზე დანერა, პირველ რიგში, ნიკუშას გამო ვადაუნყვიტე. ამას კიდევ რამდენიმე მიზეზიც დაემატა: ამ დღეებში მივიღე მეიოს კლინიკის ჩემი საყვარელი ელექტრონული გაზეთი, სადაც ჯანმრთელობაზე მეგობრობის გავლენაზე წერდნენ, ფრონტლანდის კლუბში ჰანს გუტბორდის მოხსენებას მოვუსმინე სოციალურ კაპიტალზე და ბოლოს წავიკითხე გიორგი ცხადაიას ბლოგი, რომელშიც „მეგობრობის ჩვენიული გაგება“ კლანურობასთან არის გაიგივებული.



**თამარ ალავეიძის ბლოგი**

**კარლის სამოთხის ექსტრავაგანტული მხარე**

„შანელის“ სახლისთვის შექმნილი კარლ ლაგერფელდის 2012 წლის საკურორტო კოლექცია ნახეთ?! (თუ გაიფიქრეთ, „რადროს „შანელია“, ქვეყანა გვენგრევა თავზე“, შეგიძლიათ, აქვე დაასრულოთ ამ წერილის კითხვა).



ენერგეტიკა

## სჭიხდება თუ ახა საქართველოს ხუდონჰესი?

ფოტო მანანა ვარდიანი

ხუდონჰესი მხოლოდ დასაწყისია – მთავრობის გეგმით, 5-6 წელიწადში საქართველო რეგიონში ელექტროენერჯის მთავარი ექსპორტიორი უნდა გახდეს. ამისთვის ქვეყნის ხელისუფლება 17 ახალი ჰესის აშენებას აპირებს.

### ნათია ევგოშვილი, მანანა ვარდიანი

22-წლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ხუდონჰესის მშენებლობის დასრულებას აპირებს. პრემიერ-მინისტრ გილაურის განცხადებით, ინდურ კომპანია Trans Electrica LTD-სთან ხუდონჰესის მშენებლობის თაობაზე მილიარდდოლარიანი კონტრაქტი უახლოეს პერიოდში გაფორმდება. მოსამზადებელი სამუშაოები ადგილზე ერთ თვეში დაიწყება. გეგმის თანახმად, ჰესის მშენე-

ბლობა 2018 წლისთვის უნდა დასრულდეს.

ათწლეულების წინ დაკონსერვებული ხუდონჰესის პროექტის მშენებლობის აუცილებლობას ხელისუფლება საქართველოში ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნით ასაბუთებს. მთავრობის პროგნოზით, ეკონომიკის ზრდის არსებული ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა ყო-

ველწლიურად 8 პროცენტით გაიზრდება.

ამჟამად საქართველოს ჰიდროენერგეტიკული სექტორი წელიწადში 8 გიგავატ ელექტროენერჯიას გამოიმუშავებს. გამომუშავებული ელექტროენერჯის 80 პროცენტი ჰიდროელექტროსადგურების, 20 პროცენტი კი თბოელექტროსადგურების წილად მოდის. ექსპორტზე საქართველოში წარმოებული ელექტროენერჯის დაახლოებით 2 პროცენტი გადის.



ხუდონჰესი

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური ამბობს, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ჰიდროპოტენციალის მხოლოდ 18%-ია ათვისებული. მთავრობა მასშტაბური ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხორციელებისთვის ემზადება. პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველოს 2015 წლისთვის 17 ახალი ჰიდროელექტროსადგური ექნება, ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული სექტორი კი მომდევნო 7 წლის განმავლობაში 5 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციას მოიზიდავს.

მთავრობის გადაწყვეტილებით, 5-6 წელიწადში საქართველო რეგიონში ელექტროენერჯის მთავარი ექსპორტიორი

უნდა გახდეს, 2016 წლისთვის კი ქვეყნის შიგნით გამომუშავებული ელექტროენერჯის ოდენობა წლიურ 16 გიგავატამდე უნდა გაორმაგდეს.

ჯერჯერობით, ქართული ელექტროენერჯის მთავარი საექსპორტო ბაზარი თურქეთია. მაგრამ, 2012 წელს თურქეთი ერთიან ევროპულ ენერგოსისტემას შეუერთდება, რაც საქართველოს ელექტროენერჯის ევროპის ქვეყნებში გატანის შესაძლებლობას მისცემს. მომავალ წელს ამოქმედდება საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის გადაცემი ხაზი. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებითაც შენდება. პარალელურად, საქართველოს მთავრობა დენის ექსპორტის თაობაზე მოლაპარაკებებს სირიასა და ერაყთან აწარმოებს.

საქართველოში 26 ათასი მდინარეა და წლიურად 80 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერჯის გამომუშავება შესაძლებელი. თუმცა, დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისთვის მხოლოდ სამი მდინარეა მიმზიდველი: ენგური, რიონი და მტკვარი. მდინარე ენგურის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი დაახლოებით 3540 მგვტ სიმძლავრედ არის შეფასებული. მას 10 მილიარდამდე კილოვატ/საათი ელექტროენერჯის გამომუშავება შეუძლია. ამ დროისთვის, ენგურჰესითა და ვარდნილჰესების კასკადით მდინარის პოტენციალის მხოლოდ ნახევარია ათვისებული. ენგურის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის სრული ათვისებისთვის ხუდონჰესის გარდა დამატებით კიდევ სამი ჰესის – ხაიშიჰესის, ტობარიჰესისა და ფარიჰესის აშენება დაგეგმილი.

**ხუდონჰესი 2018**

650 მეგავატისანი ხუდონჰესი, 200 მეტრამდე სიმაღლის კამხლითა და 230 მილიონი კუბ. მ. მოცულობის რეზერვუარით, ზემო სვანეთის სოფელ ხაიშში, მდინარე ენგურზე აშენდება. 1300 მეგავატისანი ენგურჰესის შემდეგ ის საქართველოში სიმძლავრით მეორე ელექტროსადგური იქნება და წლიურად 1.4 მლრდ კილოვატ ელექტროენერჯის გამოიმუშავებს.

პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა უკვე დასრულდა. „კვლევამ დაადასტურა, რომ ხუდონჰესის მშენებლობა მომგებიანია, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი ინვესტიცია იქნება განხორციელებული და მშენებლობაც რთული იქნება. დღევანდელი ბაზრის გათვალისწინებით, ჰესის მშენებლობა ეკონომიკურად მისაღებია“, – ამბობს პრემიერ-მინისტრი გილაური.

წინასწარი გათვლებით, ხუდონჰესის მშენებლობის შემდეგ, საქართველოში ელექტროენერჯის გენერაცია 20%-ით მოიმატებს. ჰესის მიერ გამომუშავებული 1 კილოვატი ელექტროენერჯის ფასი სავარაუდოდ, 7-8 ცენტი იქნება. ხუდონჰესის წარმოებული ელექტროენერჯის ნაწილი შიდა ბაზარს მოხმარდება, ნაწილი კი ექსპორტზე თურქეთში გავა, სადაც კილოვატი ელექტროენერჯის ღირებულება 10-11 ცენტია.

ინდურმა კომპანიამ ჰესის წინასწაროქტო კვლევებისთვის 7 მილიონი დოლარი უკვე დახარჯა.

**ხუდონჰესის გმინებლები: საბჭოთა ინდუსტრიული ტიპიდან ვირჯინიის კონსერვატივამდე**

ხუდონჰესის მშენებლობა 1979 წელს დაიწყო. მდინარე ენგურის მთელ სიგრძეზე ათვისების გრანდიოზული გეგმა საბჭოთა საქართველოს „ინდუსტრიული ოცნების“ ნაწილი იყო. მდინარის ქვემო დინებაზე ენგურჰესისა და ოთხი ვარდ-

**ახალი ჰესები და ტახიფები**

ამჟამად საქართველოში ელექტროენერჯის ტარიფი რეგიონში ყველაზე მაღალია. ექსპერტთა შეფასებით, ახალი ჰიდროენერგეტიკული პროექტების ბუმი დენის ტარიფის გაიფხვას არ გამოიწვევს. მათი აზრით, ინვესტორების მოზიდვის მიზნით, მთავრობა შიდა ბაზარზე მაღალი ფასების შენარჩუნებას შეეცდება. ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, მარიამ ვალიშვილის თქმით, ახალი ჰესების მშენებლობის მთავარი მიზანი საქართველოს ენერგო-ექსპორტიორ ქვეყნად ქცევაა.



ფოტო: ბანანა, ქოქლასად

**ენგურჰესითა და ვარდნილჰესების კასკადით მდინარის პოტენციალის მხოლოდ ნახევარია ათვისებული. ენგურის პოტენციალის სრული ათვისებისთვის ხუდონჰესის გარდა დამატებით კიდევ სამი ჰესის აშენებაა დაგეგმილი.**

ნილის კასკადის აგების შემდეგ, ჯერი ზემო დინებაზე მიდგა. ზემო სვანეთში ხუდონჰესისა და დამატებითი ვარდნილების (600 მეგავატიანი ტობარჰესი და 69 მეგავატიანი ნენსკრის კასკადი) აგება დაიგეგმა. დამატებითი ჰესების აშენების მთავარი მიზანი რუსეთის სამხრეთ რაიონების ელექტროენერჯით მომარაგება იყო. პროექტი 1979–82 წლებში „თბილჰიდროპროექტში“ დამუშავდა და მოსკოვში დამტკიცდა, რადგან 300 მეგავატზე მეტი სიმძლავრის ჰესის მშენებლობა იმ პერიოდში საკავშირო დონეზე წყდებოდა.

1988 წელს საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილი ახლად ფეხადგმულ ეროვნულ მოძრაობასთან ერთად ხუდონჰესის მშენებლობას დაუპირისპირდა.

იმ დროისთვის ჰესზე სამუშაოების 25 პროცენტი უკვე შესრულებული იყო, გაწეული ხარჯი კი 150 მილიონ მანეთს შეადგენდა. 1988 წელს სპიტაკში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ საპროტესტო აქციები დაიწყო. ქართველი მეცნიერები ხუდონჰესის კაშხლის არასაიმედოობაზე, „რუსთაველის საზოგადოებაში“ ჩამოყალიბებული ზურაბ ჟვანიას „მწვანეთა მოძრაობა“ კი მოსალოდნელ ეკოლოგიურ კატასტროფაზე ალაპარაკდა. ჯვრისა და მესტიის მოსახლეობამ შიმშილობა გამოაცხადა, თბილისში კი მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით ასობით ათასიანი მიტინგები იმართებოდა. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, 1989 წელს ხუდონჰესის მშენებლობა შეჩერდა.

90-იანი წლების საყოველთაო ენერგოკრიზისის დროს შევარდნაძის ხელისუფლება საქართველოს „ჩაბნელებაში“ ეროვნულ მოძრაობას და „მწვანეთა პარტიას“ ადანაშაულებდა.

„ამ საკითხით აპელირება ზურაბ ჟვანიას და, ზოგადად, მწვანეთა მოძრაობის დისკრედიტაციის მიზნით ხდებოდა. ამბობდნენ, რომ ხუდონჰესის მშენებლობის დასრულება ბნელ ზამთრებს აგვაცილებდა. მაგრამ, ენერგოსექტორში კრიზისი კორუფციის შედეგი იყო, ჯოხის „მწვანეთა პარტიაზე“ გადატეხა კი – არამართებული. საბჭოთა კავშირის დანგრევასთან ერთად, ბუნებრივია, შეჩერდა ყველა ის საკავშირო პროექტიც, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლა კანონზომიერი მოვლენა იყო. ხუდონჰესს დასრულება მაინც არ ეწერა,“ – ამბობს „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი გია გაჩეჩილაძე.

90-იანი წლების ბოლოს ხუდონჰესის მშენებლობის აღდგენის აუცილებლობაზე საუბარი ისევ განახლდა. მაგრამ, ძვირადღირებული პროექტისთვის რეალური



ინვესტორი ვერ მოიძებნა. მოგვიანებით, ზურაბ ჟვანიამ პოზიცია შეიცვალა და განაცხადა, რომ ეკოლოგიური რისკების შემცირების შემთხვევაში ხუდონის მშენებლობა დასაშვებია იქნებოდა. ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს 500 მილიონიანი პროექტი საკუთარი სახსრებით უნდა აეშენებინა, თუმცა თანხა ბიუჯეტში ვერ მოიძებნა. ენერგოექტორის რეაბილიტაციაზე გამყოფი მრავალმილიონიანი უცხოური გრანტებისა და კრედიტების დატაცებამ კი ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მსხვილმა საერთაშორისო დონორებმა საქართველოსთან თანამშრომლობა შეწყვიტეს.

„გარდების რეკონსტრუქციის“ შემდეგ ხელისუფლებამ ხუდონის მშენებლობის განახლებისთვის პოტენციური ინვესტორის მოძიება ისევ აქტიურად დაიწყო. 2005 წელს საქართველოს ხელისუფლებამ, პროექტის მიმზიდველობის გაზრდისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, მასში მსოფლიო ბანკი ჩართო. წინასწარი ტექნიკური კვლევების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების მომზადებისთვის მსოფლიო ბანკმა 5 მილიონი დოლარი გამოყო.

კომპანია, რომელმაც საბჭოთა ინდუსტრიალისტების განუხორციელებელ ოცნებას ფრთები უნდა შეასხას, საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, საერთაშორისო კომპანია Continental Energy-ს შვილობილი Trans Electrica Ltd-ია. ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღეში, Trans Electrica Ltd-მ სახელმწიფო ბიუჯეტში 2 მილიონი დოლარი უნდა შეიტანოს.

ინდური Trans Electrica Ltd-ი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული. მის ოფიციალურ ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ Trans Electrica Ltd, „ცნობილი არარეზიდენტი ინდოელების და ადგილობრივი ქართველი პარტნიორების მიერ დაფუძნდა“ და მისი მიზანი საქართველოში არსებული ჰიდროენერგორესურსების ათვისებაა. თუმცა, ცნობილი არარეზიდენტი ინდოელების ვრცელი სიის გვერდით ადგილობრივი ქართველი პარტნიო-

რის სახით საქართველოს მხოლოდ ერთი მოქალაქე გვხვდება – თრანს Electrica Ltd-ის დირექტორ/მენეჯერი პაატა ნერეთელი. კომპანიის ოფისი ჭავჭავაძის 41 ნომერშია განთავსებული. ვებგვერდზე მითითებულ სატელეფონო ნომრებზე ჩვენს ზარს რამდენიმე დღის განმავლობაში არავინ პასუხობს.

## ახალი ჰესები

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში 17 ახალი ჰიდროელექტროსადგურის პროექტზე მუშაობენ. აქედან სამი ობიექტის – „ბახვიშის“, „ფარავანშისისა“ და „ლუხინიშის“ მშენებლობა უკვე დაწყებულია. წელს სავარაუდოდ, კიდევ 5 ჰესის მშენებლობა დაიწყება. რუსულმა „ინტერ რაო ექს“-მა მდინარე ხრამზე სამი ელექტროსადგური უნდა ააშენოს. „ხრამჭისი 3“, „ხრამჭისი 4“, და „ხრამჭისი 5“ ჰესების ჯამური სიმძლავრე 90-100 მეგავატი იქნება. „ინტერ რაო ექს“-მა ამ ობიექტების მშენებლობაში 193 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა ჩადოს. ახალი ჰესები ექსპლუატაციაში 2016 წელს შევა.

სავარაუდოდ, წელსვე უნდა დაიწყო „სტეფანწმინდაშისის“, „ცხენისწყალიშისის“ და „ნამახვანშისის“ კასკადების მშენებლობაც. სამხრეთ კორეულ-თურქულმა კონსორციუმმა „ნამახვანშისის“ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება უკვე დაასრულა. კონსორციუმში პროექტში, საერთო ჯამში, 800 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. მდინარე რიონზე „ალპანა ჰესის“ და „სადგელი ჰესის“ აშენებას აპირებს „ენერგო-პრო ჯორჯია“.

პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება უკვე დასრულდა „ნენსკრაჰესის“ თაობაზეც. კვლევა „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილმა კომპანია Georgian Railway Construction-მა შეასრულა. პროექტის განხორციელების ვადები ფინანსების მოძიებაზე იქნება დამოკიდებული. 240-მეგავატიანი ჰესის მშენებლობის საერთო ღირებულება 500 მლნ აშშ დოლარია. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში აცხადებენ,

## ჰუმანიტარული ევქმტი

ხუდონის მშენებლობას სოფელ ხაიშისა და მისი მიმდებარე რამდენიმე პატარა სოფლის დატბორვა მოჰყვება, რასაც წინასწარი გათვლებით, იქ მცხოვრები 3000-მდე ადამიანის გადასახლება დასჭირდება.

ხაიშის მოსახლეობა ოც წელიწადზე მეტია „გადასახლების რეჟიმში“ ცხო-



რომ ეს ჰიდროელექტროსადგური ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებს, რადგან „ნენსკრაჰესის“ ელექტროენერჯის გამოუმუშავება ზამთარშიც შეუძლია.

220-მეგავატიანი კასკადის აშენება დაგეგმილი მდინარე მტკვარზეც. პროექტის ფარგლებში, წინასასკვლიფიკაციო განაცხადების მიღება 2010 წლის ზაფხულში დასრულდა. ჰესის მშენებლობა ტრანს-სა-საზღვრო პროექტია, რადგან ზედა ჰესის სამშენებლო სამუშაოები თურქეთის ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს. ამჟამად თურქულ მხარესთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. ქვეყნებს შორის შეთანხმება საერთაშორისო დონეზე უნდა მომზადდეს.

საქართველოს მთავრობის დაკვეთით და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის თანახმად, რომელიც ქვეყნის ენერგოექტორის განვითარების გზებს ანალიზებს, ყველაზე მიმზიდველ ჰიდროენერგეტიკულ პროექტებად ნამახვანშისის, ფარავანშისის და ხუდონის მშენებლობა დასახელდა.

ვრობს. თავის დროზე, როცა ხუდონჰის მშენებლობა დაიწყო, ათობით ოჯახი სვანეთიდან აყარეს და ქართლში, სოფელ მუხრანში ჩაასახლეს. უმრავლესობა ბარსა და ახალ საცხოვრებელ პირობებს ვერ შეეგუა და უკან დაბრუნდა.

ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლების ან კომპენსაციის გეგმა ჯერჯერობით ქალაქზე არ არსებობს. საქართველოს კანონმდებლობა ამგვარ პროექტებზე ნებართვის გაცემისას, სოციალურ გარემოზე პროექტის ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას არ მოითხოვს. იმის გამო, რომ პროექტის მოსამზადებელ სამუშაოებში მსოფლიო ბანკი იყო ჩართული, ამგვარი კვლევები მაინც ჩატარდა. „მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა განასახლების გეგმაც მოამზადეს და გარემოზე სოციალური ზემოქმედების ანგარიშიც. თუმცა დოკუმენტი არავის გვინახავს“, – ამბობს „მწვანე ალტერნატივას“ დირექტორი მანანა ქოჩლაძე.

„ყველაფერს თბილისში წყვეტენ, ჩვენთან მხოლოდ ყურმოკრული ამბები მოდის. გადასახლებასა და კომპენსაციაზე არავინ საუბრობს. რამდენიმე წლის წინ გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენთვის ყველაზე ხელსაყრელ პროექტს შეარჩევდნენ და არ დაეზარალებოდით. ახლა ირკვევა, რომ ჰესი ისევ რუსების ძველი პროექტით შენდება, რაც ხაიშს გაანადგურებს“, – ამბობს ხაიშის მცხოვრები 44 წლის თამაზ კვირიკაძე.

სვანების უმრავლესობას მამა-პაპისეული საცხოვრებლის მიტოვება არ სურს. ხაიშა და მის მიმდებარე სოფლებში 3000-მდე ადამიანი ცხოვრობს (შედარებისათვის, ზემო სვანეთის მოსახლეობა სულ 5–8 ათასია). ხაიშის დატბორვა სოფლებს მისასვლელი გზისა და რაიონული ინფრასტრუქტურის გარეშე ტოვებს, რაც მოსახლეობის აყრასა და გადასახლებას გამოიწვევს. ახალი შემოვლითი გზის მშენებლობის შემთხვევაში მესტიამდე მისასვლელი გზა რამდენიმე საათით დაგრძელდება, რაც ზამთარში ამ კუთხის გარე სამყაროსთან კავშირს კიდევ უფრო გაართულებს.

ხაიში ისტორიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი სოფელია: „ხაიში მე-12

საუკუნის წმინდა გიორგის ეკლესია. წლების წინ ის კომუნისტებმა გაანადგურეს. შემდეგ აღვადგინეთ და ახლა მოქმედია. ეკლესიის გვერდით უძველესი სამარხებია, 10-15 საუკუნეს მოითვლის. კომუნისტების დროს არქეოლოგიური გათხრებიც ტარდებოდა და ბევრი ისტორიული ნივთი ამოიღეს. ჩვენი წინაპრების ძვლებს ასე უპატრონოდ ვერ მივატოვებთ“, – ამბობს თამაზ კვირიკაძე.

ადგილობრივების კიდევ ერთი თავსატეხი, დაურეგისტრირებელი კერძო საკუთრებაა. აქ მოსახლეობის უმრავლესობას მინის ნაკვეთები ტრადიციულ მფლობელობაში აქვს. გარემოსდამცველები შიშობენ, რომ ბოლო წლების გამოცდილების გათვალისწინებით, მოსახლეობა, შესაძლოა მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ აყარონ. სვანეთის მცირემინიანობის გამო, საეჭვოა, რომ ისინი ისევ სვანეთში გადაასახლონ. ასეთი პოლიტიკა კი ამ უნიკალური ეთნოკულტურული კუთხის დაცვას გამოიწვევს.

„აქაურობის დატოვება არავის უნდა. კომპანია, რომელიც აქ მშენებლობას დაიწყებს, ადგილობრივი მოსახლეობისაგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდება. ვინმეს შეიძლება ილუზია ჰქონდეს, რომ კომპენსაციას მიიღებს, მაგრამ უმრავლესობას არაფრის იმედი არ გვაქვს“, – აცხადებენ ადგილობრივები.

## ახალი ჰესი და ბარემო

გარემოზე ზემოქმედების ახალი დოკუმენტი ინვესტორმა მშენებლობის ნებართვის მიღებამდე უნდა წარადგინოს. ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ,

**სვანების 1989 წლის მიმართობის სპეციალური სხივითი ანგარიშის შედეგად**

„სახვი და კარტოფილი მინაში ღებდა, ვაშლი – ხეზე, უნიკალური სვანური კომპოზიციის კედლები ობმა და ხავსმა დაფარა. რევმატიზმებმა და ბავშვებში გულის დაავადებებმა კატასტროფულად იმატა. ზემოთ კიდევ რამდენიმე კაშხლის აშენებას გვიპირებთ. ენგური გუბედ გვიქცით. რატომ გვწინააღმდეგობა ასე?!“

რომ ინდოელებმა წინასწარ კვლევებზე 7 მილიონი დოლარი დახარჯეს, თუმცა ჯერჯერობით კვლევა არავის უნახავს.

გარემოსდამცველების პოზიცია არც ორი ათწლეულის შემდეგ შეცვლილა. მათი აზრით, უზარმაზარი რეზერვუარის მშენებლობა ენგურს გუბედ გადააქცევს, რაც სვანეთში მიკროკლიმატის ცვლილებას გამოიწვევს და უნიკალურ ეკოსისტემას გაანადგურებს.

ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს დირექტორი მანანა ქოჩლაძე ამბობს, რომ ხუდონჰის მშენებლობა სვანეთის ბიომრავალფეროვნებაზე დამანგრეველ გავლენას მოახდენს: „ხუდონის გარშემო გარემო უკვე განადგურებულია. ტყე უკონტროლოდ იჩეხება, ენგურში თევზი განყდა. ხუდონჰის მშენებლობა ნიადაგების ეროზიას, მენყერს, ღვარცოფებს, ტყის საფარის განადგურებას, ფლორისა და ფაუნის უნიკალური სახეობების გადაშენებას გამოიწვევს. მიკროკლიმატის ცვლილების გამო გაუარესდება ახლად გასწილი სათხილამურო კურორტების პოტენციალიც, რადგან გაზრდილი ტენიანობა ნისლის მომატებას გამოიწვევს და სველი თოვლის ეფექტს წარმოქმნის“.

გარემოს დამცველები ვარაუდობენ, რომ ჰესის მშენებლობას ადამიანების ჯანმრთელობაზეც დამანგრეველი ზემოქმედება ექნება.

„ენგურჰესის გამო გაზრდილი ტენიანობის შედეგად ადგილობრივ მოსახლეობაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ადგილობრივი ექიმები ამაზე, უკვე წლებია, საუბრობენ“, – ამბობს მანანა ქოჩლაძე.

დიდი კაშხლები მინისძვრის რისკებსაც ზრდის, სვანეთი კი ისედაც სეისმურად აქტიურ ზოლში მდებარეობს.

„ხუდონის კაშხალი რისკების შკალით 8-ბალიან მინისძვრაზე იყო გათვლილი. ჩვენ ზღვარი 9 ბალამდე ავნიეთ, რაც მსოფლიოში უპრეცედენტოა. ამან პროექტის თვითღირებულება გაზარდა“, – აცხადებს „ლიბერალთან“ საუბარში ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი.

მთავრობაში აცხადებენ, რომ ხუდონჰის პროექტში კორექტივები სწორედ სეისმომდებლობის გაზრდის გამო შევიდა.



ხუდონჰესი

ფოტო: მანანა კოჭლავაძე

ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილების გამო, პროექტის ღირებულებამ დაგეგმილ 700 მლნ აშშ დოლარს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ჰესის მიერ გამოიშვებული ელექტროენერჯის მოცულობა კი 1.7-დან 1.4 მილიარდ კილოვატსაათამდე შემცირდა.

გარემოსდამცველები ახალ გეოლოგიურ კვლევას არ ენდობიან. მანანა ქოჩლავაძის თქმით, ადგილი, სადაც კაშხალი უნდა აშენდეს, სეისმომედეგობის თვალსაზრისით არასაიმედოა. იმისთვის, რომ მშენებლობა არ შეეჩერებინათ, საბჭოთა პერიოდში პროექტის მესვეურები მოსკოვში ქანების ფალსიფიცირებულ სინჯებს აგზავნიდნენ. საბჭოთა პროექტზე ხმაური 1989 წელს, სწორედ გეოფიზიკის ინსტიტუტის იმჟამინდელი პრეზიდენტის, აკადემიკოს მერაბ ალექსიძის ამგვარი დასკვნის შემდეგ დაიწყო.

**ენერგო-პოლიტიკა**

ექსპერტთა მოსაზრებით, ხელისუფლებამ ის ფაქტიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ხუდონჰესი კონფლიქტის ზო-

**■ ხუდონჰესის მშენებლობა ნიადაგების ეროზიას, მენყერს, ლვარცოფებს, ტყის საფარის განადგურებას, ფლორისა და ფაუნის უნიკალური სახეობების გადაშენებას გამოიწვევს. გაუარესდება ახლად გახსნილი სათხილამურო კურორტების პოტენციალიც.**

ნასთან ახლოს მდებარეობს. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ხაიში რუსული ჯარის მიერ იყო ოკუპირებული. ახლაც სოფლის სიახლოვეს რუსული ბლოკპოსტებია განთავსებული.

გარემოსდამცველები ამბობენ, რომ ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული პროექტების განვითარების ამბიციურ გეგმას ქვეყნის ეკოსისტემა არ უნდა შეენიროს. „დიდი კაშხლების მშენებლობა მიზანშეწონილი არ არის. უმჯობესია საშუალო და მცირე ჰესების მშენებლობა. ასეთი ჰესები ქვეყანას მეტ ეკონომიკურ ეფექტს მიცემს და გარემოსაც არ დაზარალებს. საქართველოში მდგრადი ენერგეტიკული პროექტების განვითარების დიდი რესურსი არსებობს და ხე-

ლისუფლება მას, რატომღაც, საერთოდ არ იყენებს“, – ამბობს გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძე.

გარემოსდამცველთა აზრით, ხელისუფლების სტრატეგია მოკლევადიან სარგებელზეა გათვლილი. გარემოს დაცვა კი ეკონომიკური განვითარების მუხრუჭადაა მიჩნეული. ოფიციალური მონაცემებით, ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფებით საქართველოს ყოველწლიურად 150 მილიონი დოლარის ზარალი ადგება. ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებული 70 მოქალაქიდან კი სახელმწიფო მხოლოდ ერთ მათგანს ეხმარება... **■**

ქალაქი

## სადავო სხვახი

გრიბოედოვის ქუჩაზე კოლორიტული სკვერი დაბრუნდება – პირობას დებენ მშენებლები. მოსახლეობას კი დაპირების არ სჯერა.

### რუსუდან ფანოზიშვილი

დაახლოებით ერთი თვის წინ რუსთაველის 44/35-ში მდებარე სახლის ბინადრები საშინელმა ხმაურმა გამოაფხიზლა. ხმა სახურავიდან მოდიოდა. შემინებული მოსახლეები გარეთ გავიდნენ და აღმოაჩინეს, რომ მათი სახლის ზედა მხარეს, გრიბოედოვის ქუჩისკენ, „აკადემიის სკვერთან“, მუშებს მიწის თხრა დაეწყო, აგურები და მიწის ბელტები კი უნებურად სკვერის ქვევით მდებარე სახლის სახურავზე იყრებოდა.

ასე აღმოჩნდნენ გრიბოედოვის ქუჩისა და „ზარია ვოსტოკას“ შენობის უკან მცხოვრები თბილისელები ფაქტის წინაშე: სკვერი, რომელიც აქ 120 წლის წინ მოეწყო, გადათხარეს, მის გასწვრივ, რუსთაველის გამზირისკენ კი, მაღალსართულიანი სახლის მშენებლობა დაიწყო.

მეზობლები ამბობენ, რომ პირველად სკვერში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მამინ იეჭვეს, როცა თბილისის მერიის გადანყევტილებით, ასევე აბსოლუტურად მოულოდნელად, სკვერიდან უნგრელი მოქანდაკის, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ავტორის, მიხაი ზიჩის ქანდაკება გაქრა. მხოლოდ ტელევიზორიდან შეიტყვეს, რომ ქანდაკება, მერიის გადანყევტილებით და „უსაფრთხოების მიზნით“ ალექსანდრეს ბაღში გადაიტანეს. უკვე მარტში კი სკვერს ბულდოზერები მოადგნენ და გათხრა დაიწყეს.

ახლა იქ, სადაც ორიოდე თვის წინ მეზობლები ბავშვებს ასეირნებდნენ, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები კი პერიოდულად გამოფენებს აწყობდნენ, უზარმაზარი ორმოა გაჩენილი. 1071 კვადრატული მეტრის ფართობზე მუშები, ბულდოზერები და სატვირთო მანქანები დღემდე მუშაობენ – მიწას თხრიან და ტერიტორიას ჩამონგრეული აგურებისგან

ასუფთავენ. მშენებლობას მთელ სიგრძეზე მესერი აქვს შემოვლელი, თუმცა, დაინტერესებული გამგელები და ურბა-

ნისტი აქტივისტები ამაოდ ათვალიერებენ ღობეს – მშენებლობის ადგილზე გაკრული აბრა, რომელზეც, კანონის თანახმად,



ყველა მშენებელი კომპანია მშენებლობის ძირითად მონაცემებს მიუთითებს – მათ უფრო აბნევს, ვიდრე დამხმარე ინფორმაციას აწვდის. „ვორვიქშიერ ისეთით ლიმიტიდ“ და „ად ქონუთ ინშაათი მაქინა ელექტრიქ თააჰუთ თიჯარეთ“ – ეს ორი სახელი, რომლებიც სამშენებლო კომპანიებად არიან მოხსენიებული, სკვერის მომავლით დაინტერესებულ ადამიანებს ბევრს არაფერს ეუბნება. აბრაზე მხოლოდ ის წერია, რომ აქ, არსებული შენობის რეკონსტრუქციის ხარჯზე, ეს კომპანიები მრავალფუნქციურ კომპლექსს ააშენებენ, რის ნებართვაც მათ თბილი-

**■ მოქალაქეების წარმოსახვებს ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობა ამძაფრებს. „ამბობენ, მანდ სასტუმრო უნდა ააშენონო“; „აქ, აბა, სკვერს ვინლა დააბრუნებს, ალბათ, რამე საოფისე შენობა აქვთ ჩაფიქრებული“; „ზუსტად ვიცი, დაგვტოვებს სკვერის გარეშე“; – ვარაუდობენ ისინი.**

სის მერიის არქიტექტურის სამსახურმა მისცა. თუმცა, მშენებლობის დამკვეთებსა და შემსრულებლებს მესერზე არ გამოუკრავთ ასევე კანონით გათვალისწინებული ბანერი, რომელზეც წესით, დატანილი უნდა იყოს ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობის პროექტი. ამ დაუდგენელი დეტალების გამო, აქ დაგეგმილი პროექტის შესახებ ათასგვარი ვერსია ვრცელდება:

„ამბობენ, მანდ სასტუმრო უნდა ააშენონო“; „ასე თქვეს, ხუთსართულიან სახლს აშენებნო“; „აქ, აბა, სკვერს ვინლა დააბრუნებს, ალბათ, რამე საოფისე შენობა აქვთ ჩაფიქრებული“, „ზუსტად ვიცი, დაგვტოვებს სკვერის გარეშე“, – ვარაუდობენ გრიბოედოვის ქუჩის მცხოვრებლები და აკადემიის სტუდენტები.

მათ წარმოსახვებს ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობა ამძაფრებს. „ერთს ამბობენ, მეორეს აკეთებენ. რომ ვეუბნებით, საბუთი გვაჩვენეთო, გვეუბნებიან, გვაქვსო, მაგრამ არ გვაჩვენებენ, დამცირებულად ვგრძნობთ თავს“, – ამბობს გრიბოედოვის ქუჩის მცხოვრები ნაირა თოფურია.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, გრიბოედოვის ქუჩაზე სკვერის ტერიტორია 2009 წელს იჯარით ბრიტანულ კომპანია Warwickshire Estate Limited-ს 59 წლით გადაეცა. ეს კომპანია, რომლის სახელზეცაა გაფორმებული „ზარია ვოსტოკას“ ყოფილი შენობაც, ინტერნეტ საძიებო სისტემებში არ იძენება. თუმცა, როგორც მისი ქართველი წარმომადგენლები ამბობენ, ეს ამ კომპანიის პირველი ინვესტიციაა ქართულ ბაზარზე.

Warwickshire Estate Limited-ის ქართული წარმომადგენლობის გენერალური დირექტორი, კონსტანტინე ბარამიშვილი გრიბოედოვის სკვერს ერთი მსხვილი მულტიფუნქციური კომპლექსის ნაწილად მოიაზრებს, რომელშიც ასევე შევა „ზარია ვოსტოკას“ ყოფილი შენობა და მის უკან დაგეგმილი ნაგებობაც. კონსტანტინე ბარამიშვილის თქმით, სკვერის იჯარით ალება მის კომპანიას იმიტომ დასჭირდა, რომ ქვეშ ავტოსადგომი უნდა ააშენონ, თუმცა, მშენებლობის დასრულების შემდეგ სკვერს იმავე ადგილზე დააბრუნებენ: „ჩვენ ეს სკვერი მერიამ იჯარით



რამდენიმე თვის წინ აქ სკვერი იყო, სადაც მეზობლები ბავშვებს ასვინებდნენ, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები კი პერიოდულად გამოფენებს აწყობდნენ

ფოტო: თინათინ ბარამიშვილი

სწორედ ამ პირობით გადმოგვცა. თუ მას არ შევასრულებთ და ისევ სკვერს არ გავაშენებთ, ეს ადგილი ჩამოგვეერთმევა – მისი სარგებლობის უფლებას დავკარგავთ და დავფარდობებით“, – ამბობს ბარამიშვილი.

„ახალი შენობა ზუსტად იქ აშენდება, სადაც ძველი იდგა. სკვერიც ზუსტად იმავე ფართზე გაკეთდება, თან – უფრო ლამაზი და თანამედროვე. ეს იყო რეკრეაციული ზონა და ისევ სკვერად დარჩება“, – ასე აღწერს მომავალ პროექტს ბარამიშვილი.

თუმცა, რეალურად, გადათხრილ სკვერს რეკრეაციული ზონის სტატუსი საერთოდ არ აქვს. თბილისის მერიაში განმარტავენ, რომ, სამაგიეროდ, ეს ადგილი „საზოგადოებრივ ზონაში გამწვანებული ტერიტორიის“ სტატუსს ფლობს, რაც მის მფლობელს ავალდებულებს, რომ იქ ისევ სკვერი აღადგინოს. თუმცა, თუკი, ქალაქის ვებპორტალზე, თბილისის განაშენიანების გენერალურ გეგმაში მონიშნულ გრიბოედოვის ქუჩაზე განთავსებული სკვერის სტატუსის გადამოწმებას, ნახავთ, რომ ოფიციალურად ამ ადგილს სულ სხვა სტატუსი აქვს მითითებული: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორია.

ეს გარემოება ურბანისტიკებსა და არქიტექტორებს აფიქრებთ: მათი აზრით, სკვერის შესახებ დღემდე არსებული გაუგებრობა, მის თუნდაც დროებით მფლობელს, უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს. „როდესაც სკვერი გადაცემულია კერძო პირზე 59 წლით, აღნაგობით, ეს იმას ნიშნავს, აქ სკვერის არსებობა კერძო პირის კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული. ზოგადად, პარკების გასხვისება წინათ კანონით იკრძალებოდა, თუმცა, ურბანული კანონმდებლობა ბოლო დროს ისე წამდაუნუნე იცვლება, რომ რალაცების კანონიერება-უკანონობაზე ლაპარაკი თითქმის შეუძლებელია“, – ამბობს არქიტექტორი ლევან ასაბაშვილი.

„აქაურობას რეკრეაციული ზონის სტატუსი რომ ჰქონოდა, კარგი იქნებოდა. ახლა ეს კომპანია სკვერის გაშენების პირობას კი დებს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ სკვერი ზუსტად იმავე ფუნქციით აღდგეს, როგორც მას ადრე ჰქონდა,

რათა არ შეგვრჩეს სკვერი, ქოთნებში ჩადგმული ყვავილებით, რომელიც მხოლოდ ახლად აშენებული შენობის შესასვლელის ფუნქციას იტვირთავს“, – ამბობს ხელოვნებათმცოდნე თამარ ამაშუკელი.

მშენებელი კომპანიის წარმომადგენლები კი ამბობენ, რომ ქვეშ განთავსებული ავტოსადგომის გამო, სკვერში ხეების ხელახლა ჩარგვას ვეღარ შეძლებენ. „ხეები ისევ იქნება, მაგრამ სპეციალურ კასრებში განვათავსებთ“, – ამბობს პროექტის

## ■ „ახალი შენობა ზუსტად იქ აშენდება, სადაც ძველი იდგა. სკვერიც ზუსტად იმავე ფართზე გაკეთდება, თან – უფრო ლამაზი და თანამედროვე. ეს იყო რეკრეაციული ზონა და ისევ სკვერად დარჩება“, – ასე აღწერს მომავალ პროექტს კონსტანტინე ბარამიშვილი.

არქიტექტორი, ლევან ლომინაშვილი, – „ასევე მოეწყობა ბავშვთა ატრაქციონები, სავარძლები, იქნება გაზონი, აუცილებლად იქნება ქანდაკებები“.

თუმცა, ამ დეტალების შესახებ, გრიბოედოვის ქუჩის მცხოვრებლებმა თუ სკვერის მომავლით დაინტერესებულმა სხვა ადამიანებმა თითქმის არაფერი იციან. რუსთაველის 44/35-ის ამხანაგობის თავმჯდომარე, შორენა მიქაბერიძე კი Warwickshire Estate Limited-ს შეიძღარებულიანი სახლის აშენებისთვის უჩივის კიდევ. „ადრეც იყვნენ ინვესტორები, ხუთსართულიანი სახლის აშენება უნდოდათ, მაგრამ მერია უარით გაისტუმრა, ხუთსართულიანი შენობის აგება კანონით აკრძალულიაო. თუ მაშინ არ შეიძლებოდა, ახლა ამ კომპანიისთვის შეიძღარებულიანი სახლი როგორ არის ნებადართული?“ – ამბობს შორენა მიქაბერიძე.

სკვერსა და „ზარია ვოსტოკას“ შენობას

შორის დაგეგმილი ახალი ნაგებობა გრიბოედოვის ქუჩის დონიდან დაიწყება და მართლაც შეიძინა სართული ექნება. თუმცა, პროექტის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ მათ კანონი შენობის სიმაღლის განსაზღვრას აღარ უკრძალავს. „ეს ადგილი ისტორიული ზონაა, მაგრამ კანონმდებლობით სიმაღლის შეზღუდვა აქ არ არის. ჩვენ ვაკმაყოფილებთ მოთხოვნებს“, – ამბობს მშენებლობის მმართველი კომპანიის „ჯი ენდ ქეი დეველოპმენტის“ დირექტორი, სოფო ფურცელაძე.

„საქმეც ისაა, რომ ხშირად მერია სათავისოდ ცვლის კანონმდებლობას. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, კომპანიას მართლაც შეუძლია, საჭირო კოეფიციენტი მოიპოვოს და შენობისთვის დამატებითი სართულები შეიძინოს, – ამბობს ხელოვნებათმცოდნე თამარ ამაშუკელი.

ერთ-ერთ ასეთ ბოლო ცვლილებას თამარ ამაშუკელი თბილისის კორტების რეკონსტრუქციას უკავშირებს: კანონის მიხედვით, იმ ადგილებში, რომლებიც ისტორიულად განაშენიანებული არ იყო, შენობების ჩადგმა იკრძალებოდა. თუმცა, ეს მუხლი ახლა ამოღებულია. ამ მუხლის გაუქმებიდან ცოტა ხანში კი სწორედ ისტორიულად დაუსახლებელ ადგილზე – კორტების ტერიტორიაზე – იუსტიციის სახლის მშენებლობა დაიწყო.

ხელოვნებათმცოდნეები ახლა გრიბოედოვის სკვერის სტატუსისა და მისი დანიშნულების გარდა, მსგავსი კულტურული ნერტილების გაქრობაზე საუბრობენ. „ამ სკვერის მსგავსი ისტორიული ადგილები მოსახლეობისა და ქალაქის კავშირის ნიშანია. აქ მცხოვრებისთვის თბილისი აბსტრაქტული ცნება კი არაა, არამედ საყვარელი და ნაცნობი ადგილების ქალაქი. თუ ასეთი ადგილები აღარ დარჩება, მაშინ გამოდის, რომ ქალაქიც აღარ გვიყვარს“, – ამბობს თამარ ამაშუკელი.

ინფორმაციულ ვაკუუმში დარჩენილი გრიბოედოვის ქუჩის მცხოვრებლები კი ჩივილს აპირებენ. „ჩვენ მოვითხოვთ, დაგვიბრუნონ სკვერი“, – ამბობენ ისინი და თავდაცვის მიზნით, მზად არიან, ქალაქის ხელისუფლებას დაუკავშირდნენ და ხმაური წინასწარ ატეხონ. ■

სტატიაზე მუშაობდა ელენე ასათიანი.

თვალსაზრისი

# ჩიყა 60-ნდინი ბანსსოობის შედეგ



რიყე მე-20 საუკუნის დასაწყისში

ფოტო ლიბურა პრეპარატი

წლების განმავლობაში დაგროვებული პროფესიული გამოცდილებიდან წარმოშობილ ჯანსაღ იდეას სრულიად ავადმყოფური შედეგი მოჰყვა, რაც ხელისუფლების თვითნებობის, მის მიერ დახურულ კარს მიღმა ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების შედეგია.

## ზურაბ ბაქრაძე

რიყის ქალაქისგან „გაუცხოება“ 1940-ანი წლების ბოლოს მტკვრის ჯებირებში ჩასმით და მის ნაპირებზე ავტომაგისტრალების გაყვანით დაიწყო. ამ აქციით განადგურდა კალა-სეიდაბად-ისან-რიყის ერთიანი ურბანული კომპლექსი და ძველი თბილისის ამ საკვანძო ადგილმა არსებობა შეწყვიტა.

მანამდე რიყე ამ კომპლექსის განუყოფელი ნაწილი იყო. წისქვილთა რიგი, ხის მასალისა და თივის ბაზრო-

ბები რიყის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებდა და მას ქალაქის ერთ აუცილებელ ელემენტად აქცევდა. აქაურობა ჩრდილოეთით ჩუღურეთს უკავშირდებოდა, სამხრეთის მხრიდან, ღვინის აღმართით – ავლაბარს, ავლაბრის ხიდით კი – კალა-სეიდაბადს. ამდენად, ის ქალაქის როგორც ფუნქციურ, ისე საკომუნიკაციო სტრუქტურაში იყო ჩართული და მის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა.

1940-იანი წლების ბოლოს ზემოთ აღ-

ნიშნული ღონისძიებით რიყე მტკვარს მოსწყდა და ამით ქალაქისგან იზოლირებულ ერთგვარ კუნძულად იქცა. დასავლეთიდან და სამხრეთიდან ავტომაგისტრალებით, აღმოსავლეთიდან კი ავლაბრის კლდით შემოფარგლული რიყე სტრუქტურაშეცვლილი ქალაქის ერთ უცხო ელემენტად ჩამოყალიბდა.

ამ გარემოებამ და რიყის საქალაქო ფუნქციის დაკარგვამ მნიშვნელოვნად განაპირობა ის უდარდელი გადაწყვეტილება, რაც ქალაქის ხელისუფლებამ

1970-იანი წლების დასაწყისში მიიღო: ყოველგვარი გონივრული საფუძვლის გარეშე (წყალდიდობა მხოლოდ საბაზი იყო), რიყის მთელი განაშენიანება ერთი ხელის მოსმით დაანგრეს და ეს ადგილი მომავალი ათწლეულების განმავლობაში ერთ ტრიალ მინდვრად აქციეს, რომელსაც უკვე აღარც საზოგადოებრივი ტრანსპორტი უდგებოდა და რომელიც აღარც ქალაქის საფეხმავლო სტრუქტურაში იყო ჩართული.

სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული დგას საზოგადოების წინაშე „რიყის პრობლემა“, რომლის გადასაჭრელადაც მრავალი არქიტექტურული კონკურსი ჩატარდა, თუმცა – უნაყოფოდ.

სამაგიეროდ, ნელ-ნელა გამოიკვეთა აზრი, რომ ამ ადგილს ყველაზე უფრო საქალაქო პარკი შეეფერება, რომელიც სასურველია, სანაპირო ავტომაგისტრალის მიწის ქვეშ ჩატანით მტკვრამდე გაფართოვდეს (იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რაც მდინარეს შეიძლება ჰქონდეს პარკისთვის) და ქალაქის საფეხმავლო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელსაც დაუკავშირდეს. ეს კავშირი, ერთი მხრივ, შეიძლება დამყარდეს გარე ავლაბრის გავლით, ქეთევან წამებულის მოედანთან, და მეორე მხრივ – კალასთან. ძნელი ამოცანაა, მაგრამ თანამედროვე ტექნიკის პირობებში – გადაწყვეტადი.

ფიქრობ, ეს აზრი რომელიმე თბილისელმა ქალაქმშენებელმა ქალაქის ხელისუფლებამდე მიიტანა, ხელისუფლებამ კი, როგორც სჩვევია, სრულიად დაუფიქრებლად და უგუნურად დაიწყო მოქმედება. ავტომაგისტრალის მიწის ქვეშ ჩატანის ნაცვლად, რაც, მტკვრის სიახლოვის გამო, ტექნიკურად რთული და, ამდენად, ძვირი იქნებოდა, იგი რკინა-ბეტონის კონსტრუქციით გადახურეს. ამით გზის, როგორც ნაგებობის ნიშნული, კი არ დასწიეს, რათა პარკი თავისი ბუნებრივი დონით მტკვრამდე მისულიყო, არამედ პირიქით – სულ ცოტა, 5 მეტრით ზემოთ ასწიეს. ამდენად, მტკვრის ჯებირის პარალელურად, დაახლოებით 15 მეტრის უკან დახვევით, ხუთი მეტრი სიმაღლისა და რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძის



ფოტო: აურაბ პაჩვანიძე

გადახურული ავტომაგისტრალი რიყესა და მტკვარს შორის

ბეტონის ნაგებობა აშენდა, რომელშიც ავტომაგისტრალი „დამალეს“.

ამას ბუნებრივად მოჰყვა ის, რომ რიყეზე საჭირო გახდა მიწის დაყრა და ამ გზით, ავტომაგისტრალის გადახურვის დონემდე მისი ხელოვნურად ამაღლება. შედეგად, პარკი ჰორიზონტალურად უმნიშვნელოდ მიუახლოვდა მტკვარს, სიმაღლით კი კიდევ უფრო დაშორდა მას. ეს ყველაფერი კი იმიტომ, რომ პროექტის ინიციატორებმა მტკვრის სიახლოვეს გვირაბის ტექნიკურად რთულ მოწყობაზე უარი თქვეს და აქ დაზოგილი ფულით რიყეზე მიწის დაყრა არჩიეს.

ამ ღონისძიებათა შედეგი ისაა, რომ მტკვრის პირას გაჩნდა რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძის ბეტონის ნაგებობა, რომლის გამოც, მარჯვენა სანაპიროდან რიყის აღქმა შეუძლებელი ხდება და ბარათაშვილის აღმართის თაღებიანი საყრდენის ხედიც მნიშვნელოვნად ზარალდება (იხ. ფოტო). ამით რიყე, ქალაქში ჩართვის მაგივრად, ვიზუალურად კიდევ უფრო შორდება მას.

ახლა ვნახოთ, რა ბედი ეწია რიყის საფეხმავლო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელში ჩართვის იდეას.

რიყის პარკის დაკავშირება ქეთევან წამებულის მოედანთან და, ამდენად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის კვანძთანაც, ან ღვინის აღმართითაა შესაძლებელი, ან გარე ავლაბრის გავლით – მისი კბოდედან ბარათაშვილის აღმართზე გადადებული ხიდი. აქედან პირველი ვარიანტი, ღვინის აღმართის პერიფერიული მდებარეობის გამო,

## ■ ხელისუფლებამ სრულიად დაუფიქრებლად დაიწყო მოქმედება. ავტომაგისტრალის მიწის ქვეშ ჩატანის ნაცვლად, იგი რკინა-ბეტონის კონსტრუქციით გადახურეს.

ამით გზის, როგორც ნაგებობის ნიშნული, კი არ დასწიეს, რათა პარკი თავისი ბუნებრივი დონით მტკვრამდე მისულიყო, არამედ პირიქით – სულ ცოტა, 5 მეტრით ზემოთ ასწიეს.

ნაკლებეფექტიანი ჩანს, ბარათაშვილის აღმართზე გადადებული ხიდი კი, რომელიც შესაძლებელია, ლიფტებით დაუკავშირდეს პარკს, უმოკლესი კავშირი იქნება ამ მიმართულებით. გარე ავლაბრის კბოდეზე ამისთვის შესაფერი ადგილიც არსებობს, საიდანაც უნიკალური ხედი იშლება ქალაქზე. ამ არგუმენტების გათვალისწინებით კი, ფიქრობ, ასეთ გადაწყვეტილებაზე თანხის დახარჯვა სრულიად გამართლებული უნდა ყოფილიყო.

თუმცა, ამის ნაცვლად, რიყიდან ბარათაშვილის ქუჩამდე საკმაოდ ვიწრო კიბე აიყვანეს, რაც პრობლემას სრულიებით არ წყვეტს, რადგან ეს ქუჩაც,





მასიმილიანო ფუქსასის პროექტი. სამუხიკო თეატრი და საგამოფენო დარბაზი თბილისში



პიპერტროფიული ზომისა და ფორმის საფეხმავლო ხიდი რიყესა და კალას შორის

ფოტო: უიუბანიტიკა

ფაქტობრივად, ავტომაგისტრალია და ფეხით მოსიარულე თბილისელს აქედან ქეთევან წამებულის მოედნამდე (ან პირიქით), ჯერ ტროტუარზე მოსაწყენი სიარული მოუნვეს, შემდეგ კი – მალაღამტარუნარიანი მაგისტრალის გადაკვეთაც.

რაც შეეხება რიყისა და კალას საფეხმავლო ხიდით დაკავშირებას, ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ ხიდი კალაზე რომელიმე საკვანძო ადგილს დაუკავშირებოდა, მაგალითად – ერეკლეს მოედანს. ახლად აშენებული ხიდი კი კალას მხარეს სრულიად უაზროდ „ეჯახება“ ერთი სახლის კუთხეს (იხ. ფოტო) და

არაერთარ ანგარიშს არ უწევს არსებულ ქუჩათა ქსელს. მოკლედ, ესაა ხიდი არსაით. ახლა თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მისი ზომები და ფორმა თბილისის ამ უბნისთვის სრულიად შეუფერებელია; რომ ეს ხიდი გარშემო ანგარიშს არაფერს უწევს – თითქოს სადღაც, ტრიალ მინდორზე ასაშენებლად დაუპროექტებიათო – უნდა ითქვას, რომ აქ სრულ ქალაქმშენებლურ და არქიტექტურულ ფიასკოსთან გვაქვს საქმე.

მოკლედ, წლების განმავლობაში დაგროვებული პროფესიული გამოცდილებიდან წარმოშობილ ჯანსაღ იდეას სრულიად ავადმყოფური შედეგი მოჰყვა, რაც ხელისუფლების თვითნებო-

ბის, მის მიერ დახურულ კარს მიღმა ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების შედეგია.

მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება. ხელისუფლებამ ბოლომდე არც ამ იდეას უერთგულა და ვარსკვლავ-არქიტექტორ მასიმილიანო ფუქსასს დაუკვეთა რიყეზე ორი ნაგებობის, თეატრისა და საგამოფენო დარბაზის დაპროექტება (რა თქმა უნდა, ისევე საზოგადოების ზურგს უკან), რაც მათი დიდი მოცულობების გამო, აქ პარკის მოწყობის იდეას ეწინააღმდეგება. დაინტერესებული მოქალაქეებისთვის დღემდე ამ პროექტის მხოლოდ ერთი კომპიუტერული სურათია ცნობილი (იხ. ფოტო), რომელიც რეალობის გაყალბების მიუხედავად, მაინც იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ აქაც, ფუქსასის ზოგი სხვა პროექტის მსგავსად, გარემოს ფასეულობათა სრულ იგნორირებასთან გვექნება საქმე.

ახლა კი თვითონ პარკზე: იმ მწირი ინფორმაციის მიხედვით, რაც საზოგადოებას აქვს, პარკმა მინიატურულ მასშტაბში უნდა განასახიეროს საქართველო, თავისი მდინარეებითა და მთებით. საოცარია, როგორ იკაფავენ გზას განხორციელებისკენ ასეთი უბადრუკი... იდეები რომ ვუნოდო, პლატონი საფლავში გადაბრუნდება, აზრები რომ დავარქვა, აღარ ვიცი, უაზრობა რაღაა! მოკლედ, მაინტერესებს, როგორ ხდება შესაძლებელი ასეთი „იჩიის“ საზოგადოებრივ სივრცეში დანერგვა? რა სანახავი უნდა იყოს ამ „ხელოვნური საქართველოს“ ხელოვნური „ლანდშაფტები“? პლასტმასისგან გაკეთებული მთები უკვე აკრულია ავლაბრის კლდეზე, რაც ბოლო წლებში ქალაქის ხელისუფლების მიერ სახლების აივნებზე დაკიდებული პლასტმასის ყვავილების ციკლიდანაა.

ასე გადაიდგა კიდევ ერთი არასწორი ნაბიჯი ძველი თბილისის განვითარებაში ისე, რომ ამას არც პროფესიული საზოგადოების და არც სხვა მოქალაქეთა რამდენადმე მაინც საგრძნობი პროტესტი არ მოჰყოლია. როგორც ჩანს, ქალაქის განსაცდელთა სერია გაგრძელდება. **■**



ტურიზმი

## თბილისის მხი და ბუნაუხის მენაჯაი

გუდაურის სამთო-სათხილამურო კურორტზე მეურვეობას თბილისის მერია იღებს. მერიაში ამტკიცებენ, რომ მოგებული ისევ გადასახადების თბილისელი გადამხდელები იქნებიან, რადგან განახლებული კურორტის მთავარი მომხმარებელი სწორედ თბილისის მოსახლეობა იქნება.

### მანანა ვარდიაშვილი

ზამთრის კურორტების განვითარების საქმეში საქართველოს პრეზიდენტს მხარი თბილისის მერმაც აუბა, მაგრამ დედაქალაქის მერს წინ ერთი დაბრკოლება გადაეღობა – თბილისში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის ხელსაყრელი კლიმატური პირობები არ არსებობს, ამიტომ უგულავა იძულებულია, „კურორტების მართვის სფეროში დაგროვებული გამოცდილება“ და დედაქალაქის საბიუჯეტო თანხა თბილისის ადმინისტრაციული საზღვრიდან 120 კმ-ით დაშორებულ კურორტ გუდაურს მოახმაროს. მერიაში „გუდაურის განვითარების ფონდი“ უკვე შექმნა და იქ დედაქალაქის ბიუჯეტიდან „დაზოგილი“ 2,5 მილიონი ლარიც გადარიცხა.

გუდაური კავკასიის სამხრეთ ქედზე, ზღვის დონიდან 2.196 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. კურორტი, რომელიც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებშია მოქცეული, 2011 წლის აპრილში საჯარო სამართლის

იურიდიული პირი გახდა და თბილისის მერიის დაქვემდებარებაში გადავიდა. დედაქალაქის საკრებულომ და საზოგადოებაში ამ ნოვაციის შესახებ მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ გაიგეს.

უკვე მაშინ, როცა გადაწყვეტილება მიღებული იყო, თბილისის მერმა საზოგადოებას განუმარტა, რომ გუდაურს სწრაფი განვითარება სჭირდება, რადგან ამ მხრივ რეგიონში დიდი კონკურენციაა, ინფრასტრუქტურის განვითარების ყველაზე დიდი გამოცდილება კი, სხვა თვითმმართველობებთან შედარებით, სწორედ თბილისის მერიას აქვს:

„თბილისს ანუკობილი აქვს: დასუფთავება, წყლის მომარაგება, გარე განათება, გზები, სასწრაფო-სამედიცინო და სახანძრო მომსახურება, ანუ ყველაფერი ის, რაც აუცილებელია გუდაურის განვითარებისათვის“, – ამბობს უგულავა.

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, გუდაურის განვითარების გეგმას ახლა საპროექტო კომპანია „ეკოზანი“ არქი-

ტექტორებთან ერთად ამუშავებს. გუდაურში 10 ახალი სასტუმრო, კაზინოები, გასართობი ცენტრები და სპორტული სკოლები უნდა აშენდეს. ობიექტების მშენებლობაზე ინვესტორებთან მოლაპარაკებებიც დაწყებულია.

პროექტის მიხედვით, უშუალოდ თბილისის მერიას დაევალება გუდაურის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, კერძოდ: არსებული სათხილამურო ტრასების გაუმჯობესება, ახალი ტრასების და საბაგროს მოწყობა, ევროპული სტანდარტის გზების დაგება, კურორტის ელექტროენერჯითა და წყლით უწყვეტი მომარაგება, დასუფთავების სასახურის და ავტომანქანების პარკინგის სისტემის შექმნა, სასწრაფო, სამაშველო და სახანძრო სამსახურების 24-საათიანი მომსახურების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, თბილისის მერიაში გუდაური თოვლის სატეკუნი თანამედროვე მანქანებითაც უნდა აღჭურვოს და კურორტზე უკაბელო ინტერნეტის შეუფერხებელი

მუშაობაც უზრუნველყოს. მერიაში აცხადებენ, რომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გუდაურში საერთაშორისო ტურისტების ჩატარებისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება. საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების შემდეგ კი 500 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება და, ტურისტების მზარდი ნაკადის გამო, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებიც მოიმატებს.

დედაქალაქის ბიუჯეტიდან 2,5 მილიონი ლარის თბილისის სსიპ – „გუდაურის განვითარების ფონდში“ გადარიცხვის შესახებ გადამწყვეტილება თბილისის საკრებულომ უპრობლემოდ დაამტკიცა. კენჭისყრისას, ამ პროექტმა 35 დადებითი ხმა მიიღო, გეგმის წინააღმდეგ კი საკრებულოს მხოლოდ 4 წევრი წავიდა.

ერთ-ერთი მათგანი იყო საკრებულოს წევრი „რესპუბლიკური პარტიიდან“, თინა ხიდაშელი, რომელიც ამბობს: „თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე გუდაურის ინფრასტრუქტურის განვითარების გადამწყვეტილება დაუსაბუთებელი და ალოგიკურია. ასეთი პროექტი მერიაში შეიძლება, მაშინ განახორციელოს, როცა თბილისში ყველა პრობლემა მოგვარებული იქნება. დღეს თბილისს ასეთი გულუხვი საჩუქრების გაკეთების უფლება არ აქვს“.

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, თამაზ შოშიაშვილი კი განმარტავს, რომ „გუდაურის განვითარების ფონდში“ 2,5 მილიონი ლარი მერიაში 2011 წელს ჩატარებული ტენდერებიდან დაზოგა: „გარე განათების ქსელის ექსპლუატაციასა და რეაბილიტაციაზე დამტკიცებული 15 მილიონი ლარიდან ეკონომიამ ერთი მილიონი ლარი შეადგინა. სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობისათვის გამოყოფილი 1 860 ათასი ლარიდან კი 160 ათასი ლარი დარჩა“.

თბილისის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების

კომისიის თავმჯდომარე, კოკი იონათა-მიშვილი იმასაც ამტკიცებს, რომ გუდაურის ფონდში გადარიცხული ეს თანხა, დედაქალაქის ბიუჯეტს წლის ბოლოს ტრანსფერის სახით ისევ უკან დაუბრუნდება. თუმცა საქართველოს პარლამენტს ეს ახალი საბიუჯეტო ცვლილება ჯერ არ დაუმტკიცებია და ამიტომ უცნობია, მართლა დაბრუნდება თუ არა თანხა თბილისის ყულაბაში.

ეს და სხვა ჯერ კიდევ დაუდასტურებელი საკითხები კი ექსპერტთა ნაწილს პროექტის მიმართ სკეპტიციზმს უღვივებს. მაგალითად, შეუძლებელია მერიისგან კონკრეტული პასუხების მოპოვება კითხვებზე: რა ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კურორტის მენეჯმენტისთვის




**შეუძლებელია მერიისგან პასუხების მოპოვება კითხვებზე: რა ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კურორტის მენეჯმენტისთვის თბილისის მუნიციპალიტეტი? ვინ არის სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელი? ვინ აგებს პასუხს იმ შემთხვევაში, თუ პროექტი არ გაამართლებს?**

თბილისის მუნიციპალიტეტი? ვინ არის სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელი? ვინ იქნება გადამწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი? ვინ აგებს პასუხს იმ შემთხვევაში, თუ პროექტი არ გაამართლებს?

თინა ხიდაშელი აქცენტს მერიის მიერ შექმნილი ფონდების ფუნქციაზეც აკეთებს და დასძენს, რომ გაუმჭვირვალე ხარჯვის მოლოდინი გუდაურის პროექტიდანაც აქვს: „რეგულაციის შემდეგ ჩვენთან ფონდების შექმნა ფულის კეთების საუკეთესო საშუალებად იქცა. გვაქვს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ძველი თბილისის რეაბილიტაციის ფონდი... თუ იკითხავთ, რა საბიუჯეტო რესურსი ხმარდება ძველი თბილისის რეაბილიტაციას, ამ კითხვაზე ფონდიდან ინფორმაციას ვერ მიიღებთ. გარდა ამისა, გუდაურში მინის ყოველი გოჯი კერძო საკუთრებაა. კერძო საკუთრებაში გადაცემული კურორტის განვითარებაზე თბილისის მერიის ასეთი თავგამოდება კი კიდევ უფრო გაუგებარია. ვის ვეხმარებით და ვის ბიზნესს ვაძლიერებთ?“

„ამბობენ, რომ გუდაურს განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს. მაშინ უნდა ვიკითხოთ, რა საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების ჩადება იმ სფეროში, რომელსაც წარმატება ისედაც გარანტირებული აქვს? სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ბიზნესპროექტი წარმატებული არასოდეს არის. ვინ აგებს პასუხს იმ შემთხვევაში, თუ პროექტი არ გაამართლებს?“ – სვამს კითხვებს პროექტის

კიდევ ერთი ოპონენტი, „ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტი, გაია ჯანდიერი.

გუდაურის განვითარების პროექტი 2 წელზეა გათვლილი. მერიაში ამბობენ, რომ ზამთრის პრესტიჟული კურორტი სახეს შეიცვლის და მალე იქ დასვენება წლის ნებისმიერ დროს იქნება შესაძლებელი. განახლებული კურორტის მთავარი მომხმარებელი კი თბილისის მოსახლეობა იქნება. 

რეპროდუქციული ჯანმრთელობა

# სისოსხნის უფლება VS თავისუფალი ახრევანი



მკვლელია თუ არა ქალი, რომელიც აბორტს იკეთებს?

## ნათია გულიაშვილი

40 დღის განმავლობაში, 9 მარტიდან 17 აპრილამდე, პარლამენტის წინ აუცილებლად შენიშნავდით 5-6 ადამიანს პლაკატებით ხელში. დემონსტრანტები თვეზე მეტ ხანს, ყოველდღე, დათქმულ დროს მიდიოდნენ პარლამენტთან, მშვიდად იღებდნენ ჩანთებიდან თვალსაჩინოებებსა და პლაკატებს წამყვანი თემით – „გადავარჩინოთ სიცოცხლე“ და ასე ცდილობდნენ გამვლელების ყურადღების მიპყრობას.

აქციის მონაწილეები დაინტერესებულნი გამვლელებს ემბრიონის ფორმებსაც აჩვენებდნენ, იმის საილუსტრაციოდ, თუ განვითარების რა ეტაპზე ეწირება ჩასა-

ხული სიცოცხლე გინეკოლოგის „მაშებს“, როცა ქალი აბორტის გაკეთებას გადაწყვეტს.

ამავე პერიოდში, მსგავსი შინაარსის აქციები მსოფლიოს 200-ზე მეტ ქალაქში გაიმართა. იდეის ავტორები აბორტის საწინააღმდეგო საერთაშორისო მოძრაობის Pro-life-ის წევრები იყვნენ. თუმცა, საზღვარგარეთ, ორგანიზაცია Pro-life, აქციების მოწყობის გარდა ქალებს, რომელთაც ნაყოფის მოშორება გადაწყვიტეს, კონკრეტული ინიციატივებითაც ეხმარება. საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე (<http://www.prolife.com/>) მათ მითითებული აქვთ უფასო ტელეფონის ნომრები

და ელ-ფოსტის მისამართები ინდივიდუალურად ყველა შემთხვევისთვის: „ფეხმძიმედ ხართ? დახმარება გჭირდებათ? დაგვიკავშირდით“; „გაშვილებაზე ფიქრობთ? ნახეთ ის მშობლები, რომლებიც მზად არიან, თქვენი ბავშვი აიყვანონ“.

სათაო ორგანიზაციის მსგავსად, ქართული მოძრაობის წევრებიც აცხადებენ, რომ აბორტი – ეს მანკიერებაა და უნდა აიკრძალოს. თუმცა კითხვაზე – კონკრეტულად რას მოითხოვენ ისინი სახელმწიფოსგან და აქვთ თუ არა გაცნობიერებული, ვთქვათ, რა შედეგები შეიძლება, მოჰყვეს აბორტის აკრძალვას – აქციის ორგანიზატორი იულია მუშუქდიანი გა-

რკვეულ პასუხს ვერ სცემს. მისი თქმით, სრულ აკრძალვამდე, სახელმწიფომ საზოგადოებას აბორტის მანებლობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია უნდა მიანოდოს. ამასობაში კი მისი ორგანიზაცია ამგვარ აქტივობას გეგმავს: „ღვთის ძალის შენეებით, ლოცვის, მარხვისა და მშვიდობიანი მორიგეობის მეშვეობით და-ვასრულოთ აბორტები“.

დღეს საქართველოში აბორტი ორსულობის 12 კვირამდეა დასაშვები. თუმცა, სხვადასხვა კვლევა უჩვენებს, რომ ქალები აბორტს ხშირად გაცილებით უფრო გვიანი ორსულობის პერიოდში არა მხოლოდ გაუარესებული ჯანმრთელობის გამო მიმართავენ.

ეს ფაქტი კი განაპირობებს იმას, რომ აბორტის სრულ და დაუყოვნებლივ აკრძალვას, მოძრაობის „სიცოცხლისათვის“ მსგავსად, ბევრი მართლმადიდებელი მოქალაქე ემხრობა. რამდენიმე ხნის წინ FA-CEBOOK-ზე დასმულ კითხვაზეც – „თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა აბორტი?“ – სოციალური ქსელის 1400 მომხმარებელი დადებითად პასუხობს და მხოლოდ 400 ადამიანი ამბობს, რომ აკრძალვა პრობლემას ვერ მოაგვარებს.

ამ ფონზე არათუ უპასუხოდ რჩება, არამედ საერთოდ არც კი ისმის მნიშვნელოვანი კითხვები, მათ შორის: რამდენად ზრდის მოშორებული ნაყოფების რიცხვს მძიმე სოციალური ფონი, კულტურული კლიშეები და დაბალი საზოგადოებრივი ცნობიერება? ამ საკითხების წინ წამოწევას არც ჟურნალისტები ცდილობენ. პირიქით, ნაციონალური ტელეარხებით გადაცემული ტელესიუჟეტების თემა აბორტი მხოლოდ მომხდარის სისასტიკის გამო ხდება, დედის საქციელის კრიმინალიზება კი „აბორტთან ბრძოლაში“ ერთადერთ სტრატეგიად იქცევა.

19 მარტს კრიმინალური ქრონიკის ჟანრს არ გასცილებია არც „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტი იმის შესახებ, თუ როგორ გაიკეთა თვითნებურად აბორტი თბილისელმა ახალგაზრდა ქალმა და შემდეგ, 28 კვირის ნაყოფის დამარხვა თვითონვე როგორ სცადა. მოგვიანებით, ქალს სისხლდენა დაეწყო და სამშობიაროში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე ხანში გარდაიცვალა. მანამდე

კი კორესპონდენტი, სიმართლის დადგენის მიზნით, პალატაში წვეთოვანზე მიერთებული და თავზე საბანგადაფარებული ქალისგან ცდილობდა პასუხის მიღებას კითხვაზე – რა პირობებში მოხდა ნაყოფის მოშორება. შემდეგ კი მაყურებელს დამწუხრებულმა აცნობა, რომ ქალმა კითხვებზე პასუხის გაცემა და კამერების წინაშე სახის გამოჩენა არ ისურვა. ჟურნალისტმა ახსენა მამაკაციც, რომელიც, სავარაუდოდ, ქალს ნაყოფის დამარხვაში ეხმარებოდა, თუმცა არ დაინტერესებულა იმით, ხომ არ იყო მამაკაცი ბავშვის მამა და ქალმა მისივე მოთხოვნის, ანდა დაშინების საფუძველზე ხომ არ გაიკეთა აბორტი?

რეალურად, პარტნიორი მამაკაცის სურვილი და კულტურული კლიშეები, რომელთა გამოც, ქალებს ხშირად საკუთარი ორსულობის გამჟღავნება რცხვენიათ, მნიშვნელოვანი ნაწილია იმ მიზეზებისა, რომელთა გამოც ქალი აბორტზე მიდის. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მიერ 2008 წელს საქართველოში ჩატარებულ კვლევაში, გამოკითხული ქალების 43 პროცენტი აღიარებდა, რომ ქმარმა მასზე ძალადობა მას შემდეგ დაიწყო, რაც მისი ფეხმძიმობის შესახებ გაიგო. 10-მა პროცენტმა განაცხადა, რომ ამ ძალადობის გამო მათ ორსულობა შეუწყდათ, 7-მა პროცენტმა კი მიიღო სიცოცხლისთვის საშიში ტრავმა.

აბორტის გაკეთებისას დღემდე მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება გენდერული სტერეოტიპებიც. ჩვენთან, ისევე, როგორც სხვა პატრიარქალურ კულტურებში, თუკი ექოსკოპიურად დადასტურდა, რომ ნაყოფი მდებარეობითი სქესისაა, მას თავიდან იშორებენ. ამის გამო ქვეყანაში ყოველ დაბადებულ 100 გოგონაზე 28-ით მეტი ბიჭი მოდის, როცა დადგენილი ნორმით გათვალისწინებული სხვაობა სქესებს შორის – ექვსია.

ხშირად ქალის არჩევანს, გადადგას მისთვისვე მძიმე ნაბიჯი და ნაყოფი მოიშოროს, ბევრი ისეთი გვერდითი მიზეზიც განსაზღვრავს, როგორცაა უთანასწორობა შრომით ბაზარზე და კანონმდებლობა, რომელიც ქალებისთვის ცალსახად დისკრიმინაციულია. ეს კი ბევრ მომავალ დედას უჩენს საფუძვლიან ეჭვს,

აბორტის სტატისტიკა



სოციოლოგების განმარტებით, საქართველოში პრობლემა აბორტების აღრიცხვა, რასაც ოფიციალურ მონაცემებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებს შორის დიდი სხვაობაც ადასტურებს. მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2002–2004 წლებში ყოველ 1000 ქალზე 14 აბორტი მოდიოდა, მაშინ, როცა საერთაშორისო ორგანიზაციების – UNFPA, CDC, USAID-ისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ერთობლივი კვლევის შედეგებით ეს რიცხვი 2003–2005 წლებში 104 იყო.

ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2005 წელს აბორტების ჯამური კოეფიციენტი ასეთი იყო: ცხოვრების განმავლობაში ერთი ქალი ერთ აბორტს იკეთებდა და ორ ბავშვს აჩენდა. ანუ ცხოვრების მანძილზე ქალი სულ სამჯერ ორსულდებოდა, ეს იმ ფონზე, რომ კონტრაცეფციის საშუალებებს მდებარეობითი მოსახლეობის ორი მესამედი არ იყენებდა.

ამ მონაცემების მცდარობა იმითაც დასტურდება, რომ რეალურად ქალის ნაყოფიერება გაცილებით მაღალია. ე.წ. ბორისოვის ინდექსით, ქალს ფერტილობის ასაკში – 9, კოულის ინდექსით კი, 12 ბავშვის გაჩენის პოტენციალი აქვს. რეალური სურათი 2005 წელს ჩატარებულმა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევამ აჩვენა, რომლის მიხედვითაც აბორტის ჯამური კოეფიციენტი ასეთია: 2 გაჩენილ ბავშვზე საქართველოში 8 აბორტი მოდის.

რომ ბავშვის დაბადების შემთხვევაში მის რჩენას ვერ შეძლებს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ შრომითი კოდექსის თანახმად, საქართველოში მამაკაცსაც ისევე აქვს დეკრეტულ შვებულებაში გასვლის უფლება, როგორც ქალს, არათუ მოსახლეობაში, პარლამენტშიც კი, მამაკაცები ამ ფაქტს ირონიული ღიმილით ხედავიან. „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთ გამოკითხვაში ისინი ამბობენ, რომ ჩვილ ბავშვთან 2 საათის ურთიერთობის შემდეგ „გიჟდებიან“, სამაგიეროდ, სამსახურში თავს უკეთ გრძობენ და დეკრეტულ შვებულებაში გასვლას მუშაობა ურჩევიან.

აბორტი არასასურველი ორსულობის შეწყვეტის ყველაზე გავრცელებულ მეთოდად რჩება თუნდაც იმიტომ, რომ ინფორმაცია თავდაცვის სხვა საშუალებების შესახებ დედებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ. ჟორდანია ინსტიტუტის პროფესორის, რეპროდუქციოლოგ ჯენარა ქრისტესაშვილის თქმით: „ჩვენთან ქალები ხშირად მხოლოდ აბორტის გაკეთების შემდეგ იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი, გაცილებით უფრო უვნებელი მეთოდით შეეძლოთ, აბორტი

ჩაენაცვლებინათ“.

კვლევებიც ცხადყოფს, რომ რაც უფრო ვმორდებით თბილისს, მით უფრო იკლებს იმ ქალების რიცხვი, რომელთაც არასასურველი ორსულობისგან თავდაცვის თანამედროვე საშუალებების შესახებ იციან. კონტრაცეფცია – აბორტის ალტერნატიული და მასზე გაცილებით უფრო უსაფრთხო თავდაცვის საშუალება – ჩვენთან უკიდურესად მცირე შემთხვევებში გამოიყენება. 2005 წელს საერთაშორისო ორგანიზაციების (UNFPA, CDC, USAID) მიერ ჩატარებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით, კონტრაცეფციის ნებისმიერ მეთოდს საერთოდ არ იყენებს 15-44 წლამდე ფერტილური ასაკის ქალების 71.6 პროცენტი, 41 პროცენტს „ოდესმე აქვს გამოყენებული“; „ამჟამად იყენებს“ მხოლოდ 28 პროცენტი.

„ჩვენს საზოგადოებაში ქალი აბორტს ეჩვევა არაკომპეტენტურ გინეკოლოგებთან ურთიერთობით, რომლებიც დაინტერესებული არიან იმით, რომ აბორტი აკეთონ, რადგან ამაში ფულს იღებენ. მეტიც, ბევრი ექიმი იმ აზრზეა, რომ

კონტრაცეფცია მავნებელია. ქალსაც, ორსულობის თავიდან აცილების მიზნით, აბორტის გაკეთების პრაქტიკა ჩამოუყალიბდა“, – ამბობს ჯენარა ქრისტესაშვილი და დასძენს, რომ ორსულობის და ოჯახის დაგეგმვა ეს ჩვეულებრივი რეპროდუქციული ქცევაა, რომელიც წესით, მონარდობის ასაკში უნდა გამოუმუშავდეთ გოგონებს.

თუმცა, ახალგაზრდა ქალებში ამ ჩვევის გამოუმუშავებას ხელს ხშირად რელიგიური მოსაზრებებიც უშლის. ზოგჯერ კი რეპროდუქციოლოგ ექიმებზე მეტი წონა მათთვის სასულიერო პირებს აქვთ, რომლებიც ოჯახური ცხოვრების დაგეგმვის აბსოლუტურად განსხვავებულ მოდელს სთავაზობენ ახალგაზრდა წყვილებს.

ამ მოდელის მიხედვით, აბორტზე არანაკლებ საშინელი ცოდვა კონტრაცეფციის გამოყენებაა. ასეა არა მხოლოდ მართლმადიდებლურ მოძღვრებაში, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა გავლენიან რელიგიაში. მაგალითად, რომის პაპმა მხოლოდ 2010 წელს დაუშვა კონტრაცეფციის გამოყენება და ისიც მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში (პროსტიტუციის

## ფაქტები აბორტის შესახებ

▶ ამერიკული არაკომერციული ორგანიზაციის „Guttmacher Institute“ ანგარიშის თანახმად, რომელიც აბორტის პრობლემებზე მუშაობს, მსოფლიოში არაპროფესიონალური აბორტების რიცხვი წელიწადში თითქმის 20 მილიონია. ორგანიზაციის პრეზიდენტი, შერონ კემპი ფიქრობს, რომ კრიმინალური აბორტების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი, აბორტების კანონით შეზღუდვაა, რაც აიძულებს ქალებს არალიცენზირებულ საეციალისტებს მიმართონ. ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოს ქალი მოსახლეობის 40 პროცენტი ცხოვრობს იმგვარ ქვეყანაში, სადაც აბორტი კანონით იზღუდება. საეციალისტები მიიჩნევენ, რომ ორსულობის აღკვეთა ეკონომიკურად, ბევრად

მომგებიანია, ვიდრე ორსულობის შეწყვეტა: უხარისხო აბორტის შედეგად მოქალაქეების მკურნალობა წელიწადში საშუალოდ 500 მილიონი დოლარი ჯდება. ორსულობის შეწყვეტის ყველაზე ოპტიმალურ მანევრებად შერონ კემპი ასახელებს ნიდერლანდებს, სადაც 15-44 წლის 1000 ქალიდან ყოველწლიურად სულ 10 აბორტი კეთდება.

▶ კათოლიკურ ესპანეთში, სადაც 2007 წელს აბორტის 112 ათასი შემთხვევა დაფიქსირდა, რეალურად აბორტი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იყო დასაშვები: თუკი ორსულობა გაუპატიურების შედეგი იყო, ან თუკი ის დედის სიცოცხლეს უქმნიდა საფრთხეს. ახლა კი, პარლამენტში წარდგენილი ინი-

ციაციის თანახმად, აბორტი ლეგალური გახდება ფეხმძიმობის პირველი 14 კვირის განმავლობაში. ამ წინადადებას ესპანეთში მემარჯვენე პოლიტიკური პარტიები აქციებით შეხვდნენ. კანონმდებლობის ავტორების თქმით კი, აბორტის ლეგალიზება სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, გააკონტროლოს ისიც, რომ აბორტი ორსულობის გვიან ეტაპზე აღარ გაკეთდეს.

▶ ჩილეში, სადაც აბორტი მკაცრად აკრძალულია, ხოლო განქორწინება მხოლოდ 2004 წლიდანაა ნებადართული, კონტრაცეფციაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, მათი სამედიცინო დაწესებულებებში უფასოდ დარიგება დაიწყეს. ამით 760 ათას ჩილელ მონარდ გოგონას, რომ-

ლებსაც აქტიური სქესობრივი ცხოვრება აქვთ, არასასურველი ორსულობისგან თავდაცვის შანსი გაუჩნდათ.

▶ განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობას კარგად გამოხატავს ჩადური ანდაზა: „ფეხმძიმე ქალს ერთი ფეხი სამარეში აქვს“. ამ ქვეყნებში 22 ქალიდან ერთი მშობიარობისას იღუპება და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კრიმინალიზებული აბორტია.

▶ ჩინეთში შობადობა 1970 წლებიდან რეგულირდება. აქ ყოველწლიურად 13 მილიონი აბორტი კეთდება, რაც დიდწილად ჩასახვის სანინააღმდეგო საშუალებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას და არახელმიწინააღმდეგობას უკავშირდება.

დროს, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების თავიდან ასაცილებლად). ქართული მართლმადიდებელი ეკლესია კი დღემდე ილაშქრებს არა მხოლოდ კონტრაცეფციის, არამედ საჯარო სკოლებში სქესობრივი განათლების დაწყების წინააღმდეგაც და ამას ხშირად „ბავშვების გარყვნის“ კვალიფიკაციას ანიჭებს.

რეპროდუქტოლოგი ჯენარა ქრისტე-საშვილი კი ამბობს, რომ თუ გამოვიყენებთ ისეთ კონტრაცეფციას, რომელიც კვერცხუჯრედის მომწიფებას თრგუნავს, გამოდის, რომ ეს არც ცოდვა იქნება და – არც აბორტი. „წინათ გამოვიყენებოდა სპირალი, რომელიც პლასტმასისგან შედგებოდა და მისი ფუნქცია იყო, განაყოფიერებული კვერცხუჯრედი საშვილოსნოს ლორწოვანში არ ჩანერგილიყო, ახლანდელი სპირალები კი, რომელიც უკვე 10 წელია, ხმარებაშია, სპილენძს და კიდევ ისეთ ჰორმონს შეიცავს, რომელიც კვერცხუჯრედის მომწიფებას თრგუნავს და ამ შემთხვევაში უკვე ემბრიონის სიკვდილიც აღარ დგება. იგივე შეიძლება, ვთქვათ პრეზერვატივზე, რომელსაც დამატებით ის პლუსიც აქვს, რომ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების თავიდან აცილების საშუალებაა“.

მიუხედავად იმისა, რომ რეპროდუქტოლოგების დიდი ნაწილი აბორტის მომხრე არ არის, ისინი ამბობენ, რომ – კულტურული კლიშეების, ოჯახური ძალადობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით – აბორტის აკრძალვა კი არ შეამცირებს მათ რიცხვს, არამედ კრიმინალიზებული აბორტების რაოდენობას და დედათა სიკვდილიანობას უფრო გაზრდის.

„აკრძალვა ნაცადი ხერხია, მაგრამ ის ვერანაირად ვერ იქნება აბორტის პრევენცია. როცა რუმინეთში, ჩაუშესკუს დიქტატურის დროს, აბორტის კეთება აკრძალეს, ხალხს იჭერდნენ კიდეც. თავიდან შობადობის მაჩვენებელმა ოდნავ მართლაც იმატა, მერე კი ისევ ძველ ნიშნულამდე დაეცა, სამაგიეროდ, მოიმატა დედათა სიკვდილიანობამ. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, პოლონეთშიც იყო შეზღუდვები და ქალები იძულებულნი იყვნენ, აბორტისთვის ან საზღვარგარეთ წასულიყვნენ, ან თვით-



**მედიკოსები ფიქრობენ, რომ აბორტი ლეგალური უნდა იყოს ქალზე ძალადობის, ანდა ინცესტის დროს, როცა ქალი თავისი სურვილის წინააღმდეგ ორსულდება.** „მთავარია, ის არ რჩებოდეს არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებელ ყველაზე გავრცელებულ საშუალებად“.

ნებურად, საშინელ პირობებში, მოეშორებინათ ნაყოფი“, – ამბობს ჟორდანის ინსტიტუტის გინეკოლოგი, გიორგი ცერცვაძე.

ამიტომ მედიკოსები ფიქრობენ, რომ აბორტის სრული აკრძალვის ნაცვლად ის აბსოლუტურად ლეგალური უნდა იყოს ქალზე ძალადობის, ანდა ინცესტის დროს, როცა ქალი თავისი სურვილის წინააღმდეგ ორსულდება. „მთავარია, ის არ რჩებოდეს არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებელ ყველაზე გავრცელებულ საშუალებად“, – დასძენენ ისინი.

კონტრაცეფცია და რეპროდუქციული ჯანმრთელობა თანამედროვე მედიცინასა და ბიოეთიკაში, სხვა კომპონენტებთან ერთად, კონფიდენციალობის ტერმინის ქვეშ ერთიანდება (privacy). კონფიდენციალობის უფლება კი 1970-იანი წლებიდან უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი გახდა ქალებისთვის, რომლებმაც ერის გამამრავლებელი მანქანა-ინკუბატორების სტატუსი მოიშორეს და საკუთარი სხეულის მფლობელებად იქცნენ. ამ

მხრივ, საკვანძო იყო 1973 წელს ამერიკის უზენაეს სასამართლოში Roe V. Wade-ის საქმე. სასამართლომ მაშინ სწორედ კონფიდენციალობის ფუნდამენტურ უფლებაზე დაყრდნობით ქალებს არასასურველი ორსულობის შეწყვეტის უფლება მისცა, თუმცა ისიც განმარტა, რომ ეს უფლება აბსოლუტური არ იყო და საჭირო იყო ბალანსი, ერთი მხრივ, დედების უსაფრთხოების დაცვასა და მეორე მხრივ, ნაყოფის სიცოცხლის უფლებას შორის.

ნაყოფის სიცოცხლის უფლების დაცვა – ეს აბორტის მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტია. მათ შორის კი, ვინც აბორტის იდეას ემხრობიან, არიან ისეთებიც, რომლებიც ემბრიონის სიცოცხლის უფლებას სულაც არ უარყოფენ, მაგრამ ხშირად იმომწიფებენ ფილოსოფოს ჯუდიტ ტომსონის სიტყვებს: „იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ვუშვებთ, რომ ემბრიონს სიცოცხლის უფლება აქვს, არსებობს ლიმიტი, რომლის იქით სახელმწიფოს არ აქვს უფლება, ქალს გადაუწყვიტოს, რა უყოს

ნაყოფს, რომელსაც ის თავისი სხეულით ატარებს“.

ცხადია, აბორტის და რეპროდუქციული ცხოვრების დაგეგმვის უფლება არ შეიძლება მხოლოდ ქალის თავისუფლებისა და „ჩემს სხეულს, რაც მინდა, იმას ვუზამ“ მიდგომით განვიხილოთ.

ბიოეთიკაში იმას, თუ ვინ არის აბორტის მომხრე და ვინ მოწინააღმდეგე, ნაყოფის სტატუსი განსაზღვრავს. ეს დამოკიდებულია იმაზე, აღიარებენ თუ არა ჩანასახის სიცოცხლეს აბსოლუტურად, თუ მას პოტენციურ, ანდა სუბსიცოცხლედ მოიაზრებენ.

მეცნიერებს, ჯერჯერობით, ამ სტატუსებიდან არც ერთის უტყუარობა არ განუსაზღვრავს. მაგალითად, დავა იმაზე, როდის იწყებს ემბრიონის ნერვული სისტემა ტკივილის შეგრძნებას, დღემდე მიმდინარეობს.

მორალისტების აზრით, ქალების კონფიდენციალობის უფლება უძლური იქნება იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერება დამტკიცებს, რომ უნიკალური ადამიანური სიცოცხლე კვერცხუჯრედის განაყოფიერებისთანავე წარმოიქმნება. ავსტრალიელი ფილოსოფოსის პიტერ სინგერის მტკიცებით კი, მეცნიერება არ ადასტურებს, რომ უნიკალური ადამიანური სიცოცხლე ჩასახვისთანავე იწყება. სიცოცხლეს სრულფასოვნად ვერ მივიჩნევთ მანამდე, ვიდრე არსებობს შანსი, განაყოფიერებული კვერცხუჯრედი გაიყოს და შედეგად, ტყუპების სახით რამდენიმე სიცოცხლეც კი მივიღოთ.

რეალურად, დავა აბორტის ეთიკურობასა და ემბრიონის სტატუსზე, გრძელვადიანი, და შესაძლოა დაუსრულებელი პროცესიც იყოს. თუმცა არგუმენტი, რომელიც მხოლოდ დაუბადებელი ნაყოფის სიცოცხლის კონსტიტუციური უფლების დაცვას ითხოვს და დედის მდგომარეობას, ძალადობის და ინცესტის შემთხვევაშიც კი, იგნორირებას უკეთებს, კრიტიკას ვერ უძლებს. ამიტომ მანამ, ვიდრე დედებს, რომლებმაც აბორტი გაიკეთეს, „მკვლელის“ იარაღის მივაკერებთ, სჯობს, დავფიქრდეთ კითხვაზე – რა როლი ითამაშა მამამ, ოჯახმა, საზოგადოებამ ან თუნდაც ექიმმა ქალის „მკვლელად“ ქცევაში. 

# სტუმრები მეზობელი ქვეყნიდან



მარკ მალენი

მთელი წლის განმავლობაში, და განსაკუთრებით – მაისსა და ივნისში, დასავლეთ ევროპაში რალაც ძალიან საინტერესო ხდება. ავტობუსები, რომლებიც 13-დან 16 წლამდე ბავშვებით არის სავსე, მეზობელ ქვეყნებს სტუმრობენ. ეს ტრადიცია ჩვენც უნდა დავნერგოთ.

ძირითადი პროცედურა იგივე დარჩება. ბავშვებით დატვირთული ავტობუსი მეზობელ ქვეყანაში გაემგზავრება სამი დღიდან 1 კვირამდე (გააჩნია, რამდენად შორს წავლენ). რატომ უნდა, ბავშვები სკოლის მასწავლებლების მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან. ხშირად ისინი ამ ღონისძიებას მეზობელი ქვეყნის რომელიმე სკოლასთან ერთად დაგეგმავენ და ორივე სკოლის ბავშვები სხვადასხვა ჯგუფურ თამაშებში ერთად მიიღებენ მონაწილეობას. მთავარია, რომ ბავშვები მათი მეზობელი ქვეყნების მუზეუმებს და ისტორიული მნიშვნელობის ადგილებს მოინახულებენ.

ხშირად ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდები დროს თავიანთი ოჯახებისგან შორს გაატარებენ. მათ გვერდით იქნება ისეთი ხალხი, ვისაც იცნობენ და ენდობიან და ისინი, ძირითადად, იაფსაერთო საცხოვრებლებში ან ბანაკებში იცხოვრებენ. ამის მიუხედავად, ზოგიერთისთვის ეს მაინც პირველი შემთხვევა იქნება, როდესაც ოჯახის დახმარების ქსელს მოსწყდება და ამიტომ ერთგვარ გამოწვევად მიიღე-

ბს. ეს იქნება ფიზიკური დატვირთვის გამოცდილებაც, რადგან ბავშვებს ბევრი სიარული მოუწევთ.

ასეთი ექსკურსიები რამდენიმე ღირებულ მიზანს ემსახურება. პირველი დანიშნულება არის, იმის ნახვა და გაგება, თუ როგორ აღიქვამენ მეზობელი ქვეყნები თავიანთ ისტორიას. სამშობლოში ბავშვებს შეიძლება სმენიან შეფასებები ამა თუ იმ ერზე, მაგრამ ისინი არასდროს შეხვედრიან ამ ერის წარმომადგენლებს და არასდროს ულაპარაკიან მათთან. როდესაც ბავშვები მთელ დღეს მეზობელი ქვეყნის დედაქალაქის თვალთვლებაში გაატარებენ, ისინი დაინწყებენ ამ ერის აღქმას, როგორც ინდივიდების ერთობლიობის და არა ეროვნულ სტერეოტიპში მოქცეული ერთობის. ქართველები ხშირად ამბობენ, რომ სომხები ასეთები და ისეთები არიან, მაგრამ იშვიათად გაიგონებთ ქართველებისგან იმას, თუ როგორები არიან თავად „ქართველები“. ჩვეულებრივ, ხალხი თავის ერს აღიქვამს, როგორც ინდივიდების ერთობლიობას, რომელშიც ყველა ინდივიდი ერთმანეთისგან განსხვავდება. მეზობელი ქვეყნის მოქალაქეებთან პირდაპირი ურთიერთობა მშვენიერი ხერხია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გასაღრმავებლად.

ექსკურსიების მესამე დადებითი თვისება არის ის, რომ ადამიანებს შეახსენებს, თუ რა საშინელი და უგუნურია ომი. რაც არ უნდა თქვან,



ომი მართლაც საშინელი და უგუნური საქმიანობაა. ბრიტანელი სკოლის მოსწავლეები ხშირად ნახულობენ პირველი მსოფლიო ომის ბრძოლების ადგილებს ბელგიასა და საფრანგეთში. მიზანი სპეციფიკურია – ბავშვებისთვის ისტორიის გაკვეთილების სწავლება და იმის შესხენება, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ ახალგაზრდები, თავიანთი საცხოვრებლების შორიახლოს, პატრიოტიზმის სახელით ერთმანეთს ხოცავდნენ. ხშირად, ამ სკოლის მოსწავლეების ბაბუები ან დიდი ბაბუები პირდაპირ იყვნენ ჩამოვლნი ასეთ ბატალიებში.

მეოთხე დანიშნულება ენის სწავლაა. ახალგაზრდებს უცხო ენის

შესწავლის სტიმულს ისე არაფერი აძლევს, როგორც ამ უცხო ენაზე მოლაპარაკე ხალხს შორის დროის გატარება. ახალი ენის სწავლა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის მიცემული ერთ-ერთი დავალება, მაგრამ ეს დავალება იმით იქნება გამორჩეული, რომ ბავშვებს ამ ენის გამოყენება რეალურად მოუწევთ და თავს გამოიჩინენ ის მოსწავლეები, ვინც კარგად აითვისებენ.

და ბოლო, ეს მოგზაურობები ახალგაზრდებს ასწავლის, თუ როგორ იყვნენ თავიანთ თავზე დამოკიდებულნი. მოგზაურობა ხშირად დამქანცველია. ყველა ახალგაზრდა მოგზაურს

სჭირდება რალაცების დალაგება და საქმლის მომზადება, დანიშნულების ადგილზე დროზე გამოცხადება, ნაკლები წუწუნი და მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენა. საქართველოში არ არის მიღებული კულტურული კონსენსუსი იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს მშობლებისა და მასწავლებლების პასუხისმგებლობა ახალგაზრდებისთვის დამოუკიდებლობისა და საკუთარ თავზე დაყრდნობის სწავლების საქმეში. ეს კონსენსუსი ნელ-ნელა მიიღწევა, მაგრამ მეზობელ ქვეყნებში მოგზაურობა კარგი დასაწყისი იქნება ბავშვებისთვის დამოუკიდებლობის შესაჩვენად.

რატომ არ ტარდება მსგავსი ექსკურსიები საქართველოში? საქართველოს ამისათვის შესანიშნავი მდებარეობა აქვს. დიდ იზოლირებულ ქვეყნებში, მაგალითად, რუსეთში, ჩინეთში ან შეერთებულ შტატებში, ადამიანებმა შეიძლება საათობით იმგავაზრონ ავტობუსით და მაინც საკუთარი ქვეყნის საზღვრებს ვერ გასცდნენ. ქართველებს კი შეუძლიათ რამდენიმე საათიანი მგზავრობით მიაღწიონ მსოფლიოს ისტორიულად მდიდარ ადგილებს და რამდენიმე განსხვავებულ ქვეყანას. პატრიოტულ ბანაკებს და საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს თუ მივიღებთ მხედველობაში, მეც ერთი შემოთავაზება მექნება: კარგი იქნება, თუ სახელმწიფო დაავალდებულებს ყველა საშუალო სკოლას, რომ მოაწყოს და დააფინანსოს ექსკურსია მეზობელ ქვეყნებში ისე, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, სკოლის დამთავრებამდე ნახოს ბაქო ან ერევანი.

ევროპა, როგორც კულტურა და ევროკავშირი, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ორგანიზაცია, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სხვადასხვა ევროპელი ერები დაახლოვოს. ევროპელებმა 65-წლიანი მშვიდობა დაამყარეს, რაც ბებერი კონტინენტისთვის ყველაზე დიდი მშვიდობიანობის პერიოდია. მგონი, მათ ჩვენც უნდა მივბაძოთ. **■**

**■ კარგი იქნება, თუ სახელმწიფო დაავალდებულებს ყველა სკოლას, რომ მოაწყოს ექსკურსია მეზობელ ქვეყნებში ისე, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, სკოლის დამთავრებამდე ნახოს ბაქო ან ერევანი.**



# ვინ ახის ნიუტ ბინბიჩი?



11 მაისს, კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ, რესპუბლიკელმა ნიუტ გინგრიჩმა 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის თავისი კანდიდატურა ოფიციალურად წამოაყენა.

გიორგი ცხაღია

„დღეს წამოვაყენებ ჩემს კანდიდატურას შეერთებული შტატების პრეზიდენტობისთვის“, – დაწერა 67 წლის ნიუტ გინგრიჩმა „ტვიტერის“ პროფილის გვერდზე. ეს მომავალი კანდიდატის პირველი საჯარო განცხადება იყო, რომლითაც ის აშშ-ის პრეზიდენტობისთვის ბრძოლას შეუერთდა.

გინგრიჩი რესპუბლიკელია და მას 1999 წლის შემდეგ არც ერთი არჩევითი თანამდებობა არ დაუკავებია. იქამდე, 1978 წლიდან 1999 წლამდე ის წარმომადგენლობითი პალატის წევრი იყო. მისი მთავარი კოზირი, გამოცდილების გარდა, განსაკუთრებული პოლიტიკური აქტივიზმია. სწორედ ამ ნიშნით იკავებს ის გამორჩეულ ადგილს რესპუბლიკელ საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის.

გინგრიჩის იდეოლოგიური პლატფორმისა და პოლიტიკური აქტივიზმის უკეთ გასაგებად მის მიერ დაარსებული ორი ორგანიზაციის საქმიანობას უნდა დავაკვირდეთ. პირველ ორგანიზაციას „ამერიკული გამოსავალი მომავლისთვის“ ჰქვია, მეორეს – „ამერიკული ლიდერობის განახლება“.

„ამერიკული გამოსავალი მომავლისთვის“ გინგრიჩმა 2006 წელს ლას ვეგასის კაზინოების მაგნატის შელდონ ადელსონის 1 მილიონიანი შემონიშნულობით დააარსა. ჯგუფის მთავარი მიზანი ადგილობრივი რესპუბლიკელი კანდიდატების მხარდაჭერა და ეკონომიკური და საგანმანათლებლო ინიციატივების ლობირებაა. ეკონომიკურ ინიციატივებში შედის ჯანმრთელობის დაზღვევის პრივატიზება, საგანმანათლებლოში – ე.წ. „პატრიოტული სწავლების“ ნახალისება, ანუ ყველა საჯარო სკოლაში დამოუკიდებლობის დეკლარაციის სავალდებულო სწავლება.

ნომიკური და საგანმანათლებლო ინიციატივების ლობირებაა. ეკონომიკურ ინიციატივებში შედის ჯანმრთელობის დაზღვევის პრივატიზება, საგანმანათლებლოში – ე.წ. „პატრიოტული სწავლების“ ნახალისება, ანუ ყველა საჯარო სკოლაში დამოუკიდებლობის დეკლარაციის სავალდებულო სწავლება.

■ უდიდესი პოლიტიკური გამოცდილებისა და ორგანიზების საოცარი უნარის გამო ნიუტ გინგრიჩი ყველა კანდიდატისთვის გასათვალისწინებელი კონკურენტია.

ორგანიზაციისთვის გადამწყვეტი მომენტი დაარსებიდან 2 წლის შემდეგ, 2008 წელს დადგა, როდესაც დემოკრატებმა ნავთობის მოპოვებისთვის საზღვაო გაბურღვის ნინააღმდეგ გამოსულა აქტიურად დაიწყეს. გინგრიჩმა ამის საპასუხოდ თავისი ორგანიზაცია საზღვაო გაბურღვის მხარდამჭერ პლატფორმად გადააქცია. საზღვაო გაბურღვის მხარდა-

მჭერ ონლაინ პეტიციას ერთ თვეში მილიონი ადამიანი შეუერთდა. სწორედ გინგრიჩის კამპანიის თავდაპირველი სლოგანების შეცვლილ ვერსიას წარმომადგენელმა სენატორი მაკკეინის ერთ-ერთი წინასაარჩევნო ლოზუნგი: „გაბურღე, პატარავ, გაბურღე!“

წარმატებული კამპანიის შედეგად, ორგანიზაციამ 1.3 მილიონი მხარდამჭერის იმეილის მოპოვება შეძლო და კონგრესის ბოლო არჩევნებში 28.7 მილიონი დოლარის კონტრიბუცია მოაგროვა. მართალია, მიღებული შემონიშნულობების 55 % ისევ კამპანიის გაფართოებასა და პიარში დაიხარჯა, მაგრამ საბოლოო ჯამში, გინგრიჩის ჯგუფზე მეტი თანხის მოპოვება მხოლოდ დემოკრატი და რესპუბლიკელი გუბერნატორების ასოციაციებმა შეძლეს.

დღესდღეობით ორგანიზაციას 300 000-ზე მეტი დონორის მონაცემები აქვს. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ გინგრიჩს, დონორებისა და მხარდამჭერების სიას თუ გავითვალისწინებთ, უკვე დაახლოებით 1.7 პოტენციური ამომრჩეველი ჰყავს.

გინგრიჩის მეორე ორგანიზაცია „ამერიკული ლიდერობის განახლება“ 2009 წელს დაარსდა. ორგანიზაციის ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ მისი მისიაა „ამერიკის იუდეო-ქრისტიანული მემკვიდრეობის შენარჩუნება; ამერიკული ცივილიზაციის ოთხი ქვაკუთხედის დაცვა და გავრცელება;

რწმენის, ოჯახის, თავისუფლებისა და კერძო ბიზნესის“. ორგანიზაცია ეფუძნება ამერიკის განსაკუთრებულობის რწმენას, რომელსაც მისი ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი შემდეგნაირად განმარტავს:

„ამერიკა კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებული ქვეყანაა, რადგან ის ნამდვილ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული, სადაც კლანურობა და მმართველი კლასი არ არის გაბატონებული. ის, ასევე, ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც დადგინდა, რომ ჩვენი უფლებები მოდის

ქორწინების მხარდამჭერი მოსამართლეების ხელახალი არჩევის წინააღმდეგ.

გინგრიჩის წინასაარჩევნო ვებგვერდზე პრეზიდენტობის კანდიდატი ამერიკელებს რესპუბლიკელების კარგად ნაცნობ „ეკონომიკურ რეცეპტებს“ სთავაზობს: გადასახადების შემცირება, საზღვაო გაბურღვის მხარდაჭერა, ობამას ჯანდაცვის რეფორმის გაუქმება, დოლარის კურსის გამყარება და სახელმწიფო ხარჯვის შემცირება.

რელიგიურ, ნაციონალურ და კულტურულ საკითხებზე გინგრიჩის პოზიციები რესპუბლიკური პარტიის

ადრე კი კონგრესის თანამშრომელს ხვდებოდა, რომელთანაც ურთიერთობა მაშინაც კი არ გაუწყვეტია, როდესაც რესპუბლიკური კონგრესი კლინტონისა და ლევინსკის სკანდალს განიხილავდა.

გინგრიჩს გააზრებული აქვს, რომ რელიგიურ პლატფორმაზე მიტ რომნისა და მაიკ ჰაკაბის (რესპუბლიკური პარტიის პოტენციური კანდიდატები) კონკურენციას ვერასდროს გაუწევს. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ კონსერვატორული ჯგუფებიც (მაგალითად, „ამერიკული ოჯახების ასოციაცია“) მის კანდიდატურას ეჭვის თვალთ უყურებენ.

სავარაუდოდ, სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, მან რელიგიური შეხედულებები შეიცვალა – კათოლიციზმი მიიღო და ლათინოსი კონსერვატორების ხმებზე ნადირობა დაიწყო. ლათინოსების ხმების მოსაპოვებლად გინგრიჩმა დააარსა ვებგვერდი „ამერიკანო“ და დაიწყო ესპანურ ენაზე გამოსვლები. კვირა დღეს იგი ტრადიციულად ესპანური ენის მასწავლებელს უთმობს. ბოლო ხანებში კი კონსერვატორი ლათინოსების ორდლიანი კონფერენციაც დააფინანსა ვაშინგტონში.

მიუხედავად გამოცდილებისა და აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისა, გინგრიჩის კანდიდატურა რესპუბლიკელებს შორის, ჯერჯერობით, მაინც მეოთხე-მეხუთე ადგილზე განიხილება. კონსერვატორული მედია ცენტრის realclearpolitics-ის ბოლო გამოკითხვებით, პირველ ადგილზე მასაჩუსეტსის ყოფილი გუბერნატორი მიტ რომნია, მეორე და მესამე ადგილებს კი არკანზასის ყოფილი გუბერნატორი მაიკ ჰაკაბი და ალასკის ყოფილი გუბერნატორი სარა პეილინი ინანილებენ.

თუმცა, რომნის ლიდერობის მიუხედავად, რესპუბლიკურ პარტიაში გამოკვეთილი ლიდერი მაინც არ ჰყავთ. უდიდესი პოლიტიკური გამოცდილებისა და ორგანიზების საოცარი უნარის გამო ნიუტ გინგრიჩი ყველა კანდიდატისთვის გასათვალისწინებელი კონკურენციაა. ■



ღმერთისგან და არა სახელმწიფოსგან“.

ორგანიზაციის იდეოლოგები „უფლებებში“, პირველ რიგში, კერძო საკუთრების უფლებას გულისხმობენ, რადგან სოციალური უფლებების შემთხვევებში ისინი მკაცრად დგანან სახელმწიფოს მიერ კონსერვატორული ღირებულებების დაცვის პოზიციაზე. მაგალითად, ორგანიზაციამ 150 000 დოლარი გადარიცხა აიოვაში გეი

სხვა კანდიდატების პოზიციებისგან დიდად არ განსხვავდება. რელიგიის თემის წამოწევა წინასაარჩევნო დღის წესრიგში გინგრიჩისთვის უარყოფითი გამოძახილების გამოწვევის საფრთხესაც შეიცავს. საქმე ის არის, რომ წარმომადგენლობითი პალატის ყოფილი თავმჯდომარე სამჯერ არის დაქორწინებული. მეორე ცოლთან განქორწინებამდე რამდენიმე წლით

# ჯანში - ამბოხება ქაღებმა დაინყეს




გიორგი გვახარია რადიო „თავისუფლება“, სპეციალურად „ლიბერალისტვის“

კანის კინოფესტივალი არასდროს დაწყებულა ასე კარგად. ამას ამბობენ ვეტერანი კინოკრიტიკოსები, რომელთაც ის წლებიც ახსოვთ, როცა მსოფლიოს ნომერ პირველ კინოფორუმზე ანტონიონის, ფელინის, ლოუზის, ბრესონის კინო იმარჯვებდა და ახსოვთ 1968 წელიც, როცა კანის კინოფესტივალი ჩაიშალა პარიზში მიმდინარე მოვლენების გამო; უფრო სწორად, თავად მემამბოხე-რეჟისორებმა თქვეს უარი ფესტივალზე.

ის მემამბოხენი მსოფლიო კინოს აღარ ჰყავს, აღარც კინოა „ის კინო“, მაგრამ კანის 64-ე კინოფესტივალის პროგრამით თუ ვიმსჯელებთ, არის შანსი მსოფლიო საავტორო კინო კრიზისიდან გამოვიდეს და ძველი დიდება დაიბრუნოს. ძალიან ძლიერია წლევანდელი პროგრამა. ფაქტობრივად, ყველა სახელოვანმა კინემატოგრაფისტმა დაასრულა ახალი ფილმი სპეციალურად კანის კონკურსისთვის. მით უფრო სასიხარულოა, რომ ამ ავტორიტეტებიდან ჯერ მხოლოდ ნანი მორეტიმ უჩვენა აბსურდული კომედია რომის პაპზე... მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კანის 64-ე კინოფესტივალი ნაკლებად ცნობილმა კინორეჟისორებმა დაინყეს, „ახალი ამბოხება“ სახეზეა, ამბოხება, რომელიც ქაღებმა დაინყეს.

დიახ, ფესტივალის პირველ დღეებში ნაჩვენები ზედიზედ სამი ფილმის ავტორი ქალია – ავსტრალიელმა ჯულია ლიმ, რომელსაც ჯეინ კემპიონი მფარველობს, გვიჩვენა „მძინარე მზეთუნახავი“ – ლუის ბუნუელის „შუადღის ლამაზმანის“ თავისებური ინტერპრეტაცია. უფრო



უკეთ, „ფემინისტური ინტერპრეტაცია“ ზოგადად, ქალთა სქესის დასაცავად, იმ ქალების დასაცავად, რომელთაც „მამაკაცების კულტურაში“ საუკუნეების მანძილზე ჰქონდათ წართმეული „ყურების“ უფლება, რომელთაც მხოლოდ „ყურების“, დათვალერების, ტკობის და შესაბამისად, მოხმარების ობიექტებად აღიქვამდნენ. ამ „მამაკაცური კულტურის“ წინააღმდეგ ამბოხებას აწყობს კიდევ ერთი საკონკურსო ფილმის ავტორი, შოტლანდიელი ლინ რიმსი ფილმში „უნდა ვილაპარაკოთ კევინზე“; ტილდა სვინტონის გმირი აქ დედაა 16 წლის,

(რომელიც, სხვათა შორის, პოლიციისადმი მიძღვნილი საბავშვო სიმღერით იწყება), გვიამბობს ბავშვთა დაცვის ფრანგულ პოლიციაზე, რომლის მთავარი მოვალეობა პედოფილიასთან ბრძოლაა. ფრანგული საზოგადოების პორტრეტი, რომელსაც რეჟისორი ქალი ხატავს, იმდენად დამთრგუნველია, რომ ფილმის დასრულების შემდეგ დარბაზი „დაჰიპნოზებულს“ ჰგავდა... ბავშვთა უფლებების დაცვასთან ერთად, სურათის ავტორი სვამს კითხვას, რომელიც ნამდვილად არ ესიაომუნებათ მორალის სადარაჯოზე მდგარ ინსტიტუციებს – ვის აქვს უფლე-

მორეტი თავის ახალ ფილმს „ჩვენ გვყავს პაპი“, ფაქტობრივად, ამ აზრით ასრულებს. ახლადარჩეული პაპი, რომელსაც არჩევნების დასრულების შემდეგ, „ფობიები გაუჩნდა“ და უარი თქვა მისალმებოდა წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ ხალხს, ბოლოს მაინც გამოჰყავთ აივანზე ... „მე ვერ ვიქნები თქვენი წინამძღოლი!“ – ამბობს პაპი, რომლის როლს დიდი ფრანგი მსახიობი მიშელ პიკოლი ასრულებს. მანამდე პაპი, რომელსაც ფსიქოანალიტიკოსები შეასიეს, დაუსხლტება დაცვას და პატარა „რომაულ არდადეგებს“ მოიწყობს. აქ ნანი მორეტი თავის სტიქიაშია – ირონიას გამოხატავს იტალიური მედიის მიმართ, დასცინის ფსიქოანალიტიკოსებს... სხვათა შორის, ფსიქოანალიტიკოსებს უფრო მეტად დასცინის, ვიდრე კათოლიკურ ეკლესიას, რაც პირადად ჩემთვის მოულოდნელიც კი იყო. შესაძლებელია, ამიტომაც მოუნდა მარკო პოლიტიმ, ვატიკანის ცნობილმა ისტორიკოსმა, ბენედიქტ მე-16-ს, აუცილებლად ნახოს ნანი მორეტის ახალი ფილმი, რადგან დარწმუნებულია – რომის პაპი აუცილებლად დააფასებს ნანი მორეტის თვითირონიას.



კადრი ფილმიდან „მძინარე მზეთუნახავი“

დააფასებს თუ არა მორეტის ახალ სურათს კანის 64-ე კინოფესტივალის ჟიური, ამას მხოლოდ 22 მაისს შეეიტყობთ, როცა ჟიურის თავმჯდომარე რობერტ დე ნირო ფესტივალის გამარჯვებულებს გამოაცხადებს. დღეს ძალიან ძნელია იწინასწარმეტყველო, ვინ შეიძლება გახდეს მორიგი „ოქროს პალმის“ ლაურეატი. სახელოვან რეჟისორებს შორის, რომლებიც კანში არიან წარმოდგენილნი, უკვე არიან „პალმის“ მფლობელები – ლარს ფონ ტრიერი და ძმები დარდენები. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც დიდი ხანია ელოდებიან თავიანთ პალმას – პედრო ალმოდოვარი და ტერენს მალიკი. ამერიკელი რეჟისორის ახალ ფილმზე „სიცოცხლის ხე“ ძალიან ბევრს წერს მსოფლიო პრესა და მიუხედავად იმისა, რომ სურათი თითქმის არავის უნახავს, სწორედ ტერენს მალიკს უწინასწარმეტყველებენ კანის 64-ე კინოფორუმის მთავარ პალმას. მით უმეტეს, რომ ჟიურის თავმჯდომარე მალიკის ახლო მეგობარია. ■

ჩვენებურად რომ ვთქვათ, „ძნელად აღსაზრდელი ყმანვილისა“, რომელმაც კოლეჯში თავისი თანაკლასელები დახოცა... არავითარი ფროიდი, არავითარი ფსიქოლოგია და ფსიქიატრია, რათა ავტორმა ყმანვილის აგრესიის მიზეზები გამოიკვლიოს! ეს ყველაფერი „მამაკაცური კულტურის“ შტამპებად ცხადდება. გაუგებარია, რატომ შეიძლება მოსიყვარულე, სათნო, კეთილშობილ მშობლებს ჰყავდეთ სადისტი შვილი. ამას მეცნიერება ვერ ხსნის. და ვერც ახსნის, სანამ კულტურა შტამპების ხარჯზე განვითარდება.

ბა ითამაშოს ამ „დარაჯის“ როლი, თავად ის როგორია, ვინც „დარაჯის“ ფუნქციას თავის თავზე იღებს. სხვათა შორის, ეს კითხვა ფილმის ერთ-ერთ გმირ პოლიციელ ქალსაც დაეხატება ფინალში, პედოფილის ერთ-ერთ მსხვერპლთან, 7 წლის ბიჭუნასთან დიალოგის შემდეგ. „ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი, რატომ დააპატიმრეთ ჩემი მასწავლებელი? ჩემ გამო რატომ ჩასვით ციხეში?“ – კითხულობს გაკვირვებული ბიჭუნა... ამ კითხვაზე პოლიციელი ქალი პასუხს არ გასცემს. იგი ფანჯრიდან ხტება.

კიდევ უფრო რადიკალურია მესამე საკონკურსო ფილმის „პოლიციის“ (თუმცა ფილმს „« Polisse » ჰქვია. სათაურში განგებ არის ორთოგრაფიული შეცდომა) ავტორი მაივენ ბესკო. მისი ეს ფილმი

ვის აქვს უფლება, იდგეს მორალის სადარაჯოზე? ამ კითხვას არა მარტო ქალები სვამენ. პირველი რეჟისორი-ავტორი რიტეტი, (სხვათა შორის, კანის „ოქროს პალმის“ მფლობელი), რომელიც ჩაერთო 64-ე კინოფორუმის კონკურსში, ნანი

# ლასა დე სედა



ვახო ხვიჩია

2006 წელს რაღაც სასწავლო პროგრამით გერმანიის ერთ სამხრეთულ ქალაქში მოგხვდით. კურსები საერთაშორისო გახლდათ, შესაბამისად, ცოდნას მოწყურებულნი თუ ჩემსავით გაუგებრობაში მოხვედრილი ტიპები ოხრად იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ერთ მშვენიერ დღეს ორგანიზატორებმა გამოგვიცხადეს, კულტურათა შორის დიალოგი კუჭზე გადის და ერთმანეთის უკეთ გასაცნობად, ნაციონალური სამზარეულოს გამოფენა მოაწყვეთო. გასტრონომიულად აღვზნებულ გურჯებს ვინ გვაჯობებდა! ჰოდა, საერთაშორისო თანამეგობრობას მივართვით ხაჭაპური, ლობიო რაჭული ლორით, ბაყე, წინილა, ნიგეზიანი ბულგარული, ბადრიჯანი, ღვინო... რამდენიმე ჭიქის მერე ენობრივი ბარიერიც გადაილახა მონღოლებთან, ყირგიზებთან, სერბებთან, ფრანგებთან, ესპანელებთან და შორისდებულებით: „უხ“, „იფ-იფ“, „აუუ“, „ხო-ხო-ხო“ უფრო მეტად გავუგეთ ერთმანეთის ეროვნულ სევდას თუ სიხარულს.

მოკლედ, დიდებული სუფრა გაიშალა და მულტი-კულტი სმა-ჭამაც მეტად შესარგი გამოდგა. ლატვიელები ბალტიური ბორშით ინონებდნენ თავს, უკრაინა კიევური კატლეტით „გაგვესაუბრა“, ბერძნებმა ავგალემონო (იქაური ჩიხირთმა) წარმოადგინეს, ინგლისელებმა – წინილა ფორთოხლის და არაყნის სოუსში...

ამ გლობალიზებულ თქველფაში ერთი მექსიკელი ასაკოვანი კაცი იქცეოდა ყურადღებას, რადგან მისი მაგიდა აბსოლუტურად ცარიელი გახლდათ. იდგა სრულ მარტოობაში ხმელი და თეთრთმინი, შესაბამისად, არავინ ეკარებოდა. სამზარეულო არ უვარგათო, ენა რო-

გორ მომიბრუნდებოდა? თუმცა, ტეკილა რომ ტეკილაა, ისიც არ გვადირსა. მოკლედ, მექსიკური სუფრა მხოლოდ ერთი აუდიო დისკით „გაენყო“ – ლასა დე სელას ალბომით „La Llorona“. მაშინ ვიფიქრე, სამზარეულოში ტრიალი დაეზარა და მარტივი, მაგრამ კრეატიული გამოსავალი იპოვა-მეთქი. ეს ალბომი მოსმენილი მქონდა, მუსიკალური

გემოვნება ცერა თითის მოღერებით მოვუნონე... ამით ამოინურა ქართულ-მექსიკურ კულტურათა დიალოგი.

ამ კაცს ბოლოს დავუბრუნდები, მანამდე კი მის მიერ წარმოდგენილ „კერძზე“ ვისაუბრებ. ლასა დე სელა ამერიკის პატარა სოფელ ბიგ ინდიენში დაიბადა, ლეგენდარულ ვუდსტოკთან ახლოს. მამამისი მექსიკელი



ფოტო: რაინე ბოუნი

გახლდათ, ესპანური ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, დედა – ამერიკის მოქალაქე, ლიბანური სისხლით, მსახიობი და ნიჭიერი ფოტოგრაფი. მრავალშვილიანი ოჯახი სახელდახელოდ გადაკეთებულ ძველ სასკოლო ავტობუსში ცხოვრობდა. ლასაც თავის დაძმებთან ერთად ამ მოძრავ ბინაში

**ერთ უცნაურ რამეში**

**გამოვტყდები: როცა**

**მუსიკოსის ფოტო პირველად**

**ვნახე, მსახიობ ლილი**

**ტილორს მივამსგავსე**

**ფიზიკურად.**



იზრდებოდა, ამერიკა-მექსიკას შორის გაუთავებელ მისვლა-მოსვლაში. ტელევიზორი არ ჰქონდათ, ამიტომ მის ჩამოყალიბებაში მხოლოდ წიგნებმა და მშობლების ფირფიტებმა მიიღეს მონაწილეობა. მექსიკური, ებრაული, არაბული, სპარსული, ლათინოამერიკული, იაპონური თუ ბოშური ფოლკის უმდიდრესი კოლექცია შეეგროვებინათ და მთელი მსოფლიო ერთ პატარა მოძრავ ბინაში მოექციათ.

19 წლის ლასა საკუთარ დებთან დასახლდა მონრეალში. იქ გაიცნო გიტარისტი ივ დეროზიე და მასთან ერთად მექსიკური ხალხური სიმღერების კრებულზე დაიწყო მუშაობა. საინტერესო ისაა, რომ ალბომი სახლის პირობებში იწერებოდა, ინსტრუმენტალი – ერთ-ერთი მეგობრის ბინაში, ვოკალის ნაწილი კი – ლასას სამზარეულოში, უცნაური აკუსტიკის გამო. ალბომს აცტეკების მითოლოგიური გმირის სახელი „La Llorona“ დაარქვეს. დისკი წარმატებული აღმოჩნდა და უამრავი საგასტროლო ტურნეც მოეწყო ამერიკაში, კანადაში, საფრანგეთში და ა.შ.

ერთ უცნაურ რამეში გამოვტყდები: როცა მუსიკოსის ფოტო პირველად ვნახე, მსახიობ ლილი ტილორს მივამსგავსე ფიზიკურად. მერე ფილმი „არიზონული ოცნება“ გამახსენდა და მისი კინოგმირი – გრეისი, თავს რომ იკლავს. მაშინ რატომღაც ვიფიქრე, ლასაც გრეისივით ახალგაზრდა მოკვდება-მეთქი. უცნაური წინათგრძნობა იყო ეს, თუ სულელური პარალელი, არ ვიცი. 2008-ში მკერდის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, რის გამოც ძალიან იტანჯა.

2010 წლის 1 იანვრის საღამოს, მონრეალში უჩვეულოდ დიდი თოვლი მოვიდა. სამყარო ახალ წელს ზეიმობდა. ის კი ქალაქის ერთ-ერთ კლინიკაში გარდაიცვალა... მუსიკოსის წასვლა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ „შემამჩნიეს“, როცა მსოფლიო საახალწლო თრობისგან საბოლოოდ გამოფხიზლდა და პატივი სენტიმენტალური ინტერნეტ-კომენტარებითა და მიაგეს, ყველამ თავის ენაზე: „Miss you, Lhasa!“; „Muchas gracias“; „R.I.P girl...and Thank

You!“; „Hvala ti golubice!“; „Grazie, molte grazie...“; „Adieu ma Cherie...“ (თურმე, დაკრძალვაც ისეთივე მოკრძალებული ყოფილა, როგორც თავად გახლდათ და სწორედ იმ ბოშური რომანსის თანხლებით გაუცილებიათ, თავად რომ ჩანერა, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე.)

ესაა და ეს – 2-3 აბზაცში მოქცეული ლასას მთელი ცხოვრება. მწირი, მშრალი და ალბათ, არაფრით გამორჩეული. მის შემოქმედებაში ვერ იპოვნი პოლიტიკურ ამბოხს, სოციალურ პროტესტს, ბიოგრაფიაში – ტრაგიკული თუ რომანტიკული სიყვარულის ისტორიას, არც ჯენის ჯოპლინივით უხმაურია და არც ჩაველა ვარგასივით ქცეულა ლეგენდად. ფულის თუ სახელის მოხვეჭაზე არ დახარჯულა მაინცდამაინც და მუსიკაშიც არაფერი მოუხდენია რევოლუციური. მშვიდად იცხოვრა და ასევე მშვიდად, შეუმჩნეველად წავიდა 37 წლის ასაკში.

ლასა, მეტწილად, ფრანგულად და ესპანურად მღეროდა. ეს ენები არ ვიცი, შესაბამისად, გონზე არა ვარ, რაზე მღერის. უსმენ მის სევდიან, ჰაეროვან „შრილა“ ხმას, რითმულად უცნაურ მელოდიებს და ლირიკა სულ აღარ გაინტერესებს. ასე გგონია, ტექსტი რომ გესმოდეს, ყურადღება გაგეფანტება და თითქოს, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი გამოგეპარება (დაახლოებით ისე, ფილმს რომ სუბტიტრები უყურებ, თვალმომხრებილი კითხულობ და გამოსახულებას ვერ აღიქვამ). იმ შეგრძნებებს თუ განცდებს ვგულისხმობ, რომელთაც კონკრეტული სახელი არ აქვს, მაგრამ პირდაპირ გულში ხვდება და ადამიანთა ცნობიერებაში აღმართულ ბარიერებს უსიტყვოდ ანგრევს.

ლასამ სულ 3 ალბომის გამოშვება მოასწრო და ალბათ, ისიც ნაკლებად საინტერესოა, თუ რა ჟანრს მივაკუთვნებთ მათ: შანსონს, მექსიკურ ფოლკს, ფლამენკოს, ბოშურ რომანსს თუ მათ ნაზავს. ამ გოგოს მუსიკა სულის მდგომარეობაა, სიმღერები კი – სულიერი საზრდო, გემრიელი „კერძები“, ის მექსიკელი კაცი რომ გვთავაზობდა, მაგრამ არავინ „გაგუსინჯეთ“... ასე რომ, მიირთვიეთ...

## SKYPE + MICROSOFT

Microsoft-ის არსებობის 36-წლიან ისტორიაში ყველაზე მსხვილი შენაძენი არამომგებიანი, მაგრამ ძალიან პერსპექტიული Skype აღმოჩნდა. პოპულარულ სერვისში სოფტვერული გიგანტი 8,5 მილიარდ დოლარს გადაიხდის, ამ თანხაში შედის Skype-ის ვალიც, რომელიც 2010 წლის ბოლოსთვის 686 მილიონ დოლარს შეადგენდა.

### ნინო ნატროშვილი



Microsoft-ის მიერ Skype-ის სავარაუდო შეძენასთან დაკავშირებით პირველი ინფორმაცია ტექნოლოგებზე გაჩნდა, მოგვიანებით კი კომპანიების ხელმძღვანელებმა გარიგება ოფიციალურად დაადასტურეს. ამ დრომდე Microsoft-ის ყველაზე მსხვილ შენაძენად ამერიკული ინტერნეტ-რეკლამის კომპანია aQuantive ითვლებოდა, რომელშიც კორპორაციამ 2007 წელს 6 მილიარდი დოლარი გადაიხადა.

ოფიციალური შეთანხმების გახმაურებამდე Skype-ის სავარაუდო მყიდველთა სიაში Microsoft არ სახელდებოდა. პრეს-კონფერენციამდე რამდენიმე დღით ადრე ისიც კი ითქვა, რომ პოპულარული სერვისის შეძენისთვის Google და Facebook იბრძოდნენ. თანხა, რომელსაც Google და Facebook იხდიდნენ, არ დასახელებულა, თუმცა ივარაუდებოდა, რომ საუბარი 3-4 მილიარდ დოლარზე იყო.

Microsoft-ის მიერ გადახდილი 8,5 მილიარდი დოლარი სინამდვილეში ძალიან ალემბატება სერვისის ღირებულებას, რომელიც წელიწადნახევრის წინ 2,75 მილიარდად შეფასდა, თუმცა სოფტვერულმა გიგანტმა გადაწყვიტა ბევრად მეტი გადაეხადა და Google-ისა და Facebook-ის კონკურენტისგან თავი საიმედოდ დაეცვა.

Skype ინტერნეტ-ტელეფონის ყველაზე პოპულარული სერვისია მსოფლიოში. მასზე დარეგისტრირებული მომხმარებლების რიცხვი 660 მილიონს შეადგენს და ის წელიწადში 40%-ით იზრდება. ყოველდღიურად სერვისზე 600 000 ახალი მომხმარებელი რეგისტრირდება. კომპანია Skype 2003 წელს ნიკლას ცენსტრემმა და იანუს ფრიისმა დააფუძნეს, თავად სერვისი კი ესტონელი პროგრამისტების ჯგუფმა შეიმუშავა. 2005 წელს მას ვიდეოზარების ფუნქცია შეემატა. იმავე წელს კომპანია დამფუძნებლებმა 2,6 მილიარდ

დოლარად ინტერნეტ-აუქციონ eBay-ს მიჰყიდეს, რომელიც თავდაპირველად სერვისის გამოყენებას აუქციონის მონაწილეებს შორის ეფექტური კავშირისთვის აპირებდა, თუმცა ამ გეგმის განხორციელება ვერ მოახერხა და სერვისის მყიდველის ძებნა დაიწყო. 2009 წელს Skype-ს 56% კერძო ინვესტორების ჯგუფმა შეიძინა, eBay-ს 30% დარჩა, 14% კი ცენსტრემმა და ფრიისმა მიიღეს. 2010 წელს კომპანიის სათავეში დირექტორის პოსტზე ტონი ბეიტსი მოვიდა. სერვისი რამდენიმე წელია, საკმაოდ მიმზიდველია IT ბაზრის მსხვილი მოთამაშეებისთვის, თუმცა მფლობელებისთვის მთავარი იყო, ვინ რამდენს გადაიხდიდა. გასულ წელს Skype-ის 5 მილიარდ დოლარად შეძენის სურვილი სატელეკომუნიკაციო მონოპოლიზების უმსხვილესმა მწარმოებელმა Cisco-მ გამოთქვა, თუმცა მაშინ მენეჯმენტმა კომპანიის წინადადება არ მიიღო.

Microsoft-ისა და Skype-ის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ სერვისი კორპორაციის შემადგენლობაში შევა და ცალკე განყოფილებად Microsoft Skype Division-ად ჩამოყალიბდება, რომელსაც კვლავაც ტონი ბეიტსი უხელმძღვანელებს. ბეიტსი უშუალოდ კორპორაციის დირექტორს სტივ ბალმერს დაექვემდებარება. Microsoft აცხადებს, რომ Skype-ის არსებული გუნდი და ყველა წარმომადგენლობა აუცილებლად შენარჩუნდება: „ტონი ბეიტსი ძლიერი ლიდერია და იგი ჩვენს მენეჯერებს კიდევ უფრო გააძლიერებს. მოუთმენლად ველოდები იმ დროს, როდესაც Skype-ის თანამშრომლები საკუთარ ნიჭს, იდეებსა და გამოცდილებას Microsoft-ში მოიტანენ“, – აღნიშნა ბალმერმა.



რაც შეეხება სავარაუდო ცვლილებებს, Microsoft-მა უკვე განაცხადა, რომ კვლავაც გააგრძელებს Skype-ის იმ ვერსიების მხარდაჭერას, რომელიც სხვა მწარმოებლების პლატფორმებისთვისაა განკუთვნილი. პარალელურად კი, სერვისის სპეციალური ვერსია Windows Phone 7-ისთვის შეიქმნება. ამის გარდა, კორპორაცია აღნიშნავს, რომ Skype ინტეგრირებული იქნება მის ონლაინ-სერვისებთან- Hotmail-თან, Windows Live-თან, Lync-თან და Outlook-თან. უფრო მეტიც: Skype-ს გამოყენება Xbox 360-ის მომხმარებლებსაც შეეძლება.

Microsoft-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ინტერნეტ-სერვისების გაუმჯობესებაა. უკანასკნელ წლებში სოფტვერულმა გიგანტმა ეს მიმართულება ერთ-ერთ პრიორიტეტად აქცია, თუმცა ამ დრომდე მსხვილი გარიგებებისგან თავს იკავებდა.

ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ გარიგება სტივ ბალმერს ძალიან ბევრ პერსპექტივას აძლევს, თუმცა ამავდროულად აღნიშნავენ იმასაც, რომ კორპორაციის არცერთი ინტერნეტ ბიზნესი Google-ზე წარმატებული არ ყოფილა. სოფტვერული გიგანტის მთავარ სარგებელს Skype-ის პოპულარობა და მომხმარებლების სოლიდური ბაზა წარმოადგენს, რის გამოყენებასაც Microsoft აუცილებლად შეეცდება. პირველ რიგში, Skype სოფტვერულ გიგანტს კორპორატიული კავშირის ბაზარზე პოზიციების გამყარებაში უნდა დაეხმაროს და მისი ახალი თუ არსებული პროექტებისთვის მიმზიდველ დამატებად იქცევა.

კიდევ ერთი პერსპექტივა ვიდეორეკლამის ბაზარია: ამჟამად ვიდეოტელეფონია Skype-ის ტრაფიკის 40%-ს შეადგენს და ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება. ექსპერტების პროგნოზით კი უახლოეს წლებში ვიდეოკონტენტი რეკლამის მთავარი არეალი გახდება, რასაც Microsoft მომზადებული შეხვდება. და ბოლოს, შუკუპე კორპორაციას Google-თან კონკურენციაში დაეხმარება. „Skype ფენომენალური სერვისია, რომელიც მილიონობით ადამიანს მოსწონს. ჩვენ მასთან ერთად შევქმნით ონლაინ კომუნიკაციის მომავალს და შევეცდებით კიდევ უფრო გავუმარტივოთ ადამიანებს კავშირი პლანეტის ნებისმიერ ნერტილში“, – აცხადებს ბალმერი.



### ყველაზე დიდი 3D ტელევიზორი Samsung-ისგან

მსოფლიოში ყველაზე დიდი 3D ტელევიზორის ეკრანის ზომა 75 დიუმიანია. მოდელში ინტეგრირებულია Wi-Fi მოდული, ბრაუზერი და ინტერნეტში მუშაობისთვის საჭირო დამატებები. ტელევიზორის მფლობელებს Skype-ით, Facebook-ითა და Twitter-ით სარგებლობაც შეუძლიათ. ყველაზე დიდი 3D ტელევიზორი ჯერჯერობით მხოლოდ სამხრეთ კორეის ბაზარზეა ხელმისაწვდომი და 17,6 ათასი დოლარი ღირს.

ექსპერტები მიმდინარე წლისთვის 3D ტელევიზორებზე მოთხოვნის ზრდას პროგნოზირებენ. მათი ვარაუდით, 2011 წელს დაახლოებით 23,4 მილიონი ამგვარი მოწყობილობა გაიყიდება, რაც 463%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს. სპეციალისტები ამ ფაქტს 3D ტელევიზორების ფასის შემცირებას და 3D კონტენტის გავრცელებას უკავშირებენ.

### Barnes & Noble ახალ ბუკრიდერს ამზადებს

კომპანია Barnes & Noble 24 მაისს ახალი პროდუქტის პრეზენტაციას გამართავს. საუბარია ელექტრონული წიგნების



წამკითხველის მორიგ მოდელზე, თუმცა გაჯეტის ტექნოლოგიური მახასიათებლების და შესაძლებლობების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ ვრცელდება. Nook Color-ის ახალ ვერსიაში მობილურ ქსელებში მუშაობისთვის 3G მოდულიც იქნება ინტეგრირებული. მოწყობილობის ამჟამინდელ ვერსიას მხოლოდ Wi-Fi-ს მხარდაჭერა აქვს.

Nook Color, რომელიც Amazon Kindle-ისა და Sony-ის წამკითხველების კონკურენტია, ამერიკაში საკმაოდ დიდი მოთხოვნით სარგებლობს. იგი 250 დოლარი ღირს და ერთ-ერთ ნაკლებად ძვირადღირებულ ბუკრიდერად ითვლება.

### iPad დედოფლისათვის



დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II Apple-ის პოპულარული პლანშეტის iPad-ის ყიდვა მოითხოვა. 85 წლის მონარქი მოწყობილობას შვილიშვილების დახმარებით გაეცნო: ერთ-ერთი ვიზიტის დროს პრინცმა უილიამმა და პრინცმა ჰარიმ საკუთარი გაჯეტები ბუკინგემის სასახლეში წაიღეს. „დედოფალს ამ დრომდე iPad-ის მსგავსი არაფერი უნახავს. მოწყობილობამ მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველაზე მეტად მას პლანშეტის გამოყენების სიმარტივე, დიდი ეკრანი და სიმსუბუქე მოეწონა“, – განუცხადა გაზეთ Sun-ს სამეფო კარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

ელისაბედ II-ს უკვე აქვს iPod-ის ორი პლეერი. ერთ-ერთი მათგანი მან თავად იყიდა, მეორე კი მას ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 2009 წელს, ლონდონში ვიზიტის დროს აჩუქა. ■

# ჰეილო, ტაქსი!



კახა თოლორდავა

დღეს უკვე არავისთვის საიდუმლო არაა, რომ თბილისელებსა და აქაურ ტაქსისტებს შორის ურთიერთობის გამო თბილისი ის ქალაქი აღარაა, რაც იყო. უფრო სწორად, თბილისურ ტაქსებში თბილისელების მგზავრობისას, იმ დროის განმავლობაში, რაც ერთი პუნქტიდან მეორემდე მისვლას ესაჭიროება, ქალაქი კარგავს თავის რეალურ სახეს და როჯერ ჯელიაზნის, კრისტოფერ ნოლანის, ან სულაც ტარკოვსკი-სტრუგაცკების „სტალკერულ“ ფანტასმაგორიულ რეალობაში ინაცვლებს. რა ხდება ამ დროს? ამ დროს ქალაქი ოდნავ რბილდება და დრეკადდება, ის იცვლის ფორმებს, ქუჩები მოკლდება და გრძელდება, მისამართები იცვლის ადგილ-მდებარეობას, ხოლო დანიშნულების ადგილას მისასვლელი მარშრუტები ერთდროულად მრავლდება და მცირდება. მოკლედ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დღის და ღამის განმავლობაში თბილისელების გარკვეული ნაწილი აუცილებლად მგზავრობს ტაქსით, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალაქი მუდამ ერთდროულად ორ განზომილებაში იმყოფება, – რეალურში, მათთვის, ვინც ტაქსით არ მგზავრობს, და ფანტასმაგორიულში, მათთვის, ვინც გარკვეული ხნით თბილისელი ტაქსისტის ტყვეობაშია და ქალაქის სახის შესანარჩუნებლად მასთან ბრძოლას აწარმოებს.

რამდენადაც უცნაურად უნდა მოგეჩვენოთ ყველაფერი ეს, მისი ახსნა იმდენად მარტივია, რომ გაგეცინებათ. ეჭვი მაქვს, რომ თვითონაც მიხვდით ყველაფერს, რადგანაც თვითონ გიმგზავრიათ თბილისური ტაქსით და დარწმუნებული ვარ, არა ერთხელ გადაგიხდიათ უცნაური თანხა ვითომდაც თქვენთვის სრულიად გასაგებ მარშრუტში. რატომ მოხდა ასე? რა თქმა უნდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ტაქსისტმა მისთვის ჩვეულ ხრიკს, ქალაქის მისებური, „შერბილებული“ ხედავ შემოგთავაზათ, თქვენ კი მისი ფანტაზიის გაქანებამ მოგნუსხათ და ბრძოლისუნარიანობა შეგიუსუსტათ. თბილისელ ტაქსისტებს განსაკუთრებით წარმატებულად ხანში შესული ქალბატონების მოჯადოება ეხერხებათ, თუმცა მათთვის გენდერული და ასაკობრივი ბარიერები წამდვილად არ არსებობს. აგრეთვე ძალიან საინტერესოა მიმდინარე ისტორიული მოვლენების ინტერპრეტაციის მათებური მცდელობა; „ბინ ლადენი მოკლეს?“ — ბენზინი გაძვირდა, გენაცვალე! „ბარსელონამ“ წააგო?“ — ბენზინი გაძვირდა, ჩემო კარგო. „ევროვიზის“ ნახევარფინალში ვართ?“ — ეგრეა და



ფოტო: შალვა მურგულიანი

რა ვქნა, ძმაო?!

სხვათა შორის, პირადად მე ვცდილობ, წინასწარი ფინანსური შეთანხმებით ვიმგზავრო თბილისური ტაქსით; ზოგჯერ ამართლებს, ზოგჯერ არა, რადგანაც ყოველთვის ვერ ვარ იმ ხასიათზე, რომ შეთავაზებული თანხის გააზრებისას ტაქსისტის ფიქრით დამახინჯებულ სახეს ვუყურო. ძალიან წვალობენ ხოლმე, რადგანაც იმის მაგივრად, რომ მოძრაობაშივე მოახდინონ ქალაქის სახის „მოღუწება“, ჩემი წინადადება აიძულეს მათ წინასწარ „შეირბინონ“ მარშრუტში და ქალაქის ჩემს მიერ შეთავაზებული სახე მიიღონ, რაც მათ ხშირად ხელს არ აძლევს. ამ დროს ისინი ხვდებიან, რომ ღირსეული მონინააღმდეგე შეხვდათ და ადვილად დანებება არ უნდათ.

მოდით, ბარემ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ, რა თქმა უნდა, ყველა თბილისელი ტაქსისტი არ თამაშობს ამ თამაშს. წესით, ამის თქმა არც კი უნდა დამჭირებოდა, მაგრამ ხომ ვიცი, ამ ტექსტის კომენტარებისას აუცილებლად „შემასხენებს“ ვინმე, – „ბატონო კახა, კი, მაგრამ პატიოსან ტაქსისტებზე რას იტყვით?“ რას და – ძალიან კარგია, რომ არსებობენ, თვითონ ვიცნობ ასეთებს, მაგრამ ეს ტექსტი მათ საქებრად კი არ იწერება, არამედ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ შევახსენო ყველას, – ქალბატონებო და ბატონებო, მოვიდა ტაქსებში მ რ ი ც ხ ვ ე ლ ე ბ ი ს მონტაჟის დრო, მოვიდა! ტაქსებში მრიცხველების წიკნიკის ხმა ყველას და ყველაფერს თავის ადგილას დააყენებს, ჩვენც, ტაქსის მძღოლებსაც და რაც ყველაზე მთავარია, თბილისსაც დაუბრუნებს თავის სახეს.

აი, ასეთ მარტივ და „თითიდან გამოწვივლ“ რამეებზეც მიწვევს ხოლმე წერა. თავს მხოლოდ იმით ვიმართლებ, რომ ვინ უნდა წეროს ამაზე, თუ არა ქალაქში მოხეტიალე კაცმა? თანაც, ამაში ჰონორარსაც მიხდებიან!



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი  
გორი, ქარელი, საშუსრი  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი  
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

**FM 105.5**

**FM 103.0**

**FM 104.5**

**FM 101.0**

**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

